პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 6 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 201 (1946)

დღიური

— ნანკინში მძვინვარებს ხოლერა.
— 6 სექტემბერს განახლდება 15 დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქის საქმის გარჩევა პეკინში.
— ფინეთის ახალი სეიმის თავმჯდომარედ არჩეულია აგრარული პარტიის ბელადი კალლიო.
— მექსიკის მუშათა პარტიამ პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად წამოაყენა ობრეგონი.
— ლენინგრადში დაიწყო ინგლის [illegible] გასამართლება.
— ქარიშხალი შავ ზღვაზე.
— ნიაღვარი ბათომში.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

უნდა შევქმნათ იაფი და მარტივი აპარატი

ბრძოლა მომჭირნეობისათვის ისევ მთელი თავისი სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე. თუ დღეს ეს ლოზუნგი ისე ხშირად აღარ მოისმის ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებებში და პრესაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პარტია და ხელისუფლება პრაქტიკულად და კონკრეტულად მიუდგა მომჭირნეობის ამოცანის გადაწყვეტას და მშრომელი მასების ყურადღებას ის უმთავრესად აქეთკენ მიაპყრობს.

მომჭირნეობის ლოზუნგის პრაქტიკულად გატარების ერთ-ერთ მთავარ სახეს წარმოადგენს ბრძოლა ჩვენი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, რასაც უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა. მომჭირნეობის ლოზუნგის განხორციელებას წარმოადგენს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უკანასკნელ დღეებში მიღებული დადგენილება ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

ეს დირექტივა ახალი არაა. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების აუცილებლობა, არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ავტორიტეტულ პარტიულ კონფერენციების და ყრილობების დადგენილებებში, მაგრამ საბჭოთა აპარატის გაიაფება-გაჯანსაღების ამ ერთ-ერთ მთავარ პირობას ჩვენ დღემდი სათანადო სიმტკიცით ვერ ვანხორციელებდით. ამავე დროს ცხოვრება, ჩვენი მეურნეობის ნორმალური განვითარება, სხვა ამოცანათა შორის, გადაუდებელ საჭიროებათ სახავს აპარატის გაიაფება-გაჯანსაღების საკითხს.

სწორეთ გაიაფება გაჯანსაღების და არა მხოლოდ გაიაფების. ეს ორი ერთი მეორესაგან განუშორებელი პირობა საფუძვლად უნდა დაედვას საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებას, უამისოთ უაღრესი მნიშვნელობის მორიგი პრაქტიკული ამოცანა დაჰკარგავს თავის ფასს და წინააღმდეგ შედეგებს მოგვცემს. დადგენილებაში ეს გარემოება ხაზგასმულია. „ადმინისტრატიულ-მართველობითი ხარჯების შემცირება, ვკითხულობთ იქ ჩვენ, უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში აღნიშნულ ორგანოთა აპარატის გაიაფების, **განსაკუთრებით კი მუშაობის მეთოდების და სისტემის გაუმჯობესების ნიადაგზე შტატების შემცირების გზით**“.

მთავრობის დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ უნდა გატარდეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე, რომ უკვე 1927—28 სამეურნეო წლის დასაწყისიდან თანხების გაცემა სწარმოებდეს შემცირებული ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

მაშასადამე, დრო ბევრი აღარ დარჩენილა. მთავრობის ამ დადგენილებაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხარჯები უნდა იქნეს შემცირებული **„ადმინისტრატიულ-მართველობითი“** აპარატის შემცირების გზით. ამრიგად დირექტივის გატარება არ უნდა შეეხოს თვით წარმოებას და სოფლის მეურნეობას.

გაბერილი აპარატი, როგორიც ჩვენ უსათუოდ გვაქვს მრავალ ადმინისტრატიულ-სამეურნეო დარგში, საზარალოა სახელმწიფოსათვის არა მარტო მატერიალურად, არამედ პრაქტიკულად და საბოლოო ანგარიშით პოლიტიკურადაც. ვინაიდან ნორმაზე მეტი შტატი საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ბიუროკრატიზმის ასაყვავებლად, რაიც აკოჭლებს აპარატს და ამახინჯებს ხელისუფლების სწორ, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მიმართულ ღონისძიებებს.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს შესაძლებელია ადგილი დაუჩრდეს სხვადასხვა გადახრებს. მაგალითად, შემცდარი იქნება ის, ვინც აღნიშნულ დადგენილებას გაიგებს ისე, რომ განსაზღვრულ დროისათვის საჭიროა მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ გასავალის 20 პროცენტით შემცირება. მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას. იქ კატეგორიულად ნათქვამია, რომ ხარჯების შემცირებისათვის მოცემულ დირექტივის გატარებამ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს მუშაკთა არსებულ ხელფასის შემცირება.

ამასთან ერთად დადგენილება არ ივიწყებს იმ მუშათა მდგომარეობას, რომელნიც დირექტივის გატარების გამო უსაქმოდ დარჩებიან. მთავრობა წინადადებას აძლევს შრომის სახალხო კომისარიატს პროფესიონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით უახლოესი დროის განმავლობაში განიხილოს საკითხი აპარატის რაციონალიზაციის მიზეზით დათხოვნილ მუშაკებისათვის ერთი თვის ან თვენახევრის ხელფასის რაოდენობით ლიკვიდაციო ჯილდოს მიცემის შესახებ. გარდა ამისა უმუშევრად დარჩენილი მუშაკები უნდა გადამზადებულ იქნან იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მათი რაციონალური გამოყენება კულტურულ-სოციალურ დაწესებულებების და წარმოებების მუშაობაში. შრომის ბირჟებმა კი ასეთ მუშაკებს შეღავათები უნდა მიანიჭონ სამუშაოზე გაგზავნის დროს.

მიმდინარე სამეურნეო წელი საბჭოთა კავშირის მეურნეობისათვის შედარებით უკრიზისო წელი იყო. ჩვენი შემდგომი სამეურნეო განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს საკუთარ საშუალებათა უფრო მეტი რაოდენობით დაგროვება და აპარატის გაიაფება-გამარტივება. საკავშირო მთავრობის დადგენილებაც ადმინისტრატიულ-მართველობითი ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ აქეთკენაა მიმართული. საჭიროა ენერგიული და გადამჭრელი ზომების მიღება, რომ ეს დადგენილება უკლებლივ და სისწორით იქნას გატარებული ცხოვრებაში.

ინგლისის ანტისაბჭოთა ინტრიგები და ერთა ლიგის სესია

როგორც წინეთ, ერთა ლიგის ეხლანდელი სესიაც, უეჭველია, გამოყენებული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თავის თავად ცხადია, რომ ანტისაბჭოთა კამპანიას წინანდებურად ინგლისის კონსერვატიული მთავრობა მეთაურობს. ჩემბერლენის მიერ ბოლო დროს არა ერთხელ გაკეთებული განცხადება, რომ ის თითქო არ ცდილობდეს ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნას და „მშვიდობისმოყვარეობით“ იყოს აღსავსე, ჩვეულებრივი თვალთმაქცობაა მისი აგრესიული ზრახვების დასაფარავად.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ სწორედ მაშინ, როცა ერთა ლიგა შეიკრიბა, ჩვენ ახალი ანტისაბჭოთა პროვოკაციის მოწმენი შევიქენით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ უკანასკნელი უარყოფითად ეკიდება იარაღის და სხვა საომარ მასალის მიყიდვას „საბჭოთა მთავრობისა ან საბჭოთა კავშირის კერძო შემყიდველებისათვის“ (?!) ისე გამოდის, რომ თითქო საბჭოთა მთავრობას რაიმე ნაბიჯი გადაედგას ამერიკაში იარაღის შესაძენად. ნამდვილად კი არაფერ ამის მსგავს ადგილი არ ჰქონია. ეს მორიგი უტიფარი ჭორია, რომლის გავრცელებაში ინგლისელი აგენტები მონაწილეობენ. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს: „ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ინგლისური მოხელენი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ მთელ ამ ისტორიას იარაღის შესყიდვაზე ვითომდა წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ“. ინგლისის იმპერიალიზმი თხზავს სიცრუეს საბჭოთა მთავრობის სამხედრო მზადების შესახებ, რომ შექმნან შთაბეჭდილება. თითქო ჩვენ ომით ვემუქრებით კაცობრიობას. ლონდონის პოლიტიკოსთა აზრით, ამ ხმამ გავლენა უნდა მოახდინოს ჟენევაში ამჟამად თავმოყრილ „სახელმწიფო მოღვაწეებზე“, დააფრთხოს ისინი „წითელი იმპერიალიზმის“ აჩრდილით, რომ ამ გზით გაადვილებულ იქნეს საბჭოთა კავშირის გარემოცვის განხორციელება.

ამავე დროს საგულისხმოა დეპეშის ცნობა: „ერთა ლიგის პლენუმის დროს განზრახულია ლატვიის, ფინეთის, ესტონეთის და ლიტვის გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ამ სხდომაზე განხილულ უნდა იქნას საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა: ბალტიის ლიმიტროფების ერთიანი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ, გამორკვევა მათი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საბჭოთა კავშირის მიმართ და გაუქმება ლატვია-საბჭოთა კავშირის ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ სავაჭრო ხელშეკრულებისა, ვინაიდან ფინეთი და ესტონეთი ფიქრობენ, რომ ეს ხელშეკრულება ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ლატვიამ იკისრა ბალტიის მეზობლების მიმართ სავაჭრო და ეკონომიურ პოლიტიკის დარგში“.

როგორ ვხედავთ, ლაპარაკია ბალტიის მხარის ქვეყნებისაგან ერთიანი ფრონტის შექმნაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ზომების მიღება, რომ შეუძლებელი გახდეს რომელიმე მათგანის ჩვენთან დაახლოება. თავის მტრევა არაა საჭირო იმის გასაგებად, თუ ვისი ხელი მოქმედებს აქ. ეს ლონდონის ძველი გეგმაა, რომლის გასატარებლად იგი დიდი ხანია მეცადინეობს. „ბერლინერ ცეიტუნგ ამმიტაგ“ საფუძვლიანად შენიშნავს, რომ „ამ თათბირის ზურგს უკან დგას ინგლისი“. სწორედ ის მიმართავს ათასგვარ ხრიკებს, რათა ჩაშალოს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება და ამ მიზნით იყენებს თვით ლატვიის ფაშისტურ სპეკულიანტურ წრეებს, ესტონიას და ფინეთს. ამასთან ინგლისი მხარს უჭერს ფინეთის წარმომადგენლის კანდიდატურას ერთა ლიგის საბჭოში, რაც აშკარა ანტისაბჭოთა დემონსტრაციას წარმოადგენს, ვინაიდან ფინეთის მთავრობა ბალტიის სხვა ქვეყნების მთავრობებს შორის განსაკუთრებით განირჩევა საბჭოთა კავშირისადმი თავისი მტრული პოლიტიკით.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა „საყოველთაო საგარანტიო პაქტის“ ის პროექტი, რომლის შეტანას ერთა ლიგის სესიაზე თურმე პოლონეთი აპირობს. პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტი ამას წინად მოგვარებულ იქნა. ცნობა იყო, რომ ახლო ხანში დაიწყება მოლაპარაკება პოლონეთსა და ჩვენს შორის სავაჭრო და საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად. რაკი ვარშავა „სამშვიდობო“ პოლიტიკის გზას დაადგა საბჭოთა კავშირის მიმართ, ხსენებულ პროექტის ნამდვილ ავტორებს ალბად ჰგონიათ, რომ ისინი მას გაასაღებენ ისეთ აქტად, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის განმტკიცებას ემსახურება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვანაირია. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ „საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების“ დადების პროექტი, უდავოა, „დიდ“ სახელმწიფოების, უმთავრესად ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროშია შეთითხნილი, ხოლო პოლონეთის მთავრობა ამ შემთხვევაში მისი გეგმის გამტარებლის როლს თამაშობს. ეს გეგმა კი არის დასავლეთის ლოკარნოს შეკრება აღმოსავლეთის ლოკარნოთი, რომლის შექმნაზე ინგლისის დიპლომატია კარგა ხანია რაც ზრუნავს. უნდა შეიქმნას დასავლეთ-აღმოსავლეთ სახელმწიფოების ბლოკი უშიშროების უზრუნველსაყოფად... საბჭოთა კავშირის მხრით „თავდასხმისაგან“,— აი ეთია ამ პროექტის მთავარი აზრი. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა არავის დაესხმის თავს, მაგრამ ეს იმპერიალისტებს „არ აღონებს“: მათ ხომ ყოველთვის შეუძლიათ შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ საბჭოთა კავშირი თავდამსხმელ მხარედ გამოაცხადონ. მაშინ ხელშეკრულების მონაწილენი ვალდებული იქნებიან დაიცვან „დაზარალებული“ ქვეყანა ჩვენი „შეტევისაგან“.

საგულისხმოა, რომ გერმანიის პრესა ხმა მაღლა გაიძახის იმ საფრთხეზე, რომელიც „საყოველთაო საგარანტიო პაქტი“-ს განხორციელება ქმნის. მისი საშუალებით გერმანია, გარდა იმისა, რომ დაკარგავს თავის დასავლეთ საზღვრების შეცვლის შესაძლებლობას, ჩათრეული იქნება ინგლისის ანტისაბჭოთა კომბინაციებში. ლოკარნო ისახავდა ასეთ მიზანს, ხოლო პოლონეთის პროექტი შემდგომი ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით. რომ გერმანიის მისამხრობათ ანტისაბჭოთა კამპანიაში ინგლისი აგრძელებს ცდას, ეს სჩანდა გერმანიის მთავრობის მიმართვიდან ერთა ლიგისადმი, რათა უკანასკნელს ამჟამად არ წამოეყენებია ლიგის ცნობილ მე-16 მუხლის განმარტების საკითხი. როგორც ვიცით, გერმანიას თავის დროზე ერთგვარი სიტყვიერი დაპირება მისცეს, რომ ეს მუხლი მასზე არ გავრცელდებოდა. მე-16-ე მუხლი კი ავალებს ლიგის ყველა წევრს მიიღონ მონაწილეობა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ ეკონომიურ და სამხედრო ღონისძიებებში, რომელსაც ერთა ლიგა „მშვიდობიანობის დამრღვევად“ სცნობს. ეხლა ცდილობენ ამ გამონაკლისის გაუქმებას, რათა გერმანია ანტისაბჭოთა პოლიტიკის იარაღად გახადონ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ინგლისის ანტისაბჭოთა ინტრიგები ამჟამად მიზანს მიაღწევენ. ამის საწინდარია ინტერესთა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც დღემდე უნაყოფოდ ხდიან ჩემბერლენის ამგვარ ცდებს. ეს წინააღმდეგობანი დაძლეული არ არიან, პირიქით—უფრო ღრმავდებიან. ერთა ლიგის ეხლანდელი კრიზისი, რომელიც მეტყველებს საფრანგეთ-ინგლისის შეურიგებლობაზე, გერმანია-ბელგიის (რომლის ზურგს უკან საფრანგეთი დგას) ურთიერთობის გამწვავება ლიგის სესიაზე, გერმანია-პოლონეთის დავა საზღვრების და ეკონომიურ საკითხების შესახებ, პოლონეთ-ლიტვის მტრობა, რამაც ამასწინად გამოხატულება ჰპოვა ინცინდენტში მათ საზღვარზე, და მრავალი სხვა ისეთი ფაქტები, რომელნიც მეტად აძნელებენ ევროპის სახელმწიფოების შეთანხმებას და ანტისაბჭოთა ფრონტის შეკოწიწებას. ყოველ შემთხვევაში, ინგლისი კვლავ დაჟინებით აწარმოებს ჩვენი გარემოცვის ცდას, ის მეგობრების ძებნაშია ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის, რამაც ჩვენი სიფხიზლე უნდა უფრო გაამახვილოს, მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის უფრო უნდა გააძლიეროს.

გ. კ—ლი.

პოლონეთი მოითხოვს საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების დადებას
ხო-ლუნის და ი-ე-ტინის ჯარებმა დაიკავეს გუანდუნის პროვინცია
ნანკინის ჯარების ახალი გამარჯვება.—ნანკინელებმა ტყვეთ ჩაიგდეს 5.000 ჯარისკაცი
ინგლისის სამხედრო გემმა სროლა აუტეხა ნანკინის სადგურს

საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების გეგმა

პოლონეთი საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების მომხრეა

ჟენევა, 4 სექტემბერი. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი უარყოფს ამ ხმებს, იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობა მართლა შეიტანს ერთა ლიგის პლენუმზე წინადადებას საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს ცნობები სრულებით სარწმუნოა, მაგრამ შესაძლებელია, რომ გეგმა ითვალისწინებს არა საყოველთაო შეთანხმებას, რომელსაც შეიძლება მიემხრონ ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში.

იმის შესახებ—კი, თუ რა მიზანი აქვს პოლონეთის წინადადებას, ჟენევის ავტორიტეტულ პოლიტიკურ წრეებში არსებობს სხვადასხვა აზრი. ერთის მხრივ ფიქრობენ, რომ პოლონეთის წინადადება მიზნათ ისახავს კვლავ დასვას განსახილველად, მაგრამ უკვე სხვა გზით, საკითხი აღმოსავლეთის ლოკარნოს შესახებ. მეორე მხრივ—კი, პოლონეთის წინადადებას უკავშირებენ პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ (ადს).

გერმანიის პრესა პოლონეთის გეგმის შესახებ

ბერლინი, 4 სექტემბერი. იმ საკითხებს შორის, რომლებსაც ერთა ლიგის სესიასთან დაკავშირებით იხილავენ გერმანული გაზეთები, ცენტრალური ადგილი უჭირავს პოლონეთის გეგმას ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების შესახებ.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, პოლონეთს განზრახული აქვს პოლონეთ-გერმანიის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა ყველა სახელმწიფოსათვის საერთო შეთანხმებით.

ბერლინის გაზეთების უმრავლესობა ხაზს უსვამს იმას, რომ ხელშეკრულებამ თავდაუსხმელობის შესახებ უნდა დაიცვას პოლონეთის საზღვრები არა მარტო გერმანიისაგან, არამედ საბჭოთა კავშირისაგანაც.

ნაციონალისტურ „დერ ტაგ“-ის აზრით, ასეთი ხელშეკრულების დასადებად საჭიროა, ჯერ ერთი, გერმანიის წინააღმდეგობის დაძლევა პოლონეთის საზღვრების უშიშროების პირდაპირი უზრუნველყოფის საკითხში, მეორე,—ევროპის სახელმწიფოების შემჭიდროება-შეკავშირება საბჭოთა კავშირთან სერიოზულ შეტაკების შემთხვევისათვის და, მესამე,—საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების საშუალებით გერმანიის ჩაბმა დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკაში ისე, რომ ამ ხელშეკრულების მუხლების ძალით შეიძლებოდეს მისგან ცალმხრივი ორიენტაციის მოთხოვა.

„ლოკალანცეიგერის“ აზრით, ახალი ხელშეკრულება ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ იქნება დასავლეთის თავისებური პლატფორმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ინგლისი,—სწერს გაზეთი,—უფრო ადვილად მიაღწევდა მიზანს, მან რომ მოახერხოს გერმანიის ჩაბმა ამ რკალში“.

მიუხედავად ამ ცნობების უარყოფისა პოლონეთის მიერ, „ბერზენ კურიერი“ იუწყება, რომ პოლონეთის დელეგაციამ ნამდვილად წარადგინა ლიგის სამდივნოში ასეთი წინადადება.

„დერ ტაგ“-ი ამის გამო სწერს:

„გერმანიისათვის ეს გეგმები წარმოადგენენ საბედისწერო მუქარას და ამიტომ ისინი გადაჭრით უნდა იქნან უარყოფილნი. გერმანიის დელეგაციისაგან ჩვენ მოველით თავდაჭერას და იმედი გვაქვს, რომ ის არავის მისცემს მისთვის რაიმე ვალდებულებების თავზე მოხვევის უფლებას“ (ადს).

გუანდუნის ექსპედიციის გამარჯვება

მოსკოვი, 5 სექტემბერი. „პრავდა“-ს სპეციალური კორესპონდენტი ივინი 2 სექტემბერს ხანკოუდან იუწყება:

„ბრძოლა ნანკინისათვის, ხო-ლუნისა და ი-ე-ტინის არმიების შეჭრა გუანდუნის საზღვრებში, აჯანყებები ხუბეის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონსა და ხუნანის აღმოსავლეთ მაზრებში, კომუნისტების მასიური დაპატიმრება ჩან-შაში და თვით უხანში—აი, ის ამბები, რომლებიც ადგილობრივი პრესის მთელი ყურადღებას იპყობენ.

გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს ნანკინის ბრძოლისა და 20 ათასიანი არმიისდა ტყვევების შესახებ. უცხოეთის გაზეთები სკეპტიკურად უყურებენ ამ ცნობებს, მაგრამ **სამხრეთელების სერიოზული გამარჯვება უდავოა**, რაც, რა თქმა უნდა, არ სწყვეტს ახალი კამპანიის ბედს.

წინაღმდეგ წინანდელი აშკარად ტენდენციური ცნობებისა **ხო-ლუნისა და ი-ე-ტინის არმიების** გახრწნის შესახებ, ოფიციალური ცნობების თანახმად უკანასკნელები **უკვე შევიდენ გუანდუნის პროვინციაში. ი-ე-ტინს არმია პინიუანზე გავლით სვატოუსაკენ მიიწევს, ხოლო ხო-ლუნის არმია მიდის სამხრეთისაკენ სხვა მიმართულებით. რაც უფრო და უფრო სამხრეთისაკენ მიიწევენ ეს არმიები, მათ გზაზე უერთდება გლეხების რაზმები.** ლი-ტი-სინი (კანტონის გუბერნატორი) და მისი მოკავშირენი სასწრაფოდ ღებულობენ ზომებს იმ მიზნით, რომ შეაჩერონ რევოლიუციონური არმიების შემოტევა, რომელიც გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ისინი მოელოდნენ.

როგორც სჩანს, **გუანდუნის ექსპედიციასთან დაკავშირებით ძლიერდება აჯანყებანი ხუნანში, ხუბეიში და ცზიანსის დასავლეთ ნაწილში.**

ერთ-ერთი მაზრის „წარჩინებული პირების“ მიერ მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

„კომუნისტებს ტერორის ქვეშ ჰყავთ დაყენებული ხუბეის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონი, ყველა განათლებული ადამიანები გაიქცენ და წვრილი ბურჟუაზიის ქონებას კონფისკაციას უშვრებიან. ყოველგვარ წინააღმდეგობას მთელი სისასტიკით აქრობენ“.

დასასრულ „წარჩინებული პირები“ თვალცრემლიანი ემუდარებიან მთავრობას დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის შესახებ. ჩანშადან მიღებული დეპეშების მიხედვით „წარჩინებული პირების“ საქმე უკეთესად არაა აღმოსავლეთ ხუნანშიაც განსაკუთრებით იმ რკინისგზასთან ახლო მდებარე მაზრებში, რომელიც პიან-სინის ქვანახშირის მაღაროებისაკენ მიდის. რა ხდება ცზიანსის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ხო-ლუნისა და ი-ე-ტინის არმიები შევიდნენ, ჯერ-ჯერობით ცნობები არაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა იქაც არა ნაკლებ სერიოზულია“ (ადს).

ნანკინის არმიის გამარჯვება

შანხაი, 4 სექტემბერი. **ჩინური გაზეთები იუწყებიან, ნანკინის არმიის მთელ რიგ გამარჯვებების შესახებ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში.**

ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ თითქოს სუნ-ჩუან-ფანს უნდოდა თავის მოკვლა, მაგრამ ხელქვეითებმა შეაჩერეს ასეთი ნაბიჯისაგან (ადს).

ინგლისის „ნეიტრალიტეტი“

შანხაი, 4 სექტემბერი. ნანკინის დეპეშათა სააგენტოს ოფიციალური ცნობა იუწყება:

„25 აგვისტოს ინგლისის სამხედრო გემმა ორჯერ დაუშინა ყუმბარები ნანკინის სადგურს. სულ გასროლილ იქნა 10 ყუმბარა, მათგან ერთი მოხვდა სუნ-იატ-სენის სახელობის ჯავშნოსან მატარებლის ერთ-ერთ ვაგონს, რომელიც სამხედრო მასალებით იყო დატვირთული. მოკლულია ერთი და დაჭრილია 4 ჯარისკაცი.

ღამით 31 აგვისტოს, როდესაც ჩრდილოელების სამხედრო გემები მიუახლოვდენ ვუზუნის სიმაგრეს, ინგლისის ოთხი სამხედრო გემმა, რომლებიც იდგენ სიმაგრიდან 2 კილომეტრის მოშორებით, დაფარეს მათი მოძრაობა“.

ამის გამო ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებამ წინადადება მისცა საგარეო საქმეთა კომისიას, მოითხოვოს ინგლისის სამხედრო გემების გაყვანა (ადს).

პროტესტი

შანხაი, 4 სექტემბერი. საგარეო საქმეთა კომისარმა კანტონში საფრანგეთის ელჩს განუცხადა სასტიკი პროტესტი ანნამის (საფრანგეთის პროტექტორატი) მცხოვრებთა შორის ანტიჩინური აგიტაციის წინააღმდეგ. (ადს).

ხოლერა ნანკინში

შანხაი, 4 სექტემბერი. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ნანკინში მძვინვარებს ხოლერა. ყოველდღე იხოცება უამრავი ხალხი, განსაკუთრებით ჯარისკაცები (ადს).

დამხმარე ძალები სუნ-ჩუან-ფანისათვის

შანხაი, 4 სექტემბერი. გოვენის სააგენტო იუწყება, რომ, ოფიციალური ცნობების თანახმად, სუნ-ჩუან-ფანი დაბრუნდა პენპუში.

სუნ-ჩუან-ფანის ჯარებიდან, რომლებიც გადავიდენ მდინარე იანცზის სამხრეთ ნაპირზე, ტყვედ წაყვანილია 5000 კაცი, დანარჩენმა დაიხიეს ჩრდილოეთისაკენ—ცზიანსუს პროვინციისაკენ.

მუკდენის სარდლობა პეკინში იხილავს სუნ-ჩუან-ფანისათვის დამხმარე ძალების საკითხს (ადს).

ექსპედიცია მეკობრეთა ახალშენის გასანადგურებლად

შანხაი, 4 სექტემბერი. გონკონგიდან იუწყებიან, რომ მეკობრეთა ახალშენის გასანადგურებლად ინგლისელებმა ბიას ნავსადგურში გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია ოთხი სამხედრო გემის შემადგენლობით (ადს).

15 საბჭოთა მოქალაქის საქმე

პეკინი, 4 სექტემბერი. 15 დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების საქმის წინასწარი გარჩევა განახლდება 6 სექტემბერს (ადს).

იძულებითი თანხმობა

შანხაი, 4 სექტემბერი. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ბანკის კაკოტრებისაგან გადასარჩენად გამოშვებულ სესხს იძულებით ავრცელებენ, კანტონის ზოგიერთი ბანკირები და სავაჭრო ფირმები უარს ამბობენ სესხის ობლიგაციების შეძენაზე.

ჯარებით დაკავებულ ბანკებს და სავაჭრო ფირმების სადგომებს ანთავისუფლებენ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეს ბანკები და ფირმები შეიძენენ სესხის ობლიგაციებს.

სავაჭრო პალატის და გილდიების თავმჯდომარეები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ როგორც მძევლები, გაანთავისუფლეს (ადს).

ახალი ზომები კომუნისტების წინააღმდეგ

შანხაი, 4 სექტემბერი. გომინდანის ორგანიზაციის ახალგაზრდობის განყოფილების მდივნის მოკვლასთან დაკავშირებით, პროპაგანდისტებს ნება დართეს ატარონ იარაღი და გაუფრთხილებლად ესროლონ კომუნისტებს. მიღებულია აგრეთვე განსაკუთრებული ზომები სკოლების დასაცავად (ადს).

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

ყრილობის შემადგენლობა

ედინბურგი, 4 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა მე-59 კონგრესს, რომელიც დღეს გაიხსნა, ესწრება რვაასი დელეგატი. **დელეგატების დიდი უმრავლესობა—პროფკავშირების თანამდებობის პირები. პროფესიონალური მასები ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილი კონგრესზე.** კონგრესზე დელეგატები ხმას აძლევენ მათ მიერ წარმოდგენილ პროფკავშირთა წევრების რიცხვის მიხედვით, და ამ**იტომ კონგრესის ბედი მთლიანად იმყოფება მსხვილ კავშირების ლიდერების პატარა ჯგუფების ხელში, რომელსაც შეუძლია მიაღებინოს კონგრესს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ამა თუ იმ საკითხზე.**

ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხი

ლონდონი, 4 სექტემბერი. ანგარიშში, რომელსაც ტრედ-იუნიონთა ედინბურგის ყრილობას წარუდგენს გენერალური საბჭო, საერთაშორისო საკითხებს დათმობილი აქვთ 40 გვერდი, მათ შორის საკითხს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შესახებ—16 გვერდი.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ედინბურგის კონგრესის მემარცხენე ფრთის ერთ-ერთ დელეგატთან ჰქონდა საუბარი გენერალურ საბჭოს ანგარიშის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შეეხება ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტს.

„ანგარიშის მთელი ეს ვრცელი განყოფილება,—სთქვა დელეგატმა,—შედგენილია მტრული კილოთი საბჭოთა პროფკავშირებისა და მათი ლიდერების მიმართ. გენერალური საბჭო განსაკუთრებით სცდილობს გამოიყენოს ტომსკის მთელი რიგი გამოსვლები საბჭოთა კავშირში და პირველ რიგში ტომსკის ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნებული იყო „უორკერს ლაიფ“-ში 1927 წლის 13 მაისს“ (ადს).

ედინბურგი, 4 სექტემბერი. **გენსაბჭოსთან ახლო მდგომ წრეებში უკვე აშკარად მოითხოვენ ყოველგვარი თანამშრომლობის შეწყვეტას საბჭოთა პროფკავშირებთან.** თუ გენსაბჭო შეიტანს წინადადებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის გაუქმების შესახებ, ადვილი მოსალოდნელია, რომ კონგრესმა მიიღოს ეს წინადადება.

მაგრამ საეჭვოა, რომ ამ საკითხში გენსაბჭომ აქტიურად იმოქმედოს კონგრესზე (ადს).

მეუმცირესეთა მოძრაობა და გენსაბჭო

ედინბურგი, 4 სექტემბერი. ედინბურგის კონგრესის დელეგატებს დაურიგდათ ტრედ-იუნიონთა გენსაბჭოს ანგარიში, რომელიც, სხვათა შორის, შეიცავს მეუმცირესეთა მოძრაობის შესახებ გენსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების განმარტებას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროფკავშირთა შარშანდელ კონგრესზე ბორნემუტში წარდგენილი **იყო გენერალურ** საბჭოს რეზოლიუცია, რომელიც შეუძლებლად სცნობდა პროფკავშირთა კონგრესზე იმ პროფკავშირთა საბჭოების მონაწილეობას, **რომლებიც** მეუმცირესეთა მოძრაობას ემხრობიან (ადს).

მთავრობის პროვოკაციის წინააღმდეგ

პარიზი, 4 სექტემბერი. ამერიკელ ლეგიონერთა მომავალი დღესასწაულის გამო საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობა, 23 აგვისტოს ამბების რევანშის მიზნით, მომავალ 19 სექტემბრის დღესასწაულს აძლევს პროვოკაციის ხასიათს და იმედი აქვს, რომ უმაგალითო რეპრესიებით დასძლევს პროლეტარიატის წინააღმდეგობას.

შემდეგ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ 19 სექტემბრის დღე უნდა გადაიქცეს რევოლიუციონურ აგიტაციის დღედ სამხედრო ვალების გაუქმებისა, მუშების, გლეხების და ღარიბ კლასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელებისა, ამნისტიისა და საბჭოთა კავშირის და ჩინეთის დაცვისათვის.

გამოქვეყნდა ფრანგ ფაშისტების დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ 19 სექტემბრის დღესასწაული უნდა შესდგეს, მიუხედავად ყოველივე მუქარისა. (ადს).

საბჭოთა პრესა

საბინაო აღმშენებლობა და მრეწველობა

საბინაო აღმშენებლობა სამეურნეო ფრონტის ერთი ჩამორჩენილი დარგთაგანია. რაც უფრო იზრდება საბჭოთა რესპუბლიკები ეკონომიურად და კულტურულად, მით მეტი საგრძნობი ხდება ბინის კრიზისი. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ბინის სივიწროვე მრეწველობის განვითარებაზე. მუშათა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესების საქმე სხვათა შორის პირდაპირ დაკავშირებულია ბინის საკითხის მოგვარებასთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ საკითხით განსაკუთრებით დაინტერესებულია პროფესიონალური კავშირებიც.

გაზეთ „ტრუდ“-ი ეხება თავის მოწინავეში პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას საბინაო აღმშენებლობის შესახებ და სწერს:

„პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ამ დარგში იძლევა ახალ პრინციპს, რომელმაც საფუძვლიანად უნდა შესცვალოს შექმნილი მდგომარეობა.

საბინაო ამხანაგობათა ნაცვლად საბინაო ტრესტების შექმნა ქალაქებში, განსაზღვრულ საბინაო ფონდის მრეწველობის საჭიროებისათვის გადაცემა, აღმშენებლობის მთავარ ორგანოებათ ადგილობრივ აღმასკომების და სამეურნეო დაწესებულებათა ცნობა, ბინების განსაზღვრულ დროით იჯარით გაცემის სისტემაზე გადასვლა,—ყველაფერი ეს, რაზედაც მიგვითითებს დადგენილება, შექმნის საბინაო ფონდის სახელმწიფოს მიერ რაციონალურად განაწილების შესაძლებლობას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას განვითარების გზაზე მდგომი მრეწველობის მოთხოვნილება“.

კანონის ენა

მშრომელთა სახელმწიფოში კანონი უნდა იწერებოდეს გასაგებ ენით და ამომწურავათ. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა კანონი ხდება ენის ბიუროკრატიზაციის მსხვერპლი. ამხ. ილინსკი „რაბოჩაია გაზეტა“-ში შემდეგს სწერს ამის შესახებ:

„ჩვენი კანონმდებლობა ძალიან ნაკლებათ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც უყენებდა ენას ლენინი. კანონის ენის მიხედვით კი იწერება ურიცხვი განკარგულებები, ბრძანებები, ცირკულიარები, ერთი სიტყვით დოკუმენტები, რომელთაც მოვალეობის მიხედვით კითხულობს მილიონი კაცი. ყველა ამ არხების მიხედვით ცოცხალი ენა ნაგვიანდება, რაიც ამძიმებს და ბურუსში ხვევს სრულიად უბრალო საკითხს.

საპასუხისმგებლო, ადმინისტრატიულ და სამეურნეო თანამდებობაზე ჩვენ გვყავს მუშაკები, რომელნიც მოსულნი არიან დაზგიდან და კავიდან. მათ უნდა გაატარონ კანონი, მაგრამ იმისათვის, რომ განახორციელო კანონი, პირველყოვლისა საჭიროა მისი გაგება“.

ასეთი ცუდის ენის გამო ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან სპეცი იურისკონსულტებიც კი.

„რაღა უნდა ვქნათ, განაგრძობს ამხ. ილინსკი, სახალხო მოსამართლეებზე, რომელთაც სპეციალური ცოდნა არა აქვთ და რომელნიც სწავლობენ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობით? რა უნდა ვთქვათ ჩვეულებრივ მოქალაქეზე, რომელსაც სურს გაიგოს კანონის მიერ მისთვის დაწესებული უფლებები?“.

ენის დამახინჯებას განსაკუთრებით კანონებში სხვა სახის ოფიციალურ მასიურ დოკუმენტებში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კანონი იწერება მასისათვის და არა ერთი მუჭა სპეციალისტებისათვის. ბუნდოვანი და „სწავლული“ ენით დაწერილი კანონი ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებათაგია მოსახლეობისა და ხელისუფლების დაახლოების საქმეში.

ერთა ლიგის სესიის წინ
ბრიანი თათბირობს

ჟენევა, 4 სექტემბერი. ბრიანს თათბირი ჰქონდა ადაშისთან (უნგრეთი), შტრეზემანთან და ავსტრიის დელეგატ მენსდორფთან.

ბრიანის და შტრეზემანის საუბარი ეხებოდა რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების საკითხს. ამ თათბირის შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ.

ბრიანის საუბარი ადაშისთან და მენსდორფთან ეხებოდა ერთა ლიგის პლენუმზე თავმჯდომარეობის საკითხს.

ადაშის პირველი კანდიდატურა უარყოფილია, ვინაიდან მან პირობად წამოაყენა ერთხმად არჩევა, რაც განუხორციელებია სამხრეთ-ამერიკის ერთ-ერთ რესპუბლიკის კანდიდატურის წამოყენების გამო.

მენსდორფის კანდიდატურა, როგორც სჩანს, წამოყენებულია იმ მიზნით, რომ რამოდენიმედ ამაღლებულ იქნას ავსტრიის პრესტიჟი და აგრეთვე იმ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, რომელიც სწარმოებს ავსტრიის გერმანიასთან შეერთების სასარგებლოდ.

მენსდორფი სხვათა შორის ცნობილია ნათესაური კავშირით ინგლისის უმაღლეს არისტოკრატიის წრეებთან. (ადს).

გერმანია-ბელგიის კონფლიქტი

ჟენევა, 4 სექტემბ. გერმანია-ბელგიის კონფლიქტის გამწვავებამ, რაიც გამოწვეულია იმით, რომ დაინიშნა შერეული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თავისუფალ მსროლელთა“ მოქმედება მსოფლიო ომის დროს, სენსაციური შთაბეჭდილება მოახდინა ჟენევის წრეებში.

გერმანია დათანხმდა, რომ ეს საკითხი, რომელიც ბელგიამ წამოაყენა, გამოკვლეულ იქნას და თავის მხრივ წინადადება შეიტანა დაინიშნოს კომისია; ეს წინადადება მიღებულ იქნა ვანდერველდეს მიერ.

ვანდერველდეზე ძლიერი გავლენა მოახდინეს ფრანგებმა, რომელთაც მიუთითეს მას იმაზე, რომ გერმანიამ შეიძლება გამოიყენოს პრეცენდენტი და მოითხოვოს ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხების ამგვარი წესით გამოკვლევა. ამის შემდეგ ვანდერველდემ დაუყოვნებლივ დასტოვა ჟენევა. ამასთანავე, როცა ვანდერველდე ჰაეროპლანით მიემგზავრებოდა, ბელგიის დელეგაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ ბელგიას უკან მიაქვს თავისი თანხმობა შერეული კომისიის დანიშვნაზე. ამ უარს დელეგაცია ასაბუთებდა იმით, რომ ვითომც გერმანიამ მოითხოვა კომისიის მოქმედების გავრცელება აგრეთვე სხვა საკითხებზედაც, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მსოფლიო ომისათვის პასუხისმგებლობასთან.

ამ ცნობას გერმანიის დელეგაცია კატეგორიულად უარჰყოფს. (ადს).

ვანდერველდეს უეცარი გამგზავრება

ჟენევა, 4 სექტემბერი. ჟენევის წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ვანდერველდეს უეცარმა გამგზავრებამ. ჟენევაში ჩასვლის შემდეგ ვანდერველდე ისევ უკან გაემგზავრა.

ვანდერველდეს გამგზავრებას ხსნიან მისი განზრახვით მოუსწროს ბელგიის მთავრობის სხდომას, რომელიც განიხილავს საკითხს გერმანია - ბელგიის კომისიის დანიშვნის შესახებ ომის დროს ჩადენილ სიმხეცეთა გამოხარკვევად. (ადს).

ვარშავის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის გარშემო

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ცნობა

ვარშავა, 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრეს-ბიურომ ყველა გაზეთებს დაუგზავნა შემდეგი ცნობა:

„წარმომადგენლობაში მომხდარ ამბებიდან ხუთი წუთის შემდეგ წარმომადგენლობამ ტელეფონით გამოიძახა გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, აცნობა ყველაფერი და სთხოვა დაუყოვნებლივ მოსულიყო წარმომადგენლობაში სათანადო ხელისუფლების წარმომადგენელთა თანხლებით.

ერთი საათის შემდეგ წარმომადგენლობაში მოვიდა გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი პროკურატურის და საგამომძიებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც მაშინვე შეუდგენ გამოძიებას.

საგამომძიებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსვლამდი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის საკონსულო განყოფილებამ გააჩერა იქ შემთხვევით შემოსული ოცამდე კაცი, რომლებიც მოწმე იყვენ მომხდარი თავდასხმის.

მრავალი მოწმეების ჩვენებით და გამოძიებით აღდგენილი იქნა მომხდარი ამბების სრული სურათი, რომელიც დაწვრილებით იყო მოყვანილი წარმომადგენლობის გუშინდელ ოფიციალურ ცნობაში“ (ადს).

ვინ არის ტრაიკოვიჩი

ვარშავა, 4 სექტემბერი. პოლონეთის პრესა მთელ რიგ ცნობებს ათავსებს საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაში თავდასხმის დროს მოკლულ ტრაიკოვიჩის შესახებ.

„ეკსპრესს პორანი“ იუწყება, რომ ტრაიკოვიჩი ვოიკოვის მკვლელის—კავერდას მეგობარი იყო.

„კურიერ პორრანის“ ცნობებით, ტრაიკოვიჩის მეურვე იყო რუსი ემიგრანტი **მისლინი**, რომელიც პოლონეთის მთავრობის განკარგულებით გადასახლებულ უნდა იქნას პოლონეთის საზღვრებიდან.

„ნაშ პშეგლონდის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ტრაიკოვიჩის ბინაზე ვილნოში, პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა და მრავალი წერილები აღმოაჩინა.

მოკლულ ტრაიკოვიჩის ოთახში ჰკიდია ყოფილ მეფის ოჯახის წევრთა სურათები (ადს).

ვარშავა, 4 სექტემბერი. „პშეგლონდ ვეჩერნი“ იუწყება, რომ **ტრაიკოვიჩი—მეფიის არმიის პოლკოვნიკის შვილია**, რომელიც 1921 წ. ჩამოვიდა პოლონეთში. **ის ეწეოდა მონარქისტულ მოღვაწეობას და კავშირი ჰქონდა გაბმული უცხოეთის მონარქისტულ ცენტრებთან.** (ადს).

ვარშავა, 4 სექტემბერი. შლესერის სიტყვით, ტრაიკოვიჩი მას ესაუბრებოდა წმინდა რუსულ ენაზე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ჯერ დაუდასტურებელ ცნობებით, ტრაიკოვიჩი რუს შავრაზმულ ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარედ იყო ვილნოში (ადს).

„აღმოსავლეთის ლოკარნო“

ჟენევა, 4 სექტემბერი. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს პოლონეთის განზრახვა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ განიარაღების საკითხზე დებატების დროს აღძრას უშიშროების გარანტიის საკითხი.

პოლონეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ეს ხმები სიმართლეს არ დეეფერება; ხოლო ზაუერვეინმა „მატენ“-ში გამოაქვეყნა პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც თითქმის ადასტურებს ამ ხმებს.

პოლონეთის გეგმების შესახებ დამატებით შეკრებილ ცნობებში ნათქვამია, რომ საქმე ეხება პროექტს, რომლის მიხედვით გარკვევით უნდა დაისვას საკითხი აღმოსავლეთ ლოკარნოს შესახებ; ეს უკანასკნელი მიმართული იქნება გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბალტიის სახელმწიფოების და პოლონეთის წარმომადგენლებს ჟენევაში უკვე ჰქონდათ საიდუმლო თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა სწორედ ეს საკითხი (ადს).

ოპოზიცია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ოპოზიციონურ ახალგაზრდობის მოწოდება

ვენა, 4 სექტემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის კავშირის ოპოზიცია ავრცელებს ახალ მოწოდებას კავშირის წევრებისადმი. **ამ მოწოდებაში ოპოზიცია ისევ აღნიშნავს სოციალ-დემოკრატიის დამარცხებას ივლისის დღეებში.** მოწოდებაში ნათქვამია: „რევოლიუციონური სინდისი ნებას არ აძლევს ოპოზიციას შემდეგშიაც სიჩუმით ჩაუაროს პარტიის და კავშირის ხელმძღვანელობის დამღუპველ პოლიტიკას. **სოციალ-დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ ორგანიზაციული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს პარტიის გაბურჟუაზიულებას,** რაც თანდათან უფრო იზრდება; პარტია შეურიგდა ივლისის დამარცხებას. გამოდით ყველა კრებებზე და მიტინგებზე და მოსთხოვეთ თქვენს ხელმძღვანელებს ანგარიშის ჩაბარება, შეამჭიდროვეთ მოძრაობის რევოლიუციონური ელემენტები“. (ადს).

ვენის ამბების გამო დაპატიმრებულთა პროტესტი

ვენა, 4 სექტემბერი. 4 სექტემბერს დაიწყო ივლისის დღეებში დაპატიმრებულთა პირველი საქმის განხილვა. ირჩეოდა 15 წლის ქარგლის **მერზელის** საქმე. მერზელს ბრალს სდებენ იმაში, რომ მან ვილაც უცნობ პირთან ერთად სიკვდილის მუქარით აიძულა ადვოკატი კნაპიჩი დაეთმო ასკუთარი ავტომობილი დემონსტრანტებისათვის. მერზელმა სასამართლოში განაცხადა, რომ მან ადვოკატს ავტომობილი მოსთხოვა დაჭრილების გადასყვანად.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე რატომ წარუდგინა მან კნაპიჩს ასეთი მოთხოვნილება,—ბრალდებულმა უპასუხა:

— „მე ვფიქრობ, რომ ყველა ვალდებულია გაუწიოს დახმარება დაჭრილებს“.

შემდეგ გამოვიდა დამცველი სოციალ-დემოკრატი **როზენფელდი**, რომელსაც თავმჯდომარემ რამდენჯერმე შეაწყვეტია სიტყვა და აუკრძალა პოლიციის მოქმედების გაკრიტიკება.

სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მერზელს პირობით მიუსაჯა ერთი თვით დაპატიმრება.

ანალოგიური დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემულ **შტეინ ბიუხლერს** მიუსაჯეს სამი თვით საკატორღო ციხეში დაპატიმრება. დამცველების მოთხოვნით სასამართლომ შტეინ ბლიუხერს გადაუდო სასჯელის მოხდის ვადა. (ადს).

უორკერს პარტიის მეხუთე ყრილობა

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. უორკერს პარტიის (კომუნისტური) მეხუთე ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობს ნიუ-იორკში, კომინტერნს გაუგზავნა მისალმება, რომელშიაც ნათქვამია: „უორკერს პარტის მეხუთე ყრილობა მიესალმება კომინტერნს, რომელიც არის მუშათა კლასის საერთაშორისო ბელადი. მისი ხელმძღვანელობით და ჩვენი მტკიცე და ერთსულოვანი გადაწყვეტილებით პარტიის მთლიანობის მისაღწევად ჩვენ გადავლახავთ ყველა უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც აღმართულია ამერიკის მასიურ კომუნისტურ პარტიის შექმნის გზაზე. პარტიის ყრილობა და ცენტრალური კომიტეტი კისრულობენ უახლოეს დროში მოსპონ ფრაქციულობის ყველა ნაშთები და განახორციელონ პარტიის მთლიანობა, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას შემდგომი მუშაობის წარმატებისათვის.

ჩვენ ვკისრულობთ განვახორციელოთ პარტიის მთლიანობა, რათა მეტი წარმატებით ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად, ომის საფრთხის წინააღმდეგ, და აგრეთვე წინააღმდეგობა გავუწიოთ კაპიტალისტურ რეაქციის და პროფკავშირთა რეაქციონურ ბიუროკრატიის შემოტევას ჩვენი პარტიისა და ამერიკის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ნაწილის წინააღმდეგ“. (ადს).

არჩევნები ოსმალეთში

წინასწარი ცნობები

ანგორა, 4 სექტემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ოფიციალური ცნობებით, მეჯლისის არჩევნების შედეგები 2 სექტემბრისათვის ასეთია: არჩევნები დასრულდა 23 ოლქში, არჩეულია 137 დელეგატი, სახალხო პარტიის საკანდიდატო სია სრულად გავიდა. **მუსტაფა ქემალი არჩეულია ანგორასა, იზმიდსა და მარიტოში. ბრუსსას ამომრჩევლებმა, რომლებმაც წინა არჩევნებზე წამოაყენეს დამოუკიდებელი კანდიდატი, მთლიანად მისცეს ხმა სახალხო პარტიას“,**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტონისაკენ

მოსკოვი, 5 სექტემბერი. 4 სექტემბერს „პრავდა" პოლიტიკურ მიმოხილვაში სათაურით „კანტონისაკენ" სწერს:

„მიუხედავად გომინდანის ბელადების გამცემლობისა და ჩან-კაი-შის მემკვიდრეთა საშინელი ტერორისა, რევოლიუციონური მოძრაობა სამხრეთში იზრდება. ყველა რევოლიუციონურ ელემენტებისათვის მიმზიდველ ცენტრს ამ შემთხვევაში წარმოადგენს რევოლიუციონური არმია, რომელიც გამოვიდა ნანჩინიდან იმ მიზნით, რომ გაემართოს კანტონისაკენ, იმ ქალაქისაკენ, სადაც აღიზარდენ რევოლიუციონური ჯარების ძირითადი საუკეთესო კადრები.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი იუწყება, ი-ე-ტინისა და ხო-ლუნის არმიებთ თავის დროზე დიდ როლს თამაშობდენ ხენანის ფრონტზე გამართულ ბრძოლებში. გლეხების პარტიზანული მოძრაობა, რომელიც ხელს უწყობს ამ რევოლიუციონური არმიების წინსვლას, თავისი მხრით ფართოდ ვითარდება რევოლიუციონური ჯარების წარმატებითი ოპერაციების წყალობით. ი-ე-ტინისა და ხო-ლუნის კანტონისაკენ მიმავალ არმიებს, რომლებიც წინად 20.000 ჯარისკაცისაგან შესდგებოდენ, გზა და გზა შეემატათ არარეგულიარული ნაწილები და ამჟამად ინგლისური გაზეთების ცნობით მათი რიცხვი 40.000 კაცს აღწევს. მთელი ის რაიონი, რომელიც ი-ე-ტინისა და ხო-ლუნის არმიებმა გაიარეს ან მათი ნაწილები იმყოფება, მოცულია რევოლიუციონური მოძრაობით, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

უშუალო შეტაკება რევოლიუციონურ არმიებსა და კანტონის დიქტატორის ჯარებს შორის ჯერ-ჯერობით არ მომხდარა, მაგრამ არის მთელი იგი ნიშნები, რომლებიც რევოლიუციონური არმიების მდგომარეობის გაუმჯობესებას მოწმობენ. იმ დროს, როცა რევოლიუციონური არმიების ზურგში სულ უფრო და უფრო ირაზმებიან რევოლიუციონური გლეხობის მასები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ არმიებს, ამ დროს ლი-ტი-სინის კონტრ-რევოლიუც. ჯარების ზურგში თანდათან იზრდება რევოლიუციონური უკმაყოფილება, რაიც აფერხებს კონტრ-რევოლიუციონური ჯარების აქტივობას. იქამდე შანხაიშიც კი, სადაც განსაკუთრებით ძლიერია გენერალების ტერორი მუშათა ორგანიზაციების მიმართ, არა მარტო კომპარტია, არამედ პროფკავშირების არალეგალური საბჭოც დიდ აქტივობას იჩენს, რაიც კარგად მოჩანს შანხაის იაპონიის საფეიქრო ფაბრიკებში გაფიცულ მუშების მაგალითზე.

ჩინეთის რევოლიუცია, მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა და გენერლების ღალატისა, მაინც წინ მიდის და იკრებს თავის ძალებს" (ადს).

26 ჯაშუშის საქმე

ლენინგრადი, 5 სექტემბერი. 3 სექტემბერს უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო 26 ინგლის-ფინელ ჯაშუშის გასამართლება. მთავარი ბრალდებულია მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი **გოიერი** და მის ახლო თანაშემწენი: **ვალიცკი**, ძმები **ხლოპუშინები** და **კუნიცინი**. ჯაშუშთა გარდა პასუხისგებაში მიცემულნი არიან აგრეთვე დამხმარენიდა დამფარველნი, მათ შორის სატყეო ინსტიტუტის ყოფილი დოცენტი **ნიკიტინი**.

მთავარი ბრალდებულები დანაშაულში გამოტყდენ. დამფარავნი არ ტყდებიან. ისინი მხოლოდ აცხადებენ, რომ ჯაშუშები მათ კონტრაბანდისტებად მიიღეს (ადს).

ვის და რისთვის ასამართლებენ

მშრომელთა ერთად-ერთი სახელმწიფოს მოსპობა,—აი, იმპერიალისტური ინგლისის ოცნება დღიდან ოქტომბრის გადატრიალებისა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ინგლისელი იმპერიალისტები ეხმარებიან დენიკინს სამხრეთ რუსეთში, იუდენიჩს—პეტროგრადთან, კოლჩაკს—ციმბირში, მაგრამ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების შეერთებულმა ძალამ გარეკა ყველა ამ გენერალ-ადმირალების კონტრრევოლიუციონური ბანდები. ინგლისმა თითქო ხელი აიღო საბჭ. წყობილების დამხობაზე შეიარაღებული ძალით. რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ მასთან თითქო ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ინგლისელ იმპერიალისტებს არას დროს, მთელ ამ წლების მანძილზე ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ თავიანთი ძველი ოცნება. საბჭოთა კავშირის ტერიტორია მოიფინა ინგლისის ჯაშუშებით, რომლებიც აგროვებდენ სამხედრო-ეკონომიური ხასიათის ცნობებს საბჭ. კავშირის შესახებ და ამასთან ერთად განმანადგურებელ მუშაობასაც აწარმოებდენ: აფეთქებდენ ხიდებს, ფაბრიკა-ქარხნებს, განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ პარტიის ბელადები და მთავრობის წევრები და, თუ ინგლისის ჯაშუშების მთელი ეს მუხანათური მუშაობა ვერ გვირგვინდება ინგლისის და საერთაშორისო იმპერიალისტების სურვილების თანახმად, ჩვენ ამას უნდა უმადლოდეთ ფხიზელ თვალს სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოსას, რომელიც დარაჯად უდგას პროლეტარიატის დიქტატურას.

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს უკანასკნელ გამარჯვებას საერთაშორისო ჯაშუშთა და კერძოთ ინგლისის ჯაშუშთა შტაბთან ბრძოლაში წარმოადგენს ინგლის-ფინეთის ჯაშუშთა ბანდის ლიკვიდაცია ლენინგრადის გუბერნიაში.

—:—

ჯაშუშთა ამ ბანდის ხელმძღვანელი იყო მისი „უდიდებულესობის"—ინგლისის მეფის ფლოტის კაპიტანი **ბოისი**, რომელსაც დავალებული ჰქონდა ინგლისის ჯაშუშთა ჩელის რეორგანიზაცია სკანდინავიის ქვეყნებში. ამ რეორგანიზაციის პირველი შედეგი იყო ის, რომ ინგლისის მზვერავ განყოფილების წარმომადგენლად ჰელსინგფორსში დაინიშნა მეფის არმიის პოლკოვნიკი ნ. ნ. **ბუნაკოვი**, ჯაშუშთა ჯგუფის ხელმძღვანელათ ტერიოკში (ფინეთი) კონტრრევოლიუციონერი ოფიცერი ვ. ვ. **სოკოლოვი**.

1924 წ. კაპ. ბოისმა ჯაშუშთა ორგანიზაციაში სამუშაოთ მიიწვია თავისი ძველი ნაცნობი ალბერტ ივანეს ძე **გოიერი**, მეფის საზღვაო ატაშეს ფარული თანაშემწე კოპენჰაგენში, გოიერი და ბოისი ომის დროს ეწეოდენ ჯაშუშობას დანიაში, თვალყურს ადევნებდენ გერმანიის ფლოტს. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გოიერს არ გაუწყვეტია კავშირი ინგლისის კონტრ-დაზვერვასთან და განაგრძობდა მათთან მუშაობას მურმანსკში და არხანგელსკში, როდესაც ინგლისელები გარეკილ იქნენ ციმბირიდან, მათთან ერთად გადაბარგდა გოიერიც. 1924 წ. რეველში გოიერი შეხვდა თავის ძველ ნაცნობს კაპ. ბოისს, რომელმაც გააცნო მას ინგლისის სამხედრო მისიის წარმომადგენელი რეველში კაპიტანი **მიქელ-ჯონი**, რომლის დირექტივების თანახმად უნდა ემუშავნა გოიერს საბჭ. კავშირში.

1925 წ. გოიერი ჩამოვიდა საბჭ. კავშირში და მოეწყო სამსახურში „სოვტორგფლოტში", ლენინგრადში. სამსახურში მოწყობისთანავე გოიერი შეუდგა ჯაშუშურ მუშაობას. საიდუმლო ცნობები იგზავნებოდა ფინეთის დიპლომატიური ფოსტით. ჯაშუშურ ცნობებს დებდენ ორ კონვერტში. ზედა-კონვერტს ჰქონდა წარწერა, რომელსაც არ შეეძლო რაიმე ეჭვების აღძვრა: „ფინეთის საგარეო სამინისტრო. ფინეთის ელჩს დ-რ ხოლსტის,—რეველი"; მეორე კონვერტზე კი—„ერნესტ ტ. ბოისს".

1926 წ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველომ ეჭვი აიღო გოიერზე, რომელიც დააპატიმრა, მაგრამ საკმაო საბუთების უქონლობის გამო, ჩქარა გაანთავისუფლა.

განთავისუფლების შემდეგ გოიერმა სახიფათოდ მიიჩნია ლენინგრადში დარჩენა და ოდესაში გადაბარგდა. გზაში მან გაიცნო „დობროფლოტის" მოსკოვის კონტორის თანამშრომელი ვლადიმირ **ვალიცკი**, რომელიც დასთანხმდა ემუშავა ჯაშუშთა ორგანიზაციაში.

ჯაშუშების მეორე ჯგუფი მუშაობდა ვ. ვ. სოკოლოვის ხელმძღვანელობით (ტერიოკიდან) და ფინეთის მზვერავ განყოფილების ენერგიული დახმარებით. ამ ჯგუფის აქტიური მუშაკები იყვენ ძმ. ხლოპუშინები, ყოფ. პრივატ-დოცენტი ნიკიტინი, კულაკი ივან შიტიაგინი და სხვ. ჯაშუშებს მოწყობილი ჰქონდათ კონსპირატიული ბინები ლენინგრადის გუბერნიაში. მათი მთავარი დახმარებანი მფარველნი იყვენ კულაკები, ყოფ. მეფის მოხელეები და საერთოდ რევოლიუციის მიერ სანაგვე ყუთში გადაყრილი ადამიანები.

რა რიგ ფრთხილად არ მუშაობდენ ინგლის-ფინეთის ჯაშუშები, მაგრამ გაერთიანებულ სახ. პოლიტ-სამმართველოს ფხიზელ თვალს მაინც ვერ გამოაპარეს ეს მუშაობა.

პირველათ დაპატიმრებულ იქნა ვალიცკი, შემდეგ გოიერი. მათი დაპატიმრების დროს ნაპოვნ დაშიფრულ დოკუმენტების წაკითხვის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ჯაშუშების მთელი ბანდის ლიკვიდაცია და ჯაშუშები, მათი ხელისშემწყობ პირებითურთ, სულ 26 კაცი—პასუხს მისცემენ პროლეტარულ სასამართლოს თავისი მოღვაწეობისათვის".

ღამის ცნობები

ტრაიკოვიჩი არ შეცდა

ვარშავა, 4 სექტემბერი. „ნაშ პშეგლონდ"-ი იუწყება, ვილნოდან, რომ ვარშავაში გამგზავრების წინ ტრაიკოვიჩი ნერვიულობდა და შეკითხვაზე, თუ როდის დაბრუნდება ვარშავიდან, უპასუხა: „არ ვიცი, შეიძლება მე ვერავინ ვეღარ მნახოს", შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ტრაიკოვიჩმა რამოდენიმეჯერ სთხოვა თავის დას, რათა უკანასკნელს დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მისთვის ფული ვარშავაში, თუ კი ის მოითხოვდა ამას დეპეშით. (ადს).

პოლიციას დააგვიანდა

პრაღა, 4 სექტემბერი. მაშინ როდესაც პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა დაიკავეს ის მოედანი, რომელზედაც პირველად დანიშნული იყო მიტინგი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად,—რამოდენიმე ათასმა მუშამ მიტინგი მოაწყო ქალაქის სხვა მოედანზე და დემონსტრაციებით გაიარა პრაღის მთავარ ქუჩებზე. მიტინგის ადგილზე პოლიცია გამოცხადდა მხოლოდ მაშინ, როცა მიტინგიც და დემონსტრაციებიც უკვე გათავებული იყო. (ადს).

ვენის მუშები მოემგზავრებიან საბჭოთა კავშირში

ვენა, 4 სექტემბერი. 9 სექტემბერს, ვენის 30 მუშა, რომლებიც მძიმედ დაიჭრენ ივლისის ამბების დროს, მოემგზავრებიან 6 კვირით დასასვენებლად ყირიმის კურორტებში. მგზავრობას აწყობს რიმედასის ავსტრიის სექცია. (ადს).

დაპატიმრებანი ბუდაპეშტში

ვენა, 4 სექტემბერი. ბუდაპეშტის პოლიციამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, თითქოს აღმოჩენილია „დიდი კომუნისტური შეთქმულება". ცნობაში ნათქვამია, რომ 2 სექტემბერს ღამით ბუდაპეშტში და მის მახლობელ უბნებში პოლიციამ მოაწყო მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. ბუდაპეშტში დაპატიმრებულია 32 კაცი, მის მიდამოებში—38. (ადს).

პროფკავშირთა ყრილობის გახსნა ედინბურგში

ედინბურგი, 5 სექტემბერი. პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერების განწყობილების ნათელ სურათს იძლევა პროფკავშირთა კონგრესის ოფიციალური გახსნა, რომელსაც დაესწრო 1000-ზე მეტი კაცი.

ხიკსი, პუ, სიტრინი და მარგარიტა ბონფილდი, რომლებიც გამოვიდენ სიტყვებით, სრული სიწყნარით ჰყვიროდენ გვერდს ინგლისის მუშათა მასების ინტერესებისათვის სასიცოცხლო საკითხებს, პუ ნახევარ საათს ლაპარაკობდა მხოლოდ კვირა - დღის შესახებ, როგორც დასვენების და რელიგიის ჩვეულებათა შესრულების დღის შესახებ. ის ხაზს უსვამდა იმას, რომ საჭიროა მუშათა მოძრაობაში „სულიერ მისწრაფებათა" შეტანა. მარგარიტა ბონფილდის სიტყვაც წარმოადგენდა ქადაგებას „მორალისა და რელიგიის შესახებ". ის ჰგმობდა მემარცხენეთა „ოჩნეობას", ურწმუნოებას და განაცხადა, რომ „ლიდერებსაც აქვთ უფლება სწამდეთ ღმერთი". კონგრესის გახსნისას მთელი ცერემონია ჰგავდა საეკლესიო ცერემონიებს, თვითეული ორატორის გამოსვლის შემდეგ უკრავდა ორკესტრი. მემარცხენე წრეების ირონიულ განცხადებებს იწვევს ის გარემოება, რომ ორკესტრის მიერ შესრულებული ერთ-ერთი მუსიკალური პიესა ამოღებული იყო ოპერიდან „[illegible] ხმაური [illegible]". (ადს).

გუანდუნში ამბოხებულთა მოძრაობა იზრდება

შანხაი, 5 სექტემბ. ჰონგკონგის გაზეთების ცნობით, პარტიზანული ომი გუანდუნის სამხრეთით ისევ გაძლიერდა. ვინაიდან მოძრაობა არაჩვეულებრივად ფართოვდება, კანტონის დიქტატორმა ლი-ტი-სინმა გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც რეგულიარულ არმიას უნდა შეუერთდეს.

ეს ნაწილი მოქმედებს ამბოხებულთა წინააღმდეგ — ამავე რაიონებში, გაგზავნილია აგრეთვე 2 სამხედრო გემი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად სანაპირო ზოლში. (ადს).

თავდასხმა ამერიკის საელჩოს მდივანზე

ბერლინი, 5 სექტემბ. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„დრეზდენში შაბათს, საღამოს 9 საათზე, ბისმარკის ალეიაში, მორო ძეგლის მახლობლად ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საელჩოს მდივანს ემილ შტეგერს თავს დაესხა უცნობი პირი, რომელმაც ესროლა მას. მსროლელი დაიმალა. ემილ შტეგერი მაშინვე მოათავსეს საავადმყოფოში. იგი ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ დღემდე არ ძალუძს ჩვენების მიცემა. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია: პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით იყო გამოწვეული თავდასხმა. გამოძიება სწარმოებს" (ადს).

ქარიშხალი შავ ზღვაზე

ოდესა, 4 სექტემბერი. შავ ზღვაზე დიდი ქარიშხალია.

ნოვოროსიისკი, 5 სექტემბერი. 2 სექტემბერს ზღვაზე მოვიდა დიდი ქარიშხალი, გემი „კურსკი" ღელვის გამო ვერ შედის ნავთსადგურში. გელენჯიკის ახლოს ტალღებმა გაიტაცეს ნავი რამდენიმე ათეული მგზავრით. ნავთსადგურში მუშაობა შეწყვეტილია. ქარიშხალმა ქალაქში ჩამოგლიჯა აბრები, დააზიანა სახურავები და ჩამოგლიჯა მრავალი ფანჯარა. ქარიშხალი ძლიერდება. (ადს).

ფოსტით

ტულა, 5 სექტემბერი. ბოგოროდსკის მემინდვრეობის ტეხნიკუმმა ტიმირიაზევის სახელობის აკადემიიდან მიიღო ფოსტით ერთი დღის გამოჩეკილი 25 წიწილა. 2 საათის შემდეგ წიწილები სავსებით ჯანმრთელად იქნენ მიღებულნი. წიწილების ფოსტით გაგზავნას აქვს ცდის ხასიათი იმ მიზნით, რომ მეურნეობებს ფოსტით დაეგზავნონ ჯიშიანი ქათმები.

როგორ ჩატარდა ახალგაზრდათა დღე

თბილისი

4 სექტემბერს თბილისში ამინდი სწრაფად შეიცვალა. წინა დღეების სულის მხუთავ სიცხეების ნაცვლად, ღრუბლიანი და ნამდვილი შემოდგომის დღე დაიჭირა. არაჩვეულებრივათ აგრილდა. თითქმის იმდენად, რომ საზაფხულო ტანსაცმელში მოქალაქენი სიცივეს გრძნობდენ. დროგამოშვებით წვიმაც მოდიოდა.

მაგრამ ამინდის ამგვარ მოულოდნელ ცვლილებას ახალგაზრდობის საზეიმო განწყობილებაზე გავლენა არ მოუხდენია. კომკავშირის რაიკომების შენობებთან დილიდანვე ფუსფუსი და მოძრაობა იყო. ქუჩები თანდათან ივსება ახალგაზრდა დემონსტრანტებით. ირგვლივ მხიარულების ჟრიამულია, ისმის ორკესტრების ხმა, დემონსტრანტების მოხდენილი სიცოცხლით ალსავსე სიმღერა. განსაკუთრებით იშვიათ სანახაობას წარმოადგენს დემონსტრაცია მზის ჩასვლის შემდეგ. დემონსტრანტები ლამპრებით ხელში და ფერად-ფერადი მაშხალების სროლით მიიმართებიან რუსთაველის პროსპექტზე. კომკავშირის ცეკა გაჩირაღდნებულია, მრავალ ბჟყვრიალა თვალმარგალიტით შემკობილი, ის იშვიათი სილამაზით გამოიყურება სახლების მწკრივიდან. შენობის შუა ადგილას, სახურავთან ტრიალობს ელექტრონის ფერადი სანათურებით შემკული ბორბალი. საქ. კომკავშირის ცეკას წევრებს მხურვალედ ესალმება ახალგაზრდათა კოლონები. ისმის დაუსრულებელი ვაშა და ურა. ცეკას შენობიდან დემოკრაცია მიემართება თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც ალმასკომის გაჩირაღდნებული შენობა მხიარულათ მიეგებება მათ.

უკვე საკმაოთ გვიან იყო, მაგრამ ქალაქში მხიარულების ხმა არ შეწყვეტილა. თითქმის ყველგან გაისმოდა მწყობრათ მიმავალ დემონსტრანტების სიმღერა და ახალგაზრდული ხიცილ-კისკისი. უნებლიეთ ხანში შესული მოქალაქეებიც გაიტაცა ზეიმმა. ბევრ ადგილას ახალგაზრდებთან ერთად მხიარულათ უვლიდენ ისინიც ლეკურს.

4 სექტემბერს საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობამ ცხადჰყო, რომ მან იცის არა მარტო შრომა და პოლიტიკური მუშაობა, არამედ კულტურული დასვენების მოწყობა, ნამდვილ სახალხო ზეიმის გამართვა და ხალხური მხიარულება.

მოსკოვი

მოსკოვი, 5 სექტემბერი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს—4 სექტემბერს წითელ მოედანზე თავი მოიყარეს რაიონების დელეგაციებმა. მავზოლეის ტრიბუნაზე იდგენ კომკავშირის ხელმძღვანელები, პარტიულ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ამხ. **კალინინი, უგლანოვი, იაროსლავსკი, უნშლიხტი, ბუდიონი, შაცკინი** და სხვ. მავზოლეის მარცხენა მხარეზე მოთავსდა გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

მიტინგი გახსნა საკ. ლ. ა. კ. კ. მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. **კოსარევმა**.

ამხ. კოსარევის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხ. **უგლანოვი**, „ამჟამად ისე, როგორც არასოდეს,—განაცხადა ამხ. უგლანოვმა,—პროლეტარიატის ახალგაზრდა კადრებმა უნდა შესძლონ ორგანიზაციულად შეკავშირება, უნდა შესძლონ შეამჭიდროვონ რიგები და გამოსჭედონ რევოლიუციონური გამბედაობა მომავალ ბრძოლებისათვის, მოსკოვის პროლეტარიატის ახალგაზრდა კადრები შესძლებენ გამოიჩინონ რევოლიუციონური შეგნება, რევოლიუციონური გამბედაობა და ჩადგებიან მებრძოლთა პირველ რიგებში".

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას სახელით კრებას მიესალმა ამხ. **იაროსლავსკი**. მან სთქვა: „ცეკა დარწმუნებულია, რომ ჩვენი კავშირის და ყველა ქვეყნის კომკავშირელები შესძლებენ დასძლიონ მოსალოდნელი განსაცდელი და მტკიცეთ შეხვდებიან საშიშროებებს, რომლებიც წამოჭრილი არიან ჩვენი კავშირისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის წინაშე, როდესაც ჩვენ ვხედავთ, როგორი თავგამეტებით მუშაობს ჩინეთის კომკავშირი და როგორ ვაჟკაცურად იცავს პროლეტარიატის ინტერესებს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და სხვ. ქვეყნების ძმური კომკავშირი, ჩვენ ვამბობთ, რომ პროლეტარულ რევოლიუციის საქმე უზრუნველყოფილია.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **შაცკინმა**, რომელმაც მოუთხრო კრებას, თუ როგორ შეიკრიბა 5.000 ახალგაზრდა ბოლშევიკი და მათი თანამგრძნობი უპარტიო ახალგაზრდობა 1917 წლის 15 ოქტომბერს წითელ მოედანზე, რათა პირველად რუსეთის ისტორიაში ედღესასწაულნათ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

„კაპიტალისტები იარაღს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—იარაღს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, — განაცხადა ამხ. **ბუდიონიმ**, რომელიც მიესალმა ახალგაზრდობას წითელი არმიის სახელით, მაგრამ თუ მათ განახორციელეს თავისი შემოტევა, შეხვდებიან წინააღმდეგობას ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო უძღვნის თავის მხურვალე სალამს ახალგაზრდა პროლეტარიატის საერთაშორისო არმიას".

საკ. ა. ლ. კ. ცეკას სახელით დემონსტრანტებს მიესალმა ცეკას მდივანი ამხ. **კუდრიავცევი**.

კომინტერნის აღმასკომის სახელით მოსკოვის მუშურ ახალგაზრდობას მიესალმა ამხ. **რემელე**. „როდესაც ყველა ქვეყნებში მზადდებოდა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა,—სთქვა მან,—მუშური ახალგაზრდობა მაშინ იკრიბებოდა და პროტესტს აცხადებდა მომავალ ომის წინააღმდეგ. უკვე მაშინ იყო აშკარა, რომ მუშურ ახალგაზრდობას ეს ომი არ სურდა. მაშინ მუშურმა ახალგაზრდობამ იწყო თავის მოყრა გენიალურ ბელადის—**კარლ ლიბკნეხტის** ხელმძღვანელობით, რათა ორგანიზაციული წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალიზმისათვის. ეს ჩვენ გვაძლევს იმედს, რომ დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობა ახლაც გაუწევს წინააღმდეგობას იმ ახალ ომს, რომელსაც ამზადებენ იმპერიალისტები მსოფლიოში ერთად ერთ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ".

გერმანიის მუშურ-ახალგაზრდობის დელეგაციის დავალებით დემონსტრანტებს მიესალმა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ბარტელი**.

მიტინგის დასრულების შემდეგ რაიონების დემონსტრაციებმა გაიარეს მავზოლეისთან. მთელი დღის განმავლობაში წითელ მოედანზე გაიარა 200.000-მდე კაცმა.

კვირა საღამოს მოსკოვის ყველა რაიონებში შესდგა მუშურ ახალგაზრდობის მასიური სეირნობა. ამ სეირნობათა პროგრამაში შედიოდა სასპორტო შეჯიბრებები, ხალხური ცეკვა—თამაში და სხვა გასართობები. კომკავშირის ბევრი უჯრედები წარმატებით ამთავრებენ „ინტერნაციონალურ შაურის" შეგროვებას. (ადს).

უცხოეთი

პოლიციამ აკრძალა

პრაღა, 4 სექტემბერი. პოლიციამ პრაღაში აკრძალა დემონსტრაციები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის გამო. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკამ და კომკავშირის ცეკამ მშრომელებს მოუწოდეს განაცხადონ პროტესტი მუშათა მოძრაობის გაძლიერებული დევნის წინააღმდეგ. (ადს).

ინსტრუქცია ოქტომბრის საიუბილეო ადგილობრივ კომისიებს

მოსკოვი, 5 სექტემბერი. კომიტეტმა, რომელსაც დავალებული აქვს ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარება, შეიმუშავა ინსტრუქცია ყველა ადგილობრივ საიუბილეო კომისიებისათვის, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იუბილეს ჩატარების დროს შეძლების დაგვარათ უნდა იქნეს აცილებული შაბლონები.

დემონსტრაციებს უნდა ჰქონდეს სხვა ხასიათი: დემონსტრანტები უნდა მოძრაობდენ ერთმანეთის შესახვედრათ, შეხვედრის დროს უნდა ესალმებოდეს ერთმანეთს და უნდა მიიღონ მონაწილეობა ალლუმში.

დემონსტრაციების გარდა, უნდა მოეწყოს მასიური სეირნობა ქუჩებსა და მოედნებზე, სანახაობანი, ცეკვა-თამაში, სააგიტაციო პროცესიები და სხვ. თვითეული მიტინგი არ უნდა გაგრძელდეს 8 წუთზე მეტი. (ადს).

მანევრები ოდესის რაიონში

მოსკოვი, 5 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ოდესის მანევრებში. ამ დღეებში მანევრებში მონაწილეობის მისაღებად ოდესაში გაემგზავრება საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების გენერალური მდივანი **ალექსინსკი**. ოდესის მანევრებში შესრულებულ იქნება სამი ამოცანა: დესანტის გადასხმა ზღვის ნაპირზე, შეხვედრითი ომი და შეტევა თხრილებში დამალულ მოწინააღმდეგებზე. ამგვარად ეს მანევრები მოხდება ზღვაში და ხმელეთზე. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასა ერთსულოვნად გმობს ოპოზიციას

„ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას ჩვენ ვუპასუხებთ პარტიულ რიგების მეტი შემჭიდროვებით; — ადგილობრივი ოპოზიცია პარტიის მიერ უკვე გაკიცხულ ქართულ უკლონისტების მემარჯვენე ფრთას წარმოადგენს. ფრაქციული მუშაობა აფერხებს სოციალისტურ მშენებლობას და იმედს უღვივებს გულში ოქტომბრისაგან წელში გატეხილ კონტრ-რევოლიუციას; — თუ ოპოზიცია არ შესწყვეტს თავის დეზორგანიზატორულ მუშაობას, პარტიამ მას შესაფერისი ადგილი უნდა მიუჩინოს. — ყოფ. ოპოზიციონერები სვანიძე და ხუნდაძე აღიარებენ თავიანთ შეცდომას და მოუწოდებენ ოპოზიციაში მყოფ ამხანაგებს ხელი აიღონ პარტიის გამთიშავ მუშაობაზე".

უკანასკნელი გაფრთხილება ოპოზიციას

გუშინ, საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა 1-ლი რაიონის უჯრედების ჯგუფური კრების მეორე და უკანასკნელი სხდომა, რომელსაც დაესწრო 400 კაცი.

კრებამ მოისმინა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. საკ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ამხანაგებმა.

კრებაზე გამოვიდენ აგრეთვე ამხ. ვაშაკიძე და ამხ. სვანიძე. ამხ. ვაშაკიძემ თავის სიტყვაში გამართა დემაგოგია, მაგრამ კრებამ მას არ მისცა საშუალება დაემთავრებია თავისი დემაგოგიური სიტყვა. მას სიტყვას აწყვეტინებდენ ძახილით: „კმარა", „საჭირო არ არის", „ძირს" და სხვ.

მეორე ოპოზიციონერმა ამხ. სვანიძემ განაცხადა, რომ ის უკანასკნელ დრომდე ღრმა შეცდომის გამო იმყოფებოდა ოპოზიციის რიგებში, მაგრამ ახლა შეიგნო, რომ ოპოზიციის ხაზი შემცდარია და ამიტომ სტოვებს მას და მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგებს მიბაძონ მის მაგალითს.

შემდეგ გამოვიდა ყოფილი ოპოზიციონერი ხუნდაძე, რომელმაც აგრეთვე აღნიშნა, რომ ისიც შეცდომით იმყოფებოდა ოპოზიციაში; ის მოუწოდებს ყველა მუშა-პარტიულებს, რომლებიც შემთხვევით მოხვდენ ოპოზიციაში, დაუბრუნდენ პარტიის რიგებს და განაგრძონ ბრძოლა საერთო საქმისათვის. ამ დროს ადგილიდან ვიღაცამ დაიძახა: „ახლა კი კარგ ადგილს მოგცემენ", მაგრამ ამხ. ხუნდაძემ განაცხადა, რომ სანამ ის გადასწყვეტდა ოპოზიციიდან გამოსვლას, მას აძლევდენ საპასუხისმგებლო სამუშაოს, მაგრამ ის ვერ წავიდა ამ სამუშაოზე, ვინაიდან დარწმუნებული არ იყო, რომ პარტიამ იცის მისი ოპოზიციონერობა; პარტიის მოტყუება კი მას არ უნდოდა. თავის სიტყვის დასასრულში ამხ. ხუნდაძე მოუწოდებს აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებიც კიდევ არ გამიჯნულან ოპოზიციისაგან, მიატოვონ იგი და იბრძოლონ საერთო საქმისათვის ლენინურ პარტიის რიგებში.

ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთ. პლენუმის შედეგების შესახებ, დეპოს, ვაგონების პარკის, საგზაო სამსახურის მე-6 უბნის, საქონლის სადგურის და სატელეფონო სახელოსნოს უჯრედების ჯგუფური კრება სავსებით და მთლიანად უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს, კრება სიამოვნებით აღნიშნავს, რომ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანამ გასული წლის განმავლობაში მთელ რიგ რეალურ წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა (ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების აგება) და სოფლის საწარმოო ძალთა ზრდის დარგში, რაიც უეჭველად ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ელემენტების ზრდას.

კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის განმტკიცებასთან ერთად იზრდება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სიმპატია საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც წარმოადგენს ერთად-ერთ ქვეყანას, სადაც მუშათა კლასი აშენებს სოციალიზმს; ამასთანავე იზრდება მძულვარება საბჭოთა კავშირისადმი მსოფლიო ბურჟუაზიის მხრივ, რომელიც ყოველი ძალ-ღონით სცდილობს ხელი შეუშალოს სოციალისტურ აღმშენებლობას და აწყობს კაპიტალის მთლიან ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პარტიისათვის ამ საპასუხისმგებლო მომენტში შინაპარტიული ოპოზიცია, იმის მაგივრად, რომ პარტიასთან და მუშათა კლასთან ერთად იმუშაოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის ფრონტზე, წყალსასხამს რევოლიუციის მტერთა წისქვილზე, ნერგავს რა მათში იმედს პარტიის გათიშვისა და მუშათა კლასის ციტადელის დაღუპვის შესახებ.

კრება აღნიშნავს, რომ პარტია, ც. კ. და ც. საკ. კომ. უკანასკნელ პლენუმის სახით, მოიქცა სრულიად სწორად, რომ მისცა საშუალება ოპოზიციის ბელადებს მიატოვონ თავისი ფრაქციული დამშლელი აზრები და იმუშაონ პარტიასთან ერთად.

მაგრამ ოპოზიციონერები არ სარგებლობენ ამ საშუალებით და ისევ განაგრძობენ ფრაქციულ ბრძოლას პარტიისა და ცეკას წინააღმდეგ.

კრება კატეგორიულად მოითხოვს შინაპარტიულ ოპოზიციისაგან, რომ მან შესწყვიტოს გამთიშველი და დეზორგანიზატორული მუშაობა და წესრიგისაკენ მოუწოდებს ზომიერება და კარგულ ოპოზიციონერებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციონერები უნდა გამოირიცხონ საქ. კ. პარტიის (ბ) რიგებიდან".

რეზოლიუცია მიღებულია ყველა ხმებით ორის წინააღმდეგ, სამმა თავი შეიკავა. კრებას დაესწრო 400 კაცი.

ღირსეული პასუხი პარტიის გამთიშველებს

მესამე რაიკომის დარბაზში შესდგა შემდეგი კომუჯრედების ჯგუფური კრება: აღმშენებლობის, ძაგარის სახელოსნოს, სამხედრო წისქვილების, მაკარონის ფაბრიკის, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს, აბანოების, იზოლიატორის, სამთო ტრესტის, რადიო - სადგურის, მეტყევეთა, ფეხსაცმელების კოლექტივის, ამიერ - კავკ. სახვაჭრობის, ამიერ - კავკ. მებამბეობის კომიტეტის, მტვირთველების, კარაქის მე-2 ქარხნის, გემო - კვების კავშირის, სრ. საკავ. საფეიქრო სინდიკატის, „ტექსტილ ტორგის" და შტატგარეშე ტრანსპორტის.

კრებამ, რომელზედაც დაესწრო 500 კაცი, მოისმინა ამხ. ბეჟანიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კრება სავსებით და მთლიანათ იწონებს და უერთდება პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს.

კრება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად სთვლის პლენუმის გადაწყვეტილებას საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის შესახებ და სცნობს, რომ ოპოზიციის გამოსვლა ამ საკითხების გარშემო და ბრალის დადება ცეკასთვის ტერმიდორიანობაში, კულაკურ გადახრაში და იმაში, რომ ცეკას პოლიტიკა დაღუპვამდე მიიყვანს ჩვენს ქვეყანას, არის ცილის წამება, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის ძალთა დასუსტებას და კოზირს აძლევს ხელში საერთაშორისო კონტრ - რევოლიუციას და სოციალ - დემოკრატიას, რომელიც სისტემატიურად ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმის მაგივრად, რომ დაეხმაროს პარტიას ასეთ პირობებში, როცა გაფთრებული კამპანია სწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მჭიდროდ დაირაზმოს ლენინური ცეკას ირგვლივ, ოპოზიცია თავისი ფრაქციული და დეზორგანიზატორული მოქმედებით მიექანება პარტიის პირდაპირი გათიშვისა, მეორე პარტიის შექმნის გზაზე.

კრება ამავე დროს აღშფოთებით ჰგმობს „15-ის პლატფორმას" (საპრონოვის, სმირნოვის და სხვა), რომელიც წარმოადგენს აშკარა მენშევიკურ პლატფორმას და საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნას იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელი მოაწერა ანტიპარტიულ პლატფორმაზე, პარტიულ ზეგავლენის მკაცრი ზომები თვით პარტიიდან გარიცხვამდე.

კრება აღნიშნავს ადგილობრივ ოპოზიციის—ყოფილ უკლონისტების — აღმაშფოთებელ გამოსვლას, რომლებიც არა ერთხელ სცდილობდენ ჩვენი პარტიის რიგებში დეზორგანიზაციის შეტანას და მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა და მოცემულ დაპირებებისა, ისევ განაგრძობენ ფრაქციულ და გამთიშველ მუშაობას. კრებას საჭიროდ მიაჩნია მათი გამორიცხვა პარტიიდან, თუ ისინი არ შესწყვეტენ ფრაქციულ მუშაობას.

ოპოზიციას, რომელიც ახცდა ლენინურ გზას, უნდა დაუპირდაპირდეს ჩვენი პარტიის მონოლითობა, რკინის დისციპლინა და პარტიის დირექტივების და დადგენილებების ცხოვრებაში მტკიცედ გატარება.

უფრო შევამჭიდროვოთ პარტიის რიგები

სოხუმი, 5 სექტემბერი. 4 სექტემბერს საერთო-საქალაქო პარტიულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივიც, მოსმენილ იქნა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც იგი სავსებით და მთლიანად უერთდება პლენუმების გადაწყვეტილებებს. ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის საკითხში კრება სავსებით იზიარებს ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის დადგენილებას და აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს ლენინის ხაზს ოპოზიციის წინააღმდეგ. კრება გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვს ოპოზიციის წინააღმდეგ, თუ იგი კვლავ განაგრძობს გამთიშავ მუშაობას. გარდა ამისა, კრება სასტიკი ზომების მიღებას მოითხოვს 15-ის პლატფორმაზე ხელის მომწერთა წინააღმდეგ. კრება ჰგმობს ადგილობრივ ოპოზიციას, რომელიც ყოფილი ქართველი უკლონისტების [illegible] ნაშთებისაგან შესდგება. კრება სცნობს, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის დადგენილება უკანასკნელი გაფრთხილებაა.

გურიის ორგანიზაცია პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

გურიის პარტიულ ორგანიზაციაში უკვე დაიწყო ცეკას პლენუმის შედეგების დამუშავება. პარტიული კრებები ყველგან აქტიურად ტარდება.

კრებები უკვე ჩატარდა ოზურგეთში, ხვარბეთში და შემოქმედში. ხუთ სექტემბრისათვის მოწვეულია გურიის კომიტეტის პლენუმი, იმის დასახასიათებლად, თუ როგორ უპასუხებს გურიის ორგანიზაცია ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას. მოგვყავს შემდეგი ერთხმად მიღებული რეზოლიუცია.

ს. ქ. პ. (ბ) ქ. ოზურგეთის სათემო პარტიულმა კრებამ კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა ამხ. ქ. ზურგნაძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აგვისტოს გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე; მთლიანად და სავსებით უერთდება ცეკას ყველა გადაწყვეტილებას.

უკანასკნელ წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ცეკას სწორი ლენინური ხელმძღვანელობის მეოხებით მოიპოვა მთელი რიგი სამეურნეო მიღწევები. თავდაცვის უნარიანობა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია სამეურნეო აღმშენებლობაზე, ამ მხრით ცეკას მიერ მოცემული დირექტივა მომავალ სამეურნეო აღმშენებლობისათვის უსათუოდ სწორია, ოპოზიცია სამეურნეო საკითხებშიც იჩენს თავის იდეურ სიბეცეს. მას არ სწამს ჩვენში სოციალისტურ ელემენტების ზრდა.

ოპოზიციას ეძლევა უკანასკნელი გაფრთხილება, პარტია არასოდეს არ წავა ლენინური პარტიის განხეთქილებაზე, ოპოზიცია უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მთელი პარტიის ნებისყოფას.

საერთო პარტიული კრება თავის გულის სწყრომას გამოსთქვამს ადგილობრივ „ნაციონალისტურ და მენშევიკურ" ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობის გამო და საჭიროდ სცნობს მკაცრ ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ.

კრება სთხოვს გურიის კომიტეტს მიიღოს გადამჭრელი ზომები მაზრაში ფრაქციულ დეზორგანიზატორულ მუშაობის მწარმოებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან პარტიის აქტივის მუშაობას.

ს. ო.—ძე.

ოთხშაბათს, 7 სექტემბერს საღამოს 6 საათზე
პროფკავშირთა საბჭოს დარბაზში
შესდგება **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის**
გაფართოებული პლენუმი
რაიკომების წევრების და მსხვილ უჯრედების
მდივნების მონაწილეობით

დღის წესრიგი:
1) თბილისის საბჭოს მასიური მუშაობის შესახებ.
2) უჯრედთა ბიუროების ხელახალი არჩევნების კამპანიის შესახებ.
3) რაიონული და თბილისის პარტ-კონფერენციების მოწვევის შესახებ.

10 წლის წინად

კორნილოვის და კერენსკის შეთქმულება

მდგომარეობა ივლისის დღეების შემდეგ

3—4—5 (16—17—18) ივლისის დღეები რადიკალურ გარდატეხის მიჯნაა თებერვლის რევოლიუციის ისტორიაში. ცენზიანმა ბურჟუაზიამ დაინახა, რომ კერენსკი - წერეთლის „სოციალისტური" მთავრობა არც ისე საშიშია, როგორც ფიქრობდენ პირველ ხანებში, და „უკეთესი დროების" მოლოდინში სავსებით შეიძლება მათზე დაყრდნობა — საკუთარი საქმეების კეთება ამ „სოციალისტის" ხელით.

დროებითი მთავრობა, რომელმაც კაზაკების და იუნკრების საშუალებით სისხლში ჩაახრჩო მასების რევოლიუციონური გამოსვლა, ერთგვარ მორალურ ვალდებულობას გრძნობდა ბურჟუაზიის წინაშე, რომლის შეიარაღებულმა ძალამ (კაზაკები — ეს იყო ბურჟუაზიის ყველაზე საიმედო ძალა) იხსნა იგი მშრომელი მასების რისხვისაგან. კერენსკი და კომპანია ისეთი გაფთრებით შეუდგა რევოლიუციონური ორგანიზაციების დევნა - დარბევას, რომ ნიკოლოზ მეორის ჟანდარმებსაც კი შეშურდებოდათ.

დროებითი მთავრობის ზოგიერთი „ღონისძიებების" ჩამოთვლა — საკმაო იქნება იმ ტერორის საილუსტრაციოთ, რომელიც გამეფდა ივლისის ამბების შემდეგ:

5 (18) ივლისს დაარბიეს „პრავდა"-ს რედაქცია და სტამბა.

6 (19) ივლისს დროებითმა მთავრობამ დაადგინა პასუხისგებაში მისცეს „როგორც სამშობლოსა და რევოლიუციის მოღალატენი, ყველა ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდა ხალხის მიერ შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში და მის ორგანიზაციაში".

7 ივლისს კერენსკიმ გასცა ბრძანება ბალტიის ფლოტის ცენტრალური კომიტეტის დაშლის და სამხედრო გემებზე — „პეტროპავლოვსკზე", „სლავაზე" და „რესპუბლიკაზე" გამოტანილ რევოლიუციონური რეზოლიუციების ავტორების დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულ იქნა ბალტიის ფლოტის დელეგაცია, რომელიც დაპატიმრებულ კრონშტადტელ მეზღვაურების განთავისუფლებას მოითხოვდა. იმავე დღეს დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება ლენინის, ზინოვიევის და კამენევის დაპატიმრების შესახებ.

8 ივლისს აკრძალეს „პრავდა"-ს, „სოლდატსკაია პრავდა"-ს და „ოკოპნაია პრავდა"-ს გავრცელება ფრონტზე.

17—30 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. წერეთელმა გასცა ბრძანება „სასწრაფო და სასტიკი ზომები მიიღონ ყველა თვითნებობათა აღმოსაფხვრელად აგრარულ ურთიერთობაში".

და, ბოლოს, როგორც დაგვირგვინება დროებითი მთავრობის კონტრ - რევოლიუციონური პოლიტიკის, — ფრონტზე შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯა.

ყველაფერ ამას საბჭოების ცაკის სათავეში მოქცეული ესერები და მენშევიკები ასაღებდენ „რევოლიუციის ხსნათ".

შემთანხმებლურმა ცაკმა მიიღო შემდეგი დადგენილება: „1) ქვეყანა და რევოლიუცია საფრთხეშია, 2) დროებითი მთავრობა ცხადდება რევოლიუციის ხსნის მთავრობათ, 3) მას ეძლევა განუსაზღვრელი რწმუნებები არმიის ორგანიზაციისა და არმიაში დისციპლინის აღსადგენად, „კონტრ - რევოლიუციისა და ანარქიის ყოველგვარ გამოხატულებასთან საბრძოლველათ".

და კერენსკიმაც ფართოდ ისარგებლა მიღებული რწმუნებებით. მოხალისეებისა და იუნკრების საშუალებით იგი შეუდგა „კრამოლის" ამოფხვრას ჯარში. განიარაღებულ იქნენ მთელი სამხედრო ნაწილები, რომლებსაც ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობა დასწამეს. ამავე დროს, შინაგან საქმეთა მინისტრი წერეთელი ენერგიულ ზომებს იღებდა „ანარქიასთან" საბრძოლველად. 11 (24) ივლისს მან გამოაქვეყნა ბრძანება „ქუჩაში შეკრებისა და მსვლელობათა აკრძალვის და ყოველგვარი ზომებით,— თუგინდ ამისათვის სამხედრო ძალის გამოყენება შეიქნეს საჭირო, — ამბოხების ყოველი ცდის აღკვეთის შესახებ".

მიიღო რა მოქმედების სრული თავისუფლება, კერენსკიმ ერთბაშად მოუხვია მარჯვნივ და დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ კვლავ აღორძინებია კოალიციონური მთავრობა. ის უკვე იყო მთავრობის თავმჯდომარე. პატარა კაცუნას, რევოლიუციის ტაკი - მასხარას თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო. დამოკიდებულება, თუგინდ მინიმალურიც, საბჭოების ცაკისაგან და პასუხისმგებლობა უკანასკნელის წინაშე, თუგინდ მოჩვენებითი, მას უმძიმდა. მინისტრ - პრეზიდენტობა მთავრობაში, რომელშიც მას მოუხდებოდა ჯდომა ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, რომელნიც ღირსეულად დააფასებდა მის ღალატს რევოლიუციის წინაშე მას უფრო უღიმოდა. და აი, 12 (25) ივლისს კერენსკი ოფიციალურად მიდის სადარბაზოდ „გაბერილ" როძიანკოსთან, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან (ეს კომიტეტი თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებიდან განაგრძობდა არსებობას და პრეტენზიებს აცხადებდა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობაზე) და თათბირს მართავს მასთან მმართველობის ორგანიზაციის შესახებ. როძიანკომ განაცხადა, რომ მთავრობა უნდა შესდგეს სახ. სათათბიროს დროებითი კომიტეტის მონაწილეობით.

კერენსკი დასთანხმდა ამ წინადადებაზე და ისე მოაწყო საქმე, რომ მომავალ მთავრობაში პრემიერობა შეენარჩუნებია. 13 (26) ივლისს ყველა მინისტრებმა ჩააბარეს კერენსკის განცხადება გადადგომის შესახებ, რომ გაეადვილებიათ მისთვის მოლაპარაკება ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებთან.

აი, როგორ აგვიწერს ამ ფაქტს მილიუკოვი თავის „რუსეთის მეორე რევოლიუციის ისტორიაში".

„რადგან მთავარ დაბრკოლებას არასოციალისტურ პარტიებთან მოლაპარაკების დროს წარმოადგენდა ის, რომ მათ სრულიად არ სურდათ ეცნოთ მთავრობის დამოკიდებულება საბჭოებისგან, ა. ფ. კერენსკი ახალ თვალსაზრისზე დადგა. მან განაცხადა, რომ კაბინეტის წევრებს შეარჩევს ინდივიდუალურათ, გარეშე მათი პარტიული მრწამსისა, და ისინი არ ჩაითვლებიან პარტიების მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილებად და პასუხისმგებლათ მათ წინაშე, როგორც ეს იყო პირველი კოალიციის დროს. რადგან ეს მინისტრ სოციალისტებსაც ანთავისუფლებდა ფორმალური პასუხისმგებლობიდან თავიანთი პარტიული ორგანიზაციების წინაშე, სახალხო თავისუფლების პარტიის (კადეტების) ც. კ. სისრულით დართო ნება თავის წევრებს—ვ. დ. ნაბოკოვსა და ნ. ი. კიშკინს, რომლებსაც პირადათ მიმართა ა. ფ. კერენსკიმ, დაემყარებინათ უშუალო კავშირი მინისტრ-თავმჯდომარესთან. ამავე დროს, ა. ფ. კერენსკიმ გამართა მოლაპარაკება ვაჭარ-მრეწველებთან, რომლებიც პეტროგრადში აყენებდენ ნ. ნ. კუტლერისა და მოსკოვში ს. ნ. ტრეტიაკოვის კანდიდატურას".

გამხნევებულმა იმით, რომ თვით საბჭოებში დარაზმული „დემოკრატია"—ყველა ეს ესერები, მენშევიკები და სხვა თბილკანიანი სოციალისტები,—ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის შიშით მზად არიან ცეცხლითა და მახვილით აღგავონ პირისაგან მიწისა ბოლშევიკური პარტია, რომელსაც სრული საფუძვლით თვლიდენ რევოლიუციონური მასების ერთად-ერთ ხელმძღვანელათ, გამხნევებული იმით, რომ ბუნებრივი სიმხდალე ვერ აბედვინებს ამ პარტიებს კავშირი გასწყვიტონ ბურჟუაზიასთან,—უკანასკნელმა წამოაყენა თავისი პროგრამა-მინიმუმი, რომლის განხორციელების გარეშე უარს ამბობდა „დემოკრატიასთან" თანამშრომლობაზე დროებითი მთავრობაში.

ა. ფ. კერენსკის მიპატიჟებაზე დროებითი მთავრობაში, კადეტთა პარტიის წარმომადგენლებმა ნ. ასტროვმა, ნ. კიშკინმა და ვ. ნაბოკოვმა უპასუხეს წერილით, რომელშიც მოყვანილი იყო ის პირობები, რომელთა მიღების შემდეგ კადეტები თანხმდებოდენ მთავრობაში შესვლაზე ის პირობები იყო.

1) ჩაურევლობა სახელმწიფო მმართველობის საქმეებში ყოველგვარი ორგანიზაციებისა და კომიტეტების მხრივ; 2) ყველა მთავარ სოციალური რეფორმების განხორციელება და აგრეთვე სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხის გადაჭრა ყოველ პირობებს გარეშე უნდა გადაიდვას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე; 3) სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებში სამხედრო კომიტეტების ჩარევის სასტიკად აკრძალვა; 4) მრავალ-მმართველობის აღკვეთა და სასტიკი ბრძოლა ანარქისტულ ელემენტებთან; 5) ომისა და ზავის საკითხებში დაცული უნდა იქნას სრული თანხმობა მოკავშირეებთან და სხვ.

რა რიგ შემთანხმებლურად არ იყო განწყობილი საბჭოების ცაკი, ამ აშკარა კონტრ-რევოლიუციონური პირობების მიღება მანაც ვერ გაბედა. მოლაპარაკება შეწყდა, მაგრამ კერენსკი მას განაგრძობდა ფარულად ცაკისგან, რომ იძულებული გეხადა ცაკი დათმობაზე წასულიყო, კერენსკიმ შემდეგ ფანდს მიმართა: 20 ივლისს (2 აგვისტოს) მისი ბრძანებით მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენეს გენ. ბრუსილოვი და მის ადგილზე დაინიშნა გენ. კორნილოვი (თუ რა იყო საჭირო კერენსკისათვის ამ ნაბიჯის გადადგმა, ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) იმავე დღეს, კერენსკის დაჟინებითი მოთხოვნით გადადგა ჩერნოვი, ვითომდა იმ „ბრალდებებისაგან" რეაბილიტაციის მიზნით, რომლებიც მას „რეჩ"-ში წაუყენა მილიუკოვმა, მეორე დღეს კი, გადადგა თვით კერენსკი და გაემგზავრა ფინეთში.

შემთანხმებლური ცაკი პანიკამ მოიცვა. მენშევიკ-ესერებმა ატეხეს განგაში, რომ „რევოლიუცია იღუპება", რადგან მისი „მხსნელი" გადადგა.

კერენსკიმ მიაღწია მიზანს.

22 ივლისს (8 აგვისტოს) იგი უკვე პეტერბურგში იყო ცაკის მიწვევით. მას დაევალა ახალი კოალიციონური მთავრობის შედგენა ყველა პარტიების მონაწილეობით.

ესერ-მენშევიკურმა ცაკმა მცირეოდენი პაუზის შემდეგ მთლიანად მიიღო კადეტების მოთხოვნები.

ნ. ლენინი თავის „კონსტიტუციონურ ილიუზიებში", რომელიც დაწერილია 26 ივლისს (8 აგვისტოს), გვაძლევს საუკეთესო დახასიათებას თებერვლის რევოლიუციის ამ ეტაპისას:

„ესერ-მენშევიკებმა ხელფეხი შეიბორკეს მთელი თავისი პოლიტიკით, როგორც შებორკილი ადამიანები. ისინი პიტერში მოუწოდებდენ (ან ითმენდენ მოწვევას) კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებს. ამან კი ისინი უფრო შებორკა. ისინი დაგორდენ საძაგელი კონტრრევოლიუციის უფსკრულში. ისინი მხდალებივით შლიან თავისივე კომისიას, დანიშნულს ბოლშევიკების „საქმის" განსახილველად, ისინი ვერაგულად ხელში უდებენ ბოლშევიკებს კონტრ-რევოლიუციას. ისინი თავს იმცირებენ და მონაწილეობას იღებენ მოკლულ კაზაკების დასაფლავების დემონსტრაციაში და ამრიგად ხელებს უკოცნიან კონტრრევოლიუციას.

ისინი შებორკილი არიან. ისინი ორმოს ფსკერზე გდიან.

ისინი ხან აქეთ ეცემიან და ხან იქით, პორტფელს აძლევენ კერენსკის, მიდიან კანოსაში კადეტებთან, აწყობენ „სათემო კრებას" 1) ანუ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის კორონაციას მოსკოვში. კერენსკი სამსახურიდან ითხოვს პოლოვცევს.

მაგრამ ეს აქეთ-იქეთ ქანაობა რჩება ქანაობათ და ოდნავ არ სცვლის საქმის ნამდვილ შინაარსს. კერენსკი სამსახურიდან ითხოვს პოლოვცევს*) და იმავე დროს აყალიბებს აკანონებს, პოლოვცევის ღონისძიებებს. მის პოლიტიკას, ხურავს „პრავდა"-ს, შემოაქვს სიკვდილით დასჯა ჯარისკაცებისათვის, კრძალავს მიტინგებს ფრონტზე, განაგრძობს ბოლშევიკების დაპატიმრებას (კოლონტაისაც კი!) ალექსინსკის პროგრამის მიხედვით.

„კონსტიტუციის ბუნება" რუსეთში განისაზღვრება განსაცვიფრებელი სიცხადით: შეტევა ფრონტზე და კოალიცია კადეტებთან ზურგში ესერ-მენშევიკებს აგორებს კონტრ-რევოლიუციის ორმოში. სინამდვილეში კი, სახელმწიფო ძალაუფლება გადადის მის ხელში, სამხედრო ბანდის ხელში. კერენსკი და წერეთლისა და ჩერნოვის მთავრობა მხოლოდ შირმაა მისთვის, ისინი იძულებული არიან უკანა რიცხვით დააკანონონ მისი ღონისძიებები, მისი ნაბიჯები, მისი პოლიტიკა.

კერენსკის, წერეთლის, ჩერნოვის ვაჭრობას კადეტებთან აქვს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა, თუ მეათე ხარისხოვანი არა. გაიმარჯვებენ ამ ვაჭრობაში კადეტები, თუ წერეთელი და ჩერნოვი კიდევ გასძლებენ „მარტო"—საქმის შინაარსი ამით არ შეიცვლება. ესერების და მენშევიკების მობრუნება კონტრ-რევოლიუციისაკენ (მობრუნება ნაკარნახევი მთელი მათი პოლიტიკით 6 მაისის შემდეგ) რჩება ძირითად, მთავარ გადამწყვეტ ფაქტად.

პარტიული განვითარების ციკლი დასრულდა. ესერები და მენშევიკები მიგორავდენ საფეხურიდან საფეხურამდე, კერენსკისადმი, „ნდობიდან" 28 თებერვალს, 6 მაისამდე რომელმაც გადააჯაჭვა ისინი კონტრ-რევოლიუციას, 5 ივლისამდე, როცა ისინი ფსკერამდე ჩაგორდენ მასში.

იწყება ახალი პერიოდი. კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება იწვევს მასების იმედის გაცრუებას ესერებისა და მენშევიკების პარტიებისადმი და გზას უხსნის მათ გადასვლას რევოლიუციონური პროლეტარიატის მხარის დაჭერის პოლიტიკისადმი".

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა, რომ ნ. ლენინი იოტის ოდენათაც არ შემცდარა მომენტის შეფასებაში.

კერენსკი ბედნიერების მწვერვალზე გრძნობდა თავს; მილიონიან მასების მბრძანებლის როლში ის ცდილობდა დაეცვა მდგომარეობის შესაფერი პოზა. საბჭოების ცაკისაგან მოჩვენებითი დამოკიდებულებიდან განთავისუფლებული, იგი ცდილობს გაამართლოს ბურჟუაზიის ნდობა და გაამართლოს დახასიათება, რომელიც შემდეგში მას უძღვნა მილიუკოვმა.

„ორ რუსულ სოციალისტურ მიმდინარეობათაგან ის (კერენსკი) ეკუთვნოდა იმას, რომელიც უფრო ახლო იდგა რუსეთის [illegible] სინამდვილესთან და უფრო ელასტიური იყო თავის დოქტრინაში და ამიტომ უფრო მეტად შეეძლო წასვლა კომპრომისზე... ამ მიმდინარეობაში ის იყო [illegible] წევრი და ეკუთვნოდა მემარჯვენე ფრთას... კერენსკიმ დროებითი მთავრობაში შესვლის პირველივე დღიდან გამოამჟღავნა მზად ყოფნა წასულიყო თავის პარტიასთან კავშირის გაწყვეტაზეც კი..., ამიტომ ახლა, როცა ასეთი გადაწყვეტილება ობიექტიურად აუცილებელი შეიქნა,—კერენსკი შეუდარებელი იყო"..

კერენსკიმ რევოლიუციის პირველი დღეებიდან გამოიჩინა არაჩვეულებრივი პატივმოყვარეობა. იგი პეტროგრადის საბჭოს ზურგს უკან შევიდა მთავრობაში. იგი განუწყვეტლივ ცდილობდა შექმნა თავის გარშემო რევოლიუციის „მხსნელის" შარავანდედი, მოეპოვებია ავტორიტეტი თავისი პოზიორობით, თეატრალობით, ისტერიკებით და როცა მენშევიკურ -ესერული ცაკის ლოცვა-კურთხევით შეიქნა მინისტრ-პრეზიდენტი, მიიღო მოქმედების სრული თავისუფლება და ავანსათ „დემოკრატიის" სრული ნდობა, ის სწრაფად მობრუნდა მარჯვნივ და დაიწყო მზადება დიქტატურისათვის.

კონტრ-რევოლიუციის მობილიზაცია

მაგრამ ბურჟუაზია არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ „დემოკრატია"-სთან თანამშრომლობის პირობების შედგენით. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა აღარ დასჭირდებოდა ძალაუფლების გაყოფა ესერ-მენშევიკებიდან ამისათვის საჭირო იყო საიმედო სამხედრო ძალის ყოლა და ბურჟუაზიაც შეუდგ ასეთი საიმედო სამხედრო ძალების შექმნას.

კონტრ-რევოლიუციონური სამხედრო ძალების მობილიზაციის კერას წარმოადგენდა მთავარ-სარდლის შტაბი, სადაც თავს იყრიდა კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრობა, სადაც მუშავდებოდა რევოლიუციის სისხლში ჩაღრჩობის და მონარქიის აღდგენის გეგმები, მეორე მხრივ, კონტრ-რევოლიუცია ირაზმებოდა ზურგშიც. მოსკოვში, პეტროგრადში და სხვა ქალაქებში არსდებოდენ სხვადასხვა „პატრიოტული" კავშირები, რომლებიც მიზნათ ისახავდენ „რუსეთისა და არმიის ძლიერების აღდგენას ძლიერი ხელისუფლების შექმნას" და სხ.

გენ. დენიკინი თავის მოგონებებში[2]) გვაცნობს, თუ როგორ ირაზმებოდა კონტრ-რევოლიუცია.

„ივნისის დამლევს პეტროგრადში სხვა მრავალთა შორის შეიქმნა პოლიტიკური ჯგუფი „რესპუბლიკანური ცენტრის" სახელწოდებით. მისი შემადგენლობა მცირე-რიცხოვანი და მეტად ჭრელი იყო. პოლიტიკური პროგრამა მეტად გაურკვეველი ჰქონდა, და თვით სახელწოდებაც არ გამოჰხატავდა მას პოლიტიკურ შეხედულებების ნამდვილ ბუნებას... ორგანიზაციაში მიღების დროს არავის ეკითხებოდენ: რა გრწამს; საკმაო იყო განცხადება, რომ სურს ბოლშევიკებთან ბრძოლა. პირველ ხანებში „რესპუბლიკანური ცენტრის" ხელმძღვანელები მიზნად ისახავდენ დახმარების აღმოჩენას დროებით მთავრობისათვის,... მაგრამ შემდეგ, დაინახეს რა უკანასკნელის სრული უძლურება, შეუდგენ ბრძოლას მასთან და მონაწილეობა მიიღეს გადატრიალების მზადებაში. ჯგუფს მოეპოვებოდა ფულადი საშუალებები, რომლებსაც იძლეოდა მსხვილი ფინანსიური ბურჟუაზია... აგვისტოს დამლევს „რესპუბლიკანური ცენტრის" სამხედრო სექციაში ითვლებოდა 4000-დე კაცი... დაბოლოს, საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა ოფიცერთა კავშირის მთავარი კომიტეტი. კომიტეტის არსებობის პირველი დღეებიდანვე მის შემადგენლობაში დაარსდა ფარული აქტიური კოლექტივი, რომელსაც შემდეგში შეუერთდა კომიტეტის მთელი შემადგენლობა... ამ კომიტეტმა მიზნად დაისახა მოემზადებია არმიაში ნიადაგი და ძალა სამხედრო დიქტატურისათვის... მყარდებოდა ცოცხალი ურთიერთობა კაზაკთა ჯარების კავშირის საბჭოსთან, სამხედრო ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

პირველ ხანებში გაურკვეველი იმედები, რომლებიც არ იყვენ ჩამოყალიბებული არავითარ კონკრეტიულ ფორმებში, როგორც ოფიცრობას შორის, ისე ლიბერალურ დემოკრატიაში და კერძოთ კადეტთა პარტიაში, დაკავშირებული იყვენ გენ. ალექსეევის სახელთან. შემდეგში მრავალი ორგანიზაციები სათანადო წინადადებებს აძლევდენ ადმირალ კოლჩაკს, რომელიც პრინციპიალურად არ უარყოფდა მოძრაობის სათავეში ჩადგომას... საიდუმლო მოლაპარაკებას მასთან ამ თემაზე[3]) აწარმოებდა კადეტთა პარტიის ლიდერი, მაგრამ, როცა გენ. კორნილოვი დაინიშნა მთავარსარდლად, ყოველგვარი ძიება შეწყდა... მოსკოვის თათბირის დღეებში მთავარსარდლის ვაგონში გაიმართა ისტორიული საუბარი მასა და გენ. ალექსეევს შორის:

„— მიხეილ ვასილის ძევ (ალექსეევი), საჭირო იქნება დაყრდნობა ოფიცერთა კავშირზე, რომელიც თქვენ მიერ არის შექმნილი, ჩაუდექით თქვენ სათავეში, თუ ფიქრობთ, რომ ასე უმჯობესია.

„— არა, ლავრ გიორგის ძევ (კორნილოვი), თქვენთვის როგორც მთავარსარდლისათვის, ეს უფრო ადვილია".

ამრიგად, დენიკინის მოგონებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ოფიცრობა და გენერლები ემზადებოდენ კონტრ - რევოლიუციონური გადატრიალებისათვის, ეძებდენ მხოლოდ ბელადს, რომელიც ჰპოვეს გენ. კორნილოვის სახით.

კერენსკიმ იცოდა ამ განწყობილებათა შესახებ. ამას ადასტურებს გენ. დენიკინიც, რომელიც თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ კერენსკიმ მათ მიუჩინა მზვერავები. მეორე მხრივ ამას ადასტურებს თვით კერენსკიც, რომელიც თავის წიგნში „კორნილოვი", აღიარებს[4]) რომ „კაზაკთა და ზოგიერთი საზოგადოებრივი წრეები არა ერთხელ აძლევდენ მას წინადადებას უძლური მთავრობა შეეცვალა თავისი დიქტატურით".

რომ კერენსკი თანაგრძნობით უყურებდა ამ გეგმას და მზად იყო ეკისრა „ქვეყნის მართვის მთელი სიმძიმე", ეს სავსებით დაამტკიცა მისმა მონაწილეობამ კორნილოვის შეთქმულებაში.

გენერალი კორნილოვი და მისი მარჯვენა ხელი ზავოიკო

გენერალ კორნილოვის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფის ე. ი. **მარტინოვის** *) დახასიათებით, კორნილოვი არასოდეს არ განირჩეოდა განსაკუთრებული სამხედრო და ორგანიზაციული ნიჭით. უდისციპლინობა და მერყეობა სამხედრო საკითხების და სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის დროს,—აი მისი დამახასიათებელი თვისებები, როგორც სამხედრო პირის სწორეთ ამ უდისციპლინობის შედეგი იყო ის, რომ 1915 წ. პირველში მისი მეორმოცდარვე დივიზია მთლიანად გაანადგურეს ავსტრიელებმა, თვით კორნილოვი კი ტყვედ წაიყვანეს.

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, მეორმოცდარვე დივიზიის განადგურება გენ. კორნილოვის უდისციპლინობის და მის მიერ გამოჩენილი დაუდევრობის შედეგი იყო. ე. ი. მარტინოვის *) სიტყვით, „ასეთი საქციელისათვის, ყოველ კეთილ-მოწყობილ არმიაში, დივიზიის უფროსი პასუხისგებაში იქნებოდა მიცემული, მაგრამ მეფის რუსეთში, მისი გადამახინჯებული წარმოდგენებით „სამხედრო მოქალაქობის" შესახებ და მიდრეკილებით, რომ ყოველგვარი უმნიშვნელო ფაქტი „გამარჯვებათ" გაესაღებიათ, ეს ბოროტმოქმედებაც უდიდეს „გმირობათ" გაასაღეს. *)

კორნილოვი და მისი დივიზიის ნაშთები „წმ. გიორგის" ჯვრებით დააჯილდოვეს. მეორმოცდარვე დივიზიის ბრიგადის უფროსი ჩერნოგორელი **პოპოვიჩი—ლიპოვაცი** შეეცადა გამოეაშკარავებია დივიზიის „გმირობის" ნამდვილი სურათი, მაგრამ ის იძულებული გახადეს გაჩუმებულიყო. *) კორნილოვის სახელი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან მოახერხა გაპარვა ავსტრიის ტყვეობიდან. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ, გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში, მან გაზვიადა თავისი გამოპარვის ამბავი, საერთო მრავალი ფანტასტიური მომენტები, ბოლგარულმა პრესამ კი ეს ამბები მთელ რუსეთს მოსდვა და კორნილოვის სახელის გარშემო შეიქმნა „სახალხო გმირის" შარავანდედი.

ომამდი მთელი სამხედრო სამსახური კორნილოვმა ციმბირში და ჩინეთის საზღვრებზე გაატარა. მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმ პოლიტიკურ ბრძოლებზე, რომელიც ევროპიულ რუსეთში სწარმოებდა. იყო უკიდურესი მონარქისტი და ტყვეთ ყოფნის დროს, როცა ავსტრიის გაზეთებიდან ტყობილობდა თვით მპყრობელობისა და პროგრესიული ბლოკის ბრძოლის ამბებს, ოცნებობდა გუჩკოვისა და პროგრესიული ბლოკის სხვა ლიდერების ჩამოხრჩობაზე.

ამან კორნილოვს არ შეუშალა ხელი განეცხადებია ნიკოლოზის გადმოგდების შემდეგ, რომ... „მომხდარი გადატრიალება წარმოადგენს საიმედო საწინდარს მტრებზე ჩვენი გამარჯვებისა მხოლოდ თავისუფალ რუსეთს, განთავისუფლებულს ძველ წყობილების მონობისაგან, შეუძლია გამოვიდეს გამარჯვებული მსოფლიო ომიდან.

ამ მომენტიდან დაიწყო კორნილოვის მონაწილეობა პოლიტიკაში. მაგრამ მას საამისოდ არ გააჩნდა არც შესაფერი ალღო და არც გამოცდილება, და აი მანც გაიჩინა შესაფერი მრჩეველი. სპეციალური ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში, ვინმე **ვასილ სტეფანესძე ზავოიკო**.

ზავოიკო იყო გამოქექილი, ავანტიურისტი ადამიანის ტიპი. ერთხანს ის იყო „ნობელის ფირმის რწმუნებული, დირექტორი საზ-ბა „ემბა-კასპი-ს", შუა-აზიის საზ-ბა „სანტოს" დირექტორის მოადგილე, აწარმოებდა საბანკო ოპერაციებს, აწყობდა შუშისა და სხვა ქარხნებს, იყო თანამშრომელი და თანაგამომცემელი პროტოპოპოვის შავრაზმული გაზეთის „ვოლია როსიი"-ს, 1917 წ. 23 აპრილიდან კი პეტროგრადში შეუდგა ყოველკვირეული „რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ" ჟურნალის „Свобода в Борьбе"-ს გამოცემას.

ზავოიკო, ეჭვს გარეშეა, არ იყო მოკლებული პოლიტიკურ ალღოს, კარგად ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში, ცხვირი იქეთ ჰქონდა საითაც ქარი ჰქრიდა და ალბათ მისი ზეგავლენით აიხსნება კორნილოვის „ფერისცვალებაც" თებერვლის პირველ დღეებში.

აგვისტო - სექტემბრის შეთქმულების დამარცხების შემდეგ საგამოძიებლო კომისიაში დაკითხულმა გენერალმა კორნილოვმა შემდეგი განაცხადა ზავოიკოსთან დამოკიდებულების შესახებ:

„მას კარგად ეხერხება წერა. მიტომ მე მას ვანდობდი იმ ბრძანებების და იმ ქაღალდების შედგენას, სადაც საჭირო იყო განსაკუთრებით ძლიერი, მხატვრული სტილი".

პ. მილიუკოვი გენ. კორნილოვის ამ განცხადებას შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

„კორნილოვი არ ამბობს მხოლოდ, რომ ზავოიკოს გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო სტილზე, არამედ იმ პოლიტიკური დოკუმენტების შინაარსზეც, რომლებსაც კორნილოვი აქვეყნებდა. ამრიგად, ზავოიკო გადაიქცა კორნილოვის მარჯვენა ხელად. ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. „იგი ავსებდა იმ თვისებებს, რომლებიც კორნილოვს აკლდა". *)

ისარგებლა რა თავისი კავშირით ქუჩურ პრესასთან, ზავოიკომ ჩქარა შეუქმნა კორნილოვს, რევოლიუციის ერთგული და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანის სახელი.

* *

(19) ივლისს გენ. კორნილოვი, სამხედრო მინისტრ კერენსკის ბრძანებით, სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის კომისარის ბ. სავინკოვის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, დანიშნულ იქნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის არმიების სარდლათ, მიუხედავათ იმისა, რომ მთავარსარდალი გენ. ბრუსილოვი ძლიერ ცუდი აზრის იყო კორნილოვზე, როგორც სტრატეგზე («Это начальник лихого партизанского отряда и больше ничего», — ასეთია გენ. ბრუსილოვის ატესტაცია კორნილოვის შესახებ).

აგვისტო-სექტემბრის გამოსვლის დამარცხების შემდეგ გამოირკვა, რომ გენ. კორნილოვი უკვე ამ დროს ემზადებოდა სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად და საამისოდ ნიადაგს სინჯავდა, თუმცა ჯეროვანი სიფრთხილით მოქმედებდა. ფილონენკო, მერვე არმიის კომისარი, თავის ჩვენებებში აღნიშნავს, რომ ზავოიკო კორნილოვის სახელით მივიდა მასთან და სავინკოვთან და განუცხადა, რომ „არმიაში დადის ხმები დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გამოცხადების შესახებ დიქტატორათ და გენ. კორნილოვი გვეკითხება ბ. სავინკოვსა და მე, თუ რამდენად შორს წავალთ ჩვენ მასთან, გენერალ კორნილოვთან, ასეთი დიქტატურის წინააღმდეგ".

ზავოიკოსა და კორნილოვს ამ მათ მიერვე შეთხზული ამბით სურდათ საერთოდ გამოერკვიათ „სოციალისტ"-კომისრების დამოკიდებულება სამხედრო დიქტატურისადმი.

მაგრამ ამ „სოციალისტებს" ეყოთ იმდენი რიგიანობა, რომ უარი განეცხადებიათ საუბარში ზავოიკოსთან ამ თემაზე.

გენერალი კორნილოვი ძლიერ დააფრთხო ამ მარცხმა, მან სასწრაფოდ გაგზავნა თავისი ოჯახი და გამოიწვია საიმედო „ტეკინცების" პოლკი, რადგან დაპატიმრების ეშინოდა.

როდესაც სავინკოვმა და ფილონენკომ პირდაპირ დაუსვეს კორნილოვს კითხვა მისი განზრახვების შესახებ, უკანასკნელმა უარყო რომ ის ისწრაფვის დიქტატურისაკენ და განაცხადა, რომ არავითარი დავალება ზავოიკოსათვის არ მიუცია.

კომისრების მოთხოვნით ზავოიკო გაძევებულ იქნა მთავარი ბანაკიდან. კონფლიქტი მოაგვარეს.

(დასასრული იქნება)

ე. წ—ძე.

---

1) სახელმწიფო თათბირი, რომელიც 1917 წ. 12 აგვისტოს მოიწვია კერენსკიმ.

*) ლენინგრადის სამხედრო ოლქის უფროსი იმ ხანებში.

[2]) «Очерки русской смуты».

*) Е. И. Мартынов. „Корнилов", საკავშირო რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს და საზღვაო სამხედრო კომისარიატის საქმეთა მმართველობის სტამბის გამოცემა.

[3]) იგულისხმება მილიუკოვი.

[4]) დ. სვერჩკოვი „კერენსკი", გვ. 54.

*) ე. ი. მარტინოვი, ყოფ. მეფის არმიის გენერალია. გენ. კორნილოვი ერთხანს მისი ხელქვეითი იყო.

*) იხ. მარტინოვის ხსენებული წიგნი, გვ. 15—16.

*) იხ. მარტინოვის დასახელებული წიგნი.

*) მილიუკოვი, „რუსეთის მეორე რევოლიუციის ისტორია".

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი აგარაკი

ოზურგეთი, 5 სექტემბერი. მიმდინარე წლის შემოდგომიდან დაიწყება გურიაში ახალი კურორტის მოწყობა გომის მთაზე, ტყეგვალოში, რომელიც მდებარეობს 6.645 ფუტის სიმაღლეზე. კურორტის სივრცე შეადგენს 20 ვერსს. ამ სივრცეზე არის სამი მთის მდინარე და მრავალი წყაროები. მის კალთებზე უდაბური წიწვიანი ტყეებია, რომელიც განსაკუთრებით შესდგება მთის ფიჭვისაგან. კურორტი დაშორებულია ოზურგეთს 25 ვერსით და შეერთებულია მასთან კარგი საურმე გზით, რომელიც ადვილად შეიძლება გადაკეთებული იქნეს საავტომობილო გზათ.

კურორტი გამოიკვლია პროფ. მოხეშვილმა და დადებითი დასკვნა გამოიტანა.

ახალი კურორტის გაშენებაში მონაწილეობას იღებს ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა და ბათომის, ქობულეთის, ოზურგეთის მცხოვრებნი (ადს).

ახალგ. საერთაშორისო დღე ბათომში

ბათომი, 5 სექტემბერი. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ბათომში დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. წინა დღით ყველა კლუბებში გაიმართა მრავალრიცხოვანი საზეიმო კრებები. ქალაქი მორთული იყო დროშებით, პლაკატებით და ილუმინაციებით.

დილით ადრე, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, დაიწყო ახალგაზრდათა, პიონერთა, ფიზკულტურის და არმიის ნაწილ. დემონსტრაცია.

საღამოსათვის დანიშნული მასიური დემონსტრაციები და მაშხალებით მსვლელობა ნიაღვარის გამო არ შესდგა. (ადს).

აფხაზეთი

ახალგ. საერთაშ. დღე სოხუმში

სოხუმი, 5 სექტემბერი. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის გამო შესდგა, სოხუმის კომკავშირის ორგანიზაციის საზეიმო კრება. კრებაზე მოსმენილ იქნა მრავალი მისალმებანი. დემონსტრაციები და კარნავალი ცუდი ამინდის გამო არ შესდგა. (ადს).

წერილები

საგზაო მშენებლობა შორაპნის მაზრაში

1926 წელს, საგზაო შრომითი ბეგარის საშუალებით, მაზრაში გაკეთდა სამაზრო, სათემო და სასოფლო მნიშვნელობის გზები—286 ვერსის მანძილზე.

მიმდინარე წელს განზრახულია გაკეთდეს დაახლოებით 304 ვერსი გზა, რომელიც უკვე გამიჯნულია.

სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ამას წინათ, საგზაო მშენებლობის მდგომარეობის გამოსარკვევად მოიწვია თემაღმასკომების თავმჯდომარეთა გაფართოებული თათბირი.

თათბირზე ადგილებიდან შეკითხვებში ამხანაგები უმთავრესად შეეხენ იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც ხელს უშლიან საგზაო მშენებლობას, და სხვა აღმშენებლობის საქმეს.

სამაზრო აღმასკომმა მაზრაში საგზაო მშენებლობისათვის თვითეულ თემს მისცა დაახლოებით 50 ფუთი ასაფეთქებელი მასალა. ეს მუშაობას უფრო გამოაცოცხლებს.

მ. გამყრელიძე.

სოფ. ბაგებში, კოჯრის თემი

დაგვიახლოვეთ სასწავლებელი

ჩვენი სოფლის სასწავლებელი მოთავსებულია სოფლიდან ნახევარი ვერსით დაშორებულ ყოფ. თავადის სახლში. ამიტომ ბავშვებს მძიმე პირობებში უხდებათ სწავლა. გლეხობა მოითხოვდა სასწავლებლის სოფელში გადმოტანას. საამისო შენობაც იქნა შეძენილი, მაგრამ ეს საქმე დღემდე არ არის მოგვარებული.

როგორც ხმები დადის, სასწავლებლისათვის შეძენილ შენობას ანგრევენ და გადააქვთ სოფლიდან ერთი ვერსის დაშორებით.

სასწავლებლის ასეთი მანძილით დაშორება სოფლიდან ხელს შეუშლის სწავლა-განვითარებას.

ადგილობრივმა საბჭომ სასწავლებლისათვის შენობა უნდა ააგოს შიგ სოფელში. ამით საბჭო გაუადვილებს ბავშვებს სწავლას და ხელს შეუწყობს სოფლის კულტურულ განვითარებას.

ვ. ელიზბარაშვილი.

სენაკის მაზრა

ტელეფონების ასეთი მუშაობა დაუშვებელია

სენაკის მაზრის თითქმის ყველა თემი მაზრასთან ტელეფონით არის დაკავშირებული. მაგრამ რათ გინდა ისეთი კავშირი, რომლითაც არც ისე ადვილად ისარგებლებ?

იმისათვის, რომ დაუძახო რომელიმე თემს, მთელი საათი უნდა ატრიალო ტელეფონის ტარი. უძახი სენაკის ცენტრალურ სადგურს, რომ შეგიერთოს ესა თუ ის თემი. ხშირად ცენტრალურ სადგურის მაგიერ, ნოქალაქევის, ახ ბანძის ტელეფონი გაგცემთ პასუხს. ტელეფონის მორიგეები, როცა მოეპრიანებათ, მაშინ მივლენ სადგურთან, შეგიერთებენ მარტვილს, მაგრამ მარტვილს შენთვის სად სცალია: მისი ტელეფონი აბაშის ტელეფონის მოხელე ქალს ეარშიყება და ბანძას უყვირის: „არ გაბედო და აბაშასთან ხაზი არ დამირღვიო“-ო.

კერძო საუბარს, არშიყობას ხშირად აქვს ადგილი ჩვენი მაზრის საფოსტო-სატელეფონო დაწესებულებებში.

ხშირად გათავებული არ გაქვს ლაპარაკი, როდესაც უცბად შეგიწყვეტენ ხაზს და ეძიე მერე უძახე რამდენიც გინდა—ვერაფერს გახდები.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ უნდა გამოარკვიოს სენაკის მაზრაში ტელეფონების მდგომარეობა და ზომები მიიღოს მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად.

ნ. შამათავა.

სოფ. კარდანახი, სიღნ. მაზრა

მოგვიწყვეთ მოტორიანი წისქვილი

ჯერ კიდევ 1925 წელს, კარდენახის თემის საბჭოს განზრახული ჰქონდა გაეკეთებია მოტორიანი წისქვილი, რომელიც გააუმჯობესებდა გლეხობის მდგომარეობას. მას შემდეგ განვლო ორმა წელმა, მაგრამ თემსაბჭოს ასეთი განზრახვა ჯერაც არ არის მოყვანილი სისრულეში. გლეხობა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება წისქვილების სიშორის გამო.

იმედია, ახალი საბჭო მიაქცევს ყურადღებას ამ მდგომარეობას და მაზრის დახმარებით მოაწყობს მოტორიან წისქვილს.

ვ. მათიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

შორაპნის მაზრა

ს. ორღული. მოსახლეობის თაოსნობით შენდება ოთხ წლედისათვის შენობა. სასწავლებელთან მოეწყობა საჩვენებელი მინდორი, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა შეისწავლის მევენახეობას.

ს. ჯიხაიში. ამჟამად ს. ჯიხაიშში საფუძველი ეყრება სკოლის შენობას. მომავალში სკოლას ექნება მეორე საფეხურის სამეურნეო განხრა.

ს. გოფანდი. თვითდაბეგვრის საშუალებით მოსახლეობა აწარმოებს ბოგირის შეკეთებას.

მოლითის თემში. ადგილობრივ თემ-აღმასკომს განზრახული აქვს ააგოს სახალხო სახლი.

დ. ხარაგოული. ხარაგოულის აღმასკომმა შეიძინა ელექტრო-მოტორი და შეუდგა ელექტრო-სადგურის შენობის აგებას. მიღებულია აგრეთვე ზომები ხარაგოულის საავადმყოფოს შენობის და დამბის ასაგებად.

სხვა ადგილებიდან

ქარხანა სოფლად. სოფ. ბეჟალოში (ახალქალაქის მაზრა) შეუდგენ რძის ნაწარმოების დამამზადებელ ქარხნის მოწყობას.

იარაღების შეკეთება. ამჟამად თიონეთის რაიონში მუშაობს მიწსახკომის სას.-სამ. იარაღების შემკეთებელი სახელოსნო.

თვითმფრინავის ასაგებად. სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 5.000 მანეთი.

აგურის ქარხანა. გორში ამუშავდა აგურის ქარხანა, რომელიც ერთ გამოწვაზე წვავს 120.000 ცალ აგურს.

გზა. ამ დღეებში დამთავრდება გზის საფუძვლიანი შეკეთება საჯევახო-ჩოხატაურის შორის.

მოსავლის დაზარალება. სენაკის მაზრაში ცუდი ამინდების გამო ბალ-ბოსტნების მოსავალი წელს საშუალოზე ნაკლებია.

არტელი. სოფ. ხვარბეთში (გურია) დაარსდა ჩაის მეურნეთა არტელი.

შრომის სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენცია

მეოთხე და მეხუთე სხდომა

კვირას დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა თბილისის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსტრუქტორის **ხრისტოლიუბოვის** მოხსენება გასულ წელს ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

გუშინ დილას გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კამათის შემდეგ გამოვიდა **გ. გოგუაძე**, რომელმაც მოხსენება გააკეთა ოთხწლედების ახალ პროგრამის შესახებ.

მომხსენებელმა წარმოადგინა ოთხწლედების ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც უფრო გამარტივებულია აქამდე არსებულ პროგრამასთან შედარებით. აქამდე არსებული პროგრამა შესდგებოდა სამი ცალკე ნაწილისაგან: შრომა, ბუნება და საზოგადოება; ახალ პროგრამაში კი ყველა ესენი გაერთიანებულია.

შემდეგ, პროგრამაში ჯგუფებისათვის ცალკე განმარტებულია ფორმალური ჩვევების მოცულობანი, ნაჩვენებია თემის დამუშავების სახეები და მეთოდიური მითითებანი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მასწავლებლებმა თემების დამუშავების დროს.

დასასრულ, მომხსენებელი შეჩერდა საზოგადოებრივ აუცილებელ შრომაზე და სკოლის მუშაობის გეგმიანობაზე.

მოხსენების შემდეგ, თითეული ჯგუფის პროგრამის სპეციალურად დამუშავებისათვის არჩეულ იქნა ოთხი კომისია, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა გუშინ საღამოს.

წყალთა მეურნეობის სამუშაოები

ამჟამად ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიმდინარეობს ა.-კ. წყალთა მეურნეობის ტექნიკურ საბჭოს სხდომები, რომლებზედაც იხილავენ ა.-კ. რესპუბლიკებიდან წარმოდგენილ სამუშაოთა გეგმებს მომავალი წლისათვის.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ საბჭოში განსახილველათ წარდგენილია ყველა გეგმები, როგორც ჭაობების დაშრობის, ისე მოსარწყავ სამუშაოთა და წყალსადენების გაყვანის შესახებ. წარდგენილ გეგმებში დიდი ადგილი აქვს აგრეთვე დათმობილი მდინარეთა ნაპირების გამაგრებას და წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეს.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების საერთო კრება. ბიუროს წევრების გამოცხადება სავალდებულოა 5 საათზე.

დღის წესრიგში დგას: მომავალი მუშაობის გეგმის განხილვა და ბიუროს არჩევნები.

რა მოგვცა საწარმოო თათბირმა

(ქალაქის სასაკლაო)

თბილისის ქალაქის სასაკლაოს საწარმოო თათბირი გვიან და უხალისოთ იკრიბება. ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ სასაკლაოს მუშები სამუშაოებს ათავებენ სხვადასხვა დროს. მიუხედავად ყველა ამ სიძნელეებისა, საწარმოო თათბირს მაინც ბევრი მიღწევები აქვს.

ადმინისტრაცია ხშირად გზავნის საწყობის გამგეს ქალაქში სხვადასხვა საქმეებზე. იმის გამო მუშებს უხდებათ თავიანთი სამუშაო საათების გაცდენა, გამგის ლოდინში იარაღების მისაღებად. საწარმოო თათბირმა ეს საკითხი მოაგვარა წარმოების სასარგებლოდ.

ხელოვნურ ყინულის საკეთებელ განყოფილებაში ყინულის გასაკეთებლად ძალიან ბევრი წყალი იხარჯება, რადგან ყალიბების ჩაშვების დროს წყალი ძირს იღვრებოდა. საწარმოო თათბირმა თავის კრებაზე ასეთი პროექტი წამოაყენა: მიეყენებიათ რეზერვუარისათვის ისეთი მოცულობის ბაკი, რომელშიც ჩავიდოდა ის წყალი, რომელიც ტყვილა უბრალოდ იქცეოდა ძირს: ეს ღონისძიება სასაკლაოს დაუჯდებოდა დაახლოებით 300 მანეთამდე და ყაირათებდა სეზონის განმავლობაში 28.800 ვედრო წყალს. რაც შეადგენდა 2.000 მანეთამდე მეტ ყაირათობას მთელ სეზონში. ადმინისტრაციამ ეს წინადადება მიიღო და გადასცა დასამტკიცებლად აღმასკომთან არსებულ ტექნიკურ კომისიას, მაგრამ ტექნიკურმა კომისიამ არ დაამტკიცა ეს პროექტი. საწარმოო თათბირი ცდილობს ამ პროექტის დამტკიცებას კავშირის და მუშგლეხინის დახმარებით. მე მგონი მუშგლეხინმა უნდა გაუწიოს ამას ანგარიში და წარმოებისათვის მიზანშეწონილი პროექტი უნდა დაუმტკიცოს სასაკლაოს.

ნაწლავების განყოფილებაში საქონლის მხოცველები შედიოდენ და ირეცხავდენ თავიანთ სისხლიან წინსაფარებს, რისთვისაც წყალი ჭუჭყიანდებოდა, ნაწლავები მუქი ფერის გამოდიოდენ, რაც ნაწლავების ხარისხს ამცირებს. გარდა ამისა, კასრები და სხვა ჭურჭლეულობა საკმარისი არ იყო ნაწლავების გამოსაკეთებლად. საწარმოო თათბირმა წინადადება მისცა ადმინისტრაციას, რომ საქონლის მხოცველებს დაუშალოს კასრებით სარგებლობა ტანსაცმლების დასარეცხად და შეიძინოს ჭურჭელი.

ადმინისტრაციამ ეს მოიყვანა სისრულეში და ეხლა ნაწლავების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გარდა ამისა საწარმოო თათბირების ინიციატივით ნაწლავებს ანიავებენ, რის გამო უფრო კარგი ხარისხის გამოდიან.

ბევრი წინადადებები საწარმოო თათბირისა მიიღო ადმინსტრაციამ და ყველა ამ წინადადებებმა დიდი სარგებლობა მოუტანა წარმოებას.

ვლ. რ.

დროზე მოგვეცით ჯამაგირები

საუწყებო მილიციაში ჯამაგირებს არ აძლევენ დანიშნულ დროზე, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს თანამშრომლებში. ხელშეკრულების ძალით უნდა ვღებულობდეთ 25-ში, მაგრამ 30-შიც ძლივს იძლევიან. მილიციის პირობები გვიკარნახებენ მოვაგონოთ სათანადო ორგანოს, რათა ჯამაგირები გვაძლიონ თავის დროზე.

დაჩაგრული.

გაბერილი შტატი

ქალაქის სასაკლაოს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში დიდი მიღწევები აქვს.

წინად ძალიან ბევრი წყალი იხარჯებოდა კამერების გარეცხვაზე და ხელოვნური ყინულის გაკეთებაზე. ეხლა ის ხარჯავს 20 პრ. ნაკლებ წყალს, რაიც იძლევა წელიწადში 500 მანეთამდე დაზოგვას.

მაზუთის რაციონალურად დახარჯვის გამო კი მომჭირნეობა უდრის 1.200 მან. წელიწადში.

აპარატის გამარტივება გამოიხატება იმაში, რომ წინათ სასაკლაოს ჰყავდა ორი მოლარე. ერთი პირუტყვის შემოსარეკ ეზოში და მეორე ღვით სასაკლაოში. ეხლა კი ერთი მოლარის თანამდებობა გააუქმეს და მის მაგიერ დანიშნეს მოლარის თანაშემწე ეს იძლევა 500 მან. ყაირათობას. სულ კი ამრიგად სასაკლაო ყოველ წელს 2.000 მანეთამდე მომჭირნეობას იძლევა. ბას იძლევა.

ამ თანხის გაორკეცება და გასამკეცებაც კი თამამად შეიძლება. შტატში მყოფი ორი ადმინისტრატიული პირი ტექნიკი და ანგარანის გამგე სრულიად ზედმეტია. სატექნიკო არაფერია სასაკლაოში. ანგარანის გამგეც არაფერს აკეთებს, რადგანაც დღეში სამუშაოდ სამი ან ოთხი ქაღალდი თუ შევა—და გავა ანგარანიდან. მისი მაგიერობა შეუძლია გასწიოს რეგისტრატორს—რომელიც დატვირთული მაინც და მაინც არ იქნება. რეგისტრატორსვე შეუძლია მემანქანის თანამდებობის ასრულება.

ასე რომ, ეს სამი კაცი ზედმეტია წარმოებისათვის. თუ მუშგლეხინი შეიხედავს სასაკლაოში და გამოარკვევს დაწვრილებით, ვინ რას აკეთებს, შეიძლება ამ სამ კაცს კიდევ სხვებიც დაუმატოს.

ვლ. რჩეულიშვილი.

შრომის დაცვის კომისიის საქმიანობა

თბილისის სასაკლაოს შრომის დაცვის კომისია ძალიან გვიან აწყობს თავის კრებებს.

მიუხედავად ამისა, თვალყურს ადევნებს მუშების მდგომარეობას წარმოებაში. გაზაფხულიდავნე მუშებს აქვს ადუღებული ცივი წყალი. შრომის დაცვის კომისიის საშუალებით მუშებს მიეცათ ზედმეტი საათების სამუშაო ხელფასი, რაზედაც ადმინისტრაცია უარს ამბობდა. შრომის დაცვის კომისია თვალყურს ადევნებს აგრეთვე მუშების საბინაო პირობებს და სპეცტანსაცმლის თავის დროზე გაცემას.

შრომის დაცვის კომისია, რომ ჩქარ ჩქარა იკრიბებოდეს, მაშინ მისი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

ვლ. რჩეულიშვილი.

ვინ მოგვაშორებს ამ „რაინდს“?

სადგ. გრაკალზე მსახურობს რკინის გზის დარაჯი მოქ. გიგუცა ტატიაშვილი, რომელსაც გრაკალის სოფლის მცხოვრებნი შიშში ჰყავს ჩაყენებული. დასახელებულ რაინდს უყვარს ღვინის სმა წაქეიფიანდება თუ არა, ყველას, ვისაც კი შეხვდება, აუტეხს ჩხუბს და სცემს. ამ თვის განმავლობაში მან გალახა გლეხები: ვ. ტ—ლი, ქ—ლი, გ ი, ტ—ლი, წ—ა და გ—ლი. ასეთი მისი საქციელი გლეხებში დიდ უკმაყოფილებას და აღელვებას იწვევს.

საჭიროა მისი დასჯა და გაძევება სადგ. გრაკალიდან.

დამსწრე.

მუშათა ქრონიკა

გამოკვლევა. საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სტატბიურო ამჟამად რესპუბლიკის მასშტაბით აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა რიცხვის გამოკვლევას.

მუშათა სახლის აგება. ხეზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სატყეო ტრესტს შეუდგეს ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშებისათვის მუშათა სახლის აგებას.

პროფტექნიკური კურსები. მელითონეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას განზრახვა აქვს ახლო მომავალში თბილისში გახსნას პროფტექნიკური კურსები.

თვითმფრინავის ასაშენებლად მბეჭდავთა კავშირის ც. გ. გაიღო 358 მან.; 17 კაპ.

— **მუშათა დაწინაურება.** მბეჭდავთა კავშირის ც. გ. მიერ წითელ ჯვრის სტამბის გამგის თანამდებობაზე წამოყენებულია ამხ. **გიორგი არსენაშვილი.**

— **ავიაქიმის სასარგებლოდ.** ავიაქიმის ფონდის გაძლიერების მიზნით 1-ლ საბჭოს სტამბის მუშა - მოსამსახურეების მიერ შეგროვილია 132 მანეთი და 32 კ.

რაიონულ სტატისტიკოსების კონფერენცია

გუშინ, საღამოს გლეხთა სასახლის დარბაზში გაიხსნა საქართველოს რაიონულ სტატისტიკოსთა კონფერენცია.

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) სახელმწიფო სტატისტიკა; 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) სექტორების გამგეების მოხსენებები; 4) რაისტატისტიკოსების კადრის განაწილება მაზრებში და რაიონებში, 5) რაისტატისტიკოსების მუშაობის გეგმის განხილვა და დამტკიცება, 6) რეზოლიუციების დამტკიცება.

პირველი მომხსენებელი საქ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი ამხ. **არჩილ რუხაძე** ესალმება კონფერენციას და ამბობს, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში სტატისტიკა მოწოდებულია დიდი სოციალისტური სახელმწიფოს საქმის გასაკეთებლათ; სტატისტიკას ძველათ, რევოლიუციამდე, ჩვენში და ამჟამად დასავლეთ ევროპაში დამხმარე ხასიათი აქვს და ემსახურება გაბატონებულ კლასის ინტერესებს. ჩვენში კი სტატისტიკა დასაყრდენია სოციალისტურ მშენებლობის. „სოციალიზმი არის აღრიცხვა“-ო, სთქვა **ლენინმა** და თუ ჩვენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სწორ და მტკიცე ნიადაგზე დაყენება გვინდა, განსაკუთრებულის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სტატისტიკურ მუშაობას. სტატისტიკურ მუშაობაში, მთავარია რაიონული სტატისტიკოსები და მოხალისე კორესპონდენტები, რომელთა ამოცანას შეადგენს სწორი რეგისტრაცია, საზოგადოებასთან ახლო დგომა, მასის საქმიანობაში აქტიურათ ჩაბმა და სამეურნეო მუშაობა. როგორც რაიონის სტატისტიკოსს, აგრეთვე მოხალისე კორესპონდენტს ზედმიწევნით უნდა ჰქონდეთ შესწავლილი თავისი რაიონი და აღუნუსხავი არ უნდა დარჩეს არც ერთი სოციალ-ეკონომიური მოვლენა.

რაიონულ სტატისტიკოსებს ყოველდღიურ მუშაობაში—ხვდებათ საკითხები, რომლების გადაჭრა საჭიროა შეერთებული ძალით. დღევანდელი კონფერენციის მიზანია ასეთი საკითხების გაშუქება, ჩვენ ერთმანეთთან დაახლოვება და ჩვენი მიზნების გარკვევა. მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ კონფერენციის შემდეგ ადგილებზე დაბრუნებული ამხანაგები პირნათლათ და შეგნებით შეასრულებენ იმ დიდ საქმეს, რომელიც მათ სოციალისტური სახელმწიფოსაგან აქვთ დაკისრებული.

მოხსენების დასრულების შემდეგ კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და კომპარტიის ცკას.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა

გაწვევის მეხუთე დღე

თბილისის გასაწვევ პუნქტზე გაცხოველებული მუშაობაა. ორივე გამწვევი კომისია მთელი დღის განმავლობაში აწარმოებენ გასაწვევთა ჯანმრთელობის და ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის შემოწმებას.

ხუთი დღის განმავლობაში კომისიაში გატარდენ პირველ, მეექვსე და მეშვიდე რაიონების მცხოვრებნი.

ახალგაზრდები, ისევე როგორც გაწვევის პირველ დღეს, ცხადდებიან უკლებლივ და ხალისიანად.

დასასვენებელი ოთახი

გასაწვევ პუნქტზე თბილისის პოლიტგანმა მოაწყო დასასვენებელი ოთახი, საუცხოვოდ მორთული პლაკატებით, ლოზუნგებით და სურათებით. მაგიდებზე ყოველთვის არის გაზეთები, ჟურნალები და წიგნები. არის აგრეთვე სხვადასხვა გასართობები: ნარდი, დომინო, ჭადრაკი, შაშები.

დასვენების დროს გასაწვევნი აქ იყრიან თავს, ზოგი კითხულობს, ზოგიც ირთობს თავს ნარდით ან ჭადრაკით.

ყურადღებას იპყრობენ ამ ოთახში მხატვრული სამხედრო ხასიათის პლაკატები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ გასაწვევ ახალგაზრდებს წითელი არმიის ცხოვრების გაცნობაში.

ვინ სად იგზავნება

როდესაც დამთავრდება გასაწვევის ჯანმრთელობის შემოწმება, კომისია მას ჯანმრთელობის და განვითარების მიხედვით ნიშნავს ჯარის ამა თუ იმ ნაწილში.

ქვეითა ჯარში ინიშნებიან სავსებით ჯანმრთელი, ფიზიკურად განვითარებული ახალგაზრდები, სიმაღლით არა ნაკლებ 153 სანტიმეტრისა.

არტილერიაში იგზავნებიან აგრეთვე სავსებით ჯანმრთელი ახალგაზრდები, სიმაღლით არა ნაკლებ 160 სანტ. მომავალი არტილერისტები უნდა იყვნენ კარგად მოყვანილნი, განიერ მხარ-ბეჭებით და სწორედ განვითარებული მკერდით. აგრეთვე უნდა ჰქონდეთ კარგი მხედველობა და სმენა. საჭიროა აგრეთვე გონებრივი განვითარებაც.

კავალერიაში ინიშნებიან ახალგაზრდები სიმაღლით 160—174 სანტ. მათი წონა არ უნდა აღემატებოდეს 73 კილოგრ. საჭიროა აგრეთვე სრული ჯანმრთელობა, კარგი მხედველობა სმენა და ცხენის მოვლის ცოდნა.

საინჟინერო ნაწილებში იგზავნებიან სრულიად ჯანმრთელი და წერა-კითხვის მცოდნენი. ამ ნაწილებში დასანიშნავად საჭიროა ცოდნა: დურგლობის, კალატოზობის ან ზეინკლობის. საინჟინერო ნაწილებისათვის საუკეთესო ელემენტს წარმოადგენს შოფერები, მექანიკოსები, ელექტრო ტექნიკოსები.

უმაღლესი გამწვევი კომისია

საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოსთან მუშაობს უმაღლესი გამწვევი კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს გაწვევის მსვლელობას საქართველოში. უმაღლესი გამწვევი კომისია იღებს საჩივრებს მოქალაქეებისგან კომისიის ამ თუ იმ უკანონო მოქმედებაზე, თუ კი ასეთს ექნება ადგილი.

კომისია მუშაობს ტერიტორიალურ სამმართველოს ბინაზე (თბილისი, ელბაქიძის დაღმ. № 12).

ელ.

სამრეწველო მუშების ხელფასი იზრდება

ს.მ.უ.ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებაში დამთავრებულია სტატისტიკური ცნობები მრეწველობის სხვადასხვა დარგებში სამრეწველო მუშების ხელფასის მდგომარეობის შესახებ. ამ სტატისტიკური ცნობების თანახმად, სამრეწველო მუშების ხელფასს ზრდის ტენდენცია ემჩნევა მრეწველობის თითქმის ყოველ დარგში.

ს.მ.უ.ს. შრომის ეკონომიკის განყოფილების გამგემ **ა. ეირანოვმა** ხელფასის ზრდის ტენდენციის შესახებ—ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საქმე იმაშია, რომ წელს მთელი რიგი წარმოებები უკვე დაადგა ე. წ. მექანიზაციის გზას. ზოგან წარმოება გაუმჯობესებულ იქნა მთელ რიგ ახალი მანქანების დადგმით, ხოლო სადაც ეს შეუძლებელი იყო, იქ, შეძლებისდაგვარად, ჩატარებულ იქნა შრომის რაციონალიზაცია. ბევრგან შემოღებულია სანარდო სამუშაოები.

მრეწველობის ცალკე დარგებში ხელფასის ზრდა შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

თამბაქოს ტრესტში ხელფასის მდგომარეობა ასეთია: გასული წ. ოქტომბრიდან პირველი განაკვეთი გადიდებულ იქნა 18 მ. 50 კაპეიკიდან 19 მანეთამდე. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა შემდეგი თანრიგების განაკვეთებიც. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში **ტყავის მრეწველობის** დარგში ხელფასმა მოიმატა 18,4 პროც. ხელფასის ზრდის მთავარ მიზეზს აქ წარმოადგენს წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია.

საპნის წარმოებაში მესამე კვარტალში ხელფასი გვიჩვენებს ზრდას 12,6 პროც. წელს საპნის ქარხნებში შედარებით უკეთაა მომარაგებული ნედლი მასალით და ქარხნებიც სრული დატვირთვით მუშაობენ.

მაუდის წარმოებაში დღიური ხელფასი გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით გადიდდა 16,8 პროცენტით. ხელფასის ასეთი მატება ამ დარგში აიხსნება ნარდ სამუშაოებზე გადასვლით.

დაახლოებით ასეთივე სურათი არის **პოლიგრაფიულ მრეწველობაში.** შარშან არ იყო შემოღებული ნარდი სამუშაოები, ხოლო წელს კი თითქმის ყველა სტამბები გადავიდა ნარდ სამუშაოებზე. ამგვარად მუშების ხელფასმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოგვცა ზრდა 14,5 პროც.

სამთამადნო მრეწველობაში დღიური ხელფასი გაიზარდა 8 პროცენტით. მიზეზი—იგივე ნარდი სამუშაოებია.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ცნობები არის აღებული მიმდინარე წლის მესამე კვარტალისათვის და შედარება მოგვყავს გასული წლის მესამე კვარტალთან. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ხელფასის ზრდის ტენდენცია ბევრადაა დამოკიდებული წარმოების მექანიზაციაზე და თუ წელს ჩვენ შევძელით წარმოებების მექანიზაციის ჩატარება მიღებული პროგრამით, მაშინ ეჭვი არაა შემდეგში სამუშაო ხელფასი კიდევ უფრო გაიზრდება.

მინერალური სასუქი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომისარიატის, საქართველოს მიწათ-მოქმედების სახ. კომ., ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და ამიერ-კავკასიის სას.-სამ. ბანკის წარმომადგენლები.

თათბირზე განხილული იქნა საკითხი მინერალური სასუქების გავრცელების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

თათბირმა აღნიშნა, რომ საქართველოს გლეხობის პრაქტიკაში მინერალური სასუქების გამოყენებას არ აქვს ადგილი და ასეთების შემოღება სოფლის მეურნეობაში სრულიად ახალი საქმეა.

იმ მიზნით, რომ გაძლიერებული იქნეს მუშაობა მინერალური სასუქების გამოსაყენებლად საქართველოში, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საცდელი მუშაობის ფართოდ დაყენება საცდელ მინდვრებზე და მიწის ნაკვეთებზე, კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და აგროპუნქტებში.

ამისათვის თათბირმა დაადგინა სთხოვოს საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს შეადგინოს საქართველოს კოლექტიურ მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროპუნქტების და სასწავლო-საცდელ დაწესებულებების სრული სია, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნეს მათთვის საჭირო მინერალურ სასუქების რაოდენობა.

აღნიშნული ცნობები ამიერ-კავკაიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.—

რატომ აგრილდა

სამი სექტემბრიდან თბილისში საკმაოდ აგრილდა.

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ამინდის ამ უეცარი ცვლილების შესახებ ჩვენს თანამშრომელს მისცეს შემდეგი განმარტებები:

პირველი სექტემბრიდან ბალტიის ზღვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწყო მოძრაობა საკმაოდ ძლიერმა ანტი-ციკლონმა, რომელმაც თავის გავრცელების რაიონებში გამოიწვია ტემპერატურის დაცემა. 2 სექტემბერს დილით ანტიციკლონმა მიაღწია ჩრდილოეთ კავკასიას, სადაც ზოგიერთ ადგილას მოვიდა წვიმა. ასე მაგალითად სტალინგრადში 1- და 2 სექტემბერს ტემპერატურამ დაიკლო 10 გრადუსით (ცელს.), დონის-როსტოვში 7 გრ. ნოვოროსიისკში—4 გრადუსით.

3 სექტემბერს ანტი-ციკლონმა მოაღწია საქართველოს საზღვრებამდეც. თბილისში ამის გამო საკმაოდ აგრილდა და თბილისისათვის ნორმალურმა დღიურმა სიცხემ დაიკლო სამი გრადუსით. 3 სექტემბერს თბილისში შესამჩნევი იყო საკმაო ღრუბლიანობა. ანტი-ციკლონის მოახლოებამდე თბილისში ადგილი ჰქონდა 4—5 გრადუსით ნორმაზე გადაჭარბებულ სიცხეს. 4 სექტემბრიდან საშუალო ტემპერატურა უცბად დაიწია 2 გრადუსით, ხოლო დღე და ღამის განმავლობაში ტემპერატურამ დაიკლო 10 გრადუსით. ასეთმა უცაბედმა ცვალებადობამ გამოიწვია წვიმის მოსვლა. როგორც წვიმები აგრეთვე ნორმაზე ნაკლები სიგრილე გამოწვეულია მხოლოდ ბალტიის ზღვიდან მოსული ანტი-ციკლონით, რასაც ობსერვატორიის ზოგიერთი ხელსაწყოების ჩვენებით ადგილი ექნება რამოდენიმე დღის განმავლობაში.

დღეს, (5 სექტემბერს) საღამოს 9საათზე ობსერვატორიის წინასწარმეტყველების თანახმად თბილისში ღრუბლიანი ამინდი იქნება. ტემპერატურა არ მოიმატებს და ადგილი ექნება სუსტ ქარს. მოსალოდნელია წვიმა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ყველგან იქნება ღრუბლიანი ამინდი, სუსტი ქარი, ხოლო დას. საქართველოში ადგილი ექნება წვიმებაც.

ჰაერის ტემპერატურის მოძრაობა პირველ სექტემბრიდან დღემდე იძლევა შემდეგ სურათს: 1 სექტემბერს დღის 1-ლ საათზე თბილისში იყო 33,4 გრ. (ცელს); 2 სექტემბერს იმავე დროს 33,8 გრ.; 3 სექტემბერს—30,7 გრ.; 4 სექტემბერს—20,3 გრ.; ხოლო 5 სექტემბერს ტემპერატურა უდრიდა 19,1 გრადუსს. წელს მაქსიმალური სიცხე თბილისში არ აშორებია 37 გრადუსს ცელსიუსით.

ქრონიკა

მუშაობის დაწყების დრო

1 ოქტომბრიდან სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებში, შრომის კომისარიატის განმარტებით, მუშაობა დაიწყება დილის ცხრა საათზე და დასრულდება ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

ამხ. შავერდოვის დაბრუნება

შვებულებიდან დაბრუნდა და თავისი მოვალეობის ასრულებას შეუდგა ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ამხ. **შავერდოვი.**

ადმინისტრატიული კომისია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს ცაკთან დაარსდა ადმინისტრატიული კომისია ამხ. **შ. მათიკაშვილის, ს. გეგეჭკორის** და **დემეტრაშვილის** შემადგენლობით.

კრედიტების განაწილება

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამ. ბანკმა რესპუბლიკათა შორის განაწილა 118.000 მანეთი.

ამ თანხიდან საქართველოში აბუსალათინის კულტურის გასაძლიერებლად გადადებულია 16.000 მან.

საზ-ბა „ტრანსპორტის“ ფილიალების ლიკვიდაცია

თბილისში ჩამოვიდა პირველი საკავშირო სატრანსპორტო საზ-ბის—„ტრანსპორტის“ რწმუნებული **ი. კარლინი,** რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს ა.-კავკასიის რესპუბლიკებში აღნიშნული საზ-ბის ზოგიერთ განყოფილებათა ლიკვიდაცია.

სტუდენტების ექსკურსია

თბილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ 3 აგვისტოს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მოაწყო სტუდენტების ექსკურსია. ექსკურსანტებმა შემოიარეს მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კისლოვოდსკი და ბაქო, სადაც დაათვალიერეს ფაბრიკა - ქარხნები. ბაქოში დათვალიერებულ იქნა ნავთის სარეწაოები.

მოსკოვში ექსკურსანტებმა ინახულეს ტრეტიაკოვის სამხატვრო გალერეა (ერმიტაჟი), ლენინგრადში სამეცნიერო აკადემია და მუზეუმები, უნივერსიტეტები და ყველა კულტურული დაწესებულებები.

საქრთველოს სტუდენტობა დიდად კმაყოფილი დაბრუნდა ექსკურსიიდან.

თბილისის აღმასკომში

◆ **გალეტების ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას გადაეცა ეორკეტის ყოფ. საგალეტო ქარხანა.

◆ **ქუჩების გაწმენდა** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს ქუჩების გენერალური წმენდა.

◆ **წყალსადენი.** თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მომავალ წელში მაზრის ყველა სოფელში გაიყვანოს წყალსადენი. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

◆ **ტყეები.** სატყეო სექციას დაევალა მაზრაში გაჩეხილ ტყეების ადგილზე გააშენოს ახალი ტყეები.

შრომის კომისარიატში

◆ **ოქტომბრის დღესასწაულისათვის** შრომის კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩასატარებლად.

◆ **უმუშევარ ქალების რიცხვის შემცირების** მიზნით შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა გააფართოვოს ქსოვა-კერვის სახელოსნო.

◆ **შრომის ბირჟასთან** კომისარიატის თაოსნობით ამ დღეებში გაიხსნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

◆ **საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად** ზამთრის განმავლობაში შრომის კომისარიატმა გამოყო სპეციალური კომისია.

განათლების კომისარიატში

◆ **საბავშვო სახლები.** თბილისის მაზრაში საბავშვო სახლების შესანახად გადადებულია 70,000 მან.—

◆ **პედაგოგიურ ფაკულტეტზე** სახ. უნივერსიტეტში წელს მიიღებენ 250 მსმენელს.

◆ **ლენინის სახელობის** პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წელს 50 ადგილი დაეთმობა მუშფაკელებს.

◆ **ახალი მასწავლებლები.** უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში მთელ საქართველოსათვის საჭირო იქნება 10.000 ახალი მასწავლებელი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **აგრო-პუნქტი.** მიწსახკომმა სოფ. აწყურში (ახალციხის მაზრა) გახსნა აგრო-პუნქტი.

◆ **„უდაბნო“.** მიწსახკომი ე. წ. „უდაბნოში“ აწყობს ცხვრის მოსაშენებელ ფარებს, რომლისათვისაც შეძენილი იქნება 10.000 სული თუშური და 500 სული მერინოსის ჯიშის ცხვარი.

ჯანსახკომში

◆ **ახალი საავადმყოფოები.** სამრეწველო რაიონებში ახალი საავადმყოფოების ასაგებათ ჯანსახკომმა გადასდო 111 ათასი მან.

◆ **სადოსტაქრო განყოფილებები.** მოზრდილ თემებში არსებულ საავადმყოფოებთან ჯანსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სადოსტაქრო განყოფილებები.

სას.-სამ. ბანკში

◆ **სასოფლო-სამეურნეო იარაღების** შესაძენად სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 1.290.000 მან.

◆ **კონკურსი.** სასოფლო-სამეურნეო ბანკი აწყობს კონკურსს საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო კოლექტიურ მეურნეობაზე.

კურორტებზე

◆ **კურორტების კეთილმოსაწყობად** საკურორტო სამმართველო უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში დახარჯავს 10,937.700 მანეთს.

◆ **წყალსადენი** საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა წყალტუბოში გაიყვანოს წყალსადენი.

სხვადასხვა

◆ **მატყლის დამზადება.** საზოგადოება „მწყემსი“ შეუდგა თელავის მაზრაში 10.000 ფუთი მატყლის დამზადებას.

◆ **შაქარი.** 1927—28 წელში საქართველოში შემოტანილი მატყლის 850.800 ფუთი შაქარი.

ხელოვნების ქრონიკა

საიუბილეო კანტატა

კომპოზიტორმა **ზაქარია ფალიაშვილმა** დაასრულა საიუბილეო კანტატა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის. კანტატის ტექსტი ეკუთვნის პოეტ **სანდრო შანშიაშვილს.**

ზ. ფალიაშვილმა დაასრულა აგრეთვე თავისი ახალი ოპერა „ლატავრა“.

— მ. თარხნიშვილის კონცერტი გაიმართება დღეს, 6 სექტემბერს, საბჭ. სავაჭ. მუშაკთა კლუბში.

◆ **ხელოვნების მუშაკთა კავშირთან** დაარსდა ფოტო-კინო სექცია.

◆ **კონცერტო-საღამო.** დღეს მედსანშრომის კლუბში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **ყიხარევას გასტროლები.** ამ თვის შუა რიცხვებში თბილისში საგასტროლოთ ჩამოვა მსახიობი ქალი ყიხარევა.

◆ **ვერის მუსიკალურ ტექნიკუმში** მისაღები გამოცდები დაიწყება 11 სექტემბრიდან.

◆ **„ივერიუმი“** რუსთაველის თეატრში მომავალ სეზონში წარმოდგენილი იქნება ჯავახიშვილის ახალი კომედია „ივერიუმი“.

წყალსადენის მილის დაზიანება

კვირას, 4 სექტემბერს, შუადღის 12 ნახ. საათზე, ჟორესის (ყოფ. კირკის) და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში გასკდა წყალსადენის 14 დიუიმიანი მთავარი სამაგისტრალო მილი, საიდანაც ამოხეთქა წყალის მეტად ძლიერმა და დიდმა შადრევანმა. შადრევანი ორ სართულიან სახლამდე ისროდა წყალს.

ჟორესის და პლეხანოვის კუთხიდან ელბაქიძის ხიდამდე დადგა ტბა, რომლის სიღრმე ნახევარ არშინამდე აღწევს.

წყალმა დასილა ტრამვაის ხაზი, რის გამო შეჩერებული იქნა ტრამვაის მოძრაობა.

დღის პირველ საათზე წყალსადენის სახელოსნოდან მოვიდენ მუშები, რომლებიც შეუდგენ მილის შეკეთებას.

წყალსადენის სამმართველომ მეათე რაიონს შეუწყვიტა წყალის მიწოდება. ამის შემდეგ წყალის დენა თანდათან კლებულობდა.

წყლის მიწოდება განახლებული იქნა ღამის სამ საათზე.

გუშინ, დილის 6 საათზე, წყალსადენის მილის შეკეთება დასრულდა სავსებით.

როგორც გამოირკვა, მილის დაზიანება გამოიწვია ტრამვაის ელექტრო-დენის გავლენამ წყალსადენის მილზე.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

შემთხვევის დღეს ელბაქიძის დაღმართზე 10 წუთით შეჩერებული იქნა ტრამვაის მოძრაობა.

წყალსადენის მილის რემონტის გამო მოძრაობა ელბაქიძის ქუჩის მიმართულებით სწარმოებდა ერთ ხაზზე.

გუშინ დილის 6 საათიდან ტრამვაის ნორმალური მოძრაობა აღდგენილ იქნა სავსებით.

ბრძოლა მილის დაზიანების შემთხვევებთან

წყალსადენის სამმართველოში მიღებული ცნობებით, განზრახულია ქალაქის წყალსადენის მთავარი მილები შემოკრული იქნას ბეტონით.

აღნიშნულ ღონისძიების ცხოვრებაში გატარების შემდეგ ადგილი აღარ ექნება მსგავს შემთხვევებს.

თავდასხმა მატარებელზე

4 სექტემბერს ალაბაშლი-შამქორს შუა (აზერბეიჯანის ხაზზე) ღამის 2 საათზე, მძარცველები თავს დაესხენ და გააჩერეს საქონლის მატარებელი № 202.

მემანქანემ მატარებელი გააჩერა მხოლოდ იმის გამო, რომ წინ დაინახა გამაფრთხილებელი ნიშანი.

მატარებლის გაჩერებისთანავე მძარცველები მისცვივდენ იმ ვაგონს, რომელიც დატვირთული იყო ფართლეულით, გააღეს იგი და წაიღეს ფართლეულის ნაწილი.

მატარებლის კონდუქტორებმა ვერ შესძლეს ხელის შეშლა მძარცველებისათვის.

გაძარცვის შემდეგ, მატარებელი ადგილიდან დაძვრის დროს გაწყდა ორ ნაწილად და თვითეული ნაწილი ცალკ-ცალკე ჩაიყვანეს სადგურში.

ფიქრობენ, რომ გაძარცვაში მონაწილეობას ღებულობდენ ისეთი პირები, რომლებიც კარგად არიან გაცნობილი რკინის გზის წესებთან.

მიღებულია ზომები მძარცველების შესაპყრობლად.

ნიაღვარი ბათომში

4 სექტემბერს საღამოთი ბათომში მოვიდა ძლიერი ნიაღვარი, რომელიც 2 საათი გაგრძელდა. ერთი საათის განმავლობაში ნალექის რაოდენობა უდრიდა 34 მილიმეტრს, ე. ი. 30,000 ვედრო წყალს თითო დესეტინაზე. ნალექების რაოდენობის მიხედვით ეს ნიაღვარი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 8 აგვისტოს ნიაღვარი. ქალაქის ქუჩები, განსაკუთრებით მოედანი სადგურის მახლობლად, მთლად წალეკილი იყო წყლით. მდ. ჭოროხი საგრძნობლად ადიდდა. მთებიდან ჩამოსულმა წყალმა ნაწილობრივ წალეკა კახაბერის ხეობა. ნიაღვარს ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. (ადს).

ახალი წყალსადენი თბილისში



წყლის დებეტის გამოსარკვევად დადგმული ერთ-ერთი მოწყობილობა. ამ მოწყობილობათა საშუალებით გამორკვეულია, რომ ნატახტარის წყაროებს შეუძლიათ 10 მილიონი ვედრო წყლის მოცემა დღე-ღამეში.

თბილისის აღმასკომმა 1926 წელს გადასდო 220.000 მანეთი ნატახტარის და ბულუჩაურის წყაროების მეცნიერულ - პრაქტიკული გამოკვლევების მოსახდენად.

წყალსადენი, რომლითაც დღეს სარგებლობს თბილისი,ვეღარ აკმაყოფილებს ქალაქის ყველა მოთხოვნილებებს. ეხლანდელი წყალსადენი აგებულია 1887 წელს და აწვდის ქალაქს 1.500.000 ვედრას დღე-ღამეში, ე. ი. სულზე მოდის 5 ვედრა წყალი. ზაფხულში წყლის ეს რაოდენობა ქალაქს არ ყოფნის. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ წყლის მოხმარება შეზღუდულია ხელოვნურად, მისი სიძვირის გამო (საშუალო თვითღირებულება ამჟამად ავჭალის წყალსადენზე უდრის 35კაპეიკს 100 ვედროზე).

აღმასკომი იძულებული იყო საბოლოოდ მოეგვარებინა თბილისის წყლით მომარაგების საკითხი. გამოთქმული იყო აზრი ავჭალის წყალსადენის გაფართოვების შესახებ, გარდა ამისა წინადადება შემოვიდა ახალი წყაროების გამოძებნის შესახებ. პირველი აზრი ტექნიკური სანიტარული და აგრეთვე ეკონომიური მოსაზრებით შეუძლებლად იქნა ცნობილი, ხოლო მეორე კი მიიღო აღმასკომმა, წყაროების ძებნაში ყურადღება მიიპყრო მთელმა რიგმა წყაროებმა, რომელნიც ზოგი არაგვის ხეობაში მდებარეობს, ზოგიც წალკის რაიონში 30, 45 და 115 კილომეტრის მანძილზე.

ამ სამი წყაროს გამოკვლევის დროს უპირატესობა თითქმის ყოველი მხრით მიენიჭა ნატახტარის წყაროებს, როგორც თვით წყლის ღირებულებით, აგრეთვე მის სიახლოვისა და წყლის დიდი რაოდენობის მოცემის მხრით.

წყაროების გამომკვლევ კომისიაში შედიოდა ადგილობრივი ტექნიკური ძალები: თბილისის მთავარსამმართველოს ინჟენერი **ლ. დიასამიძე** და მისი თანაშემწე ინჟ. **ხიზანაშვილი.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკვლევა, რომელიც ჩატარებულია ამ ძალების მიერ, მოწონებულია მთელ რიგ საუკეთესო სპეციალისტებისაგან, რომლებიც მოწვეული იყვნენ ცენტრიდან, როგორც მრჩეველნი და კონსულტანტები.

რა უნდა გამოეკვლია კომისიას და რისთვის უნდა მიექცია მთავარი ყურადღება? აი, ის საკითხი, რომელიც საფუძვლად ედო გამოკვლევას: 1) წყაროების წარმოშობა, 2) წყლის ღირსება და რაოდენობა, 3) წყლის კომტაჟის ხასიათი, 4) წყლის მიმდინარეობა და ხელოვნური ნაგებობანი, 5) ახალი წყალსადენის ქსელი, 6) წყაროების ორი ვარიანტიდან ერთის არჩევა.

ეს გამოკვლევა არაჩვეულებრივ რთული იყო, ინჟ. დიასამიძემ ამ გამოკვლევის შესახებ გააკეთა მოხსენება წყალსადენის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე, სადაც მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ახალი წყალსადენი ქალაქს მისცემს პირველ ხანებში 3.000.000, ხოლო შემდეგში კი 6.000.000 ვედრო წყალს. უკანასკნელი ციფრი შესაძლებელია გადიდებულ იქნას 10.000.000 ვედრომდე. ახალი წყალსადენის გაყვანის შემდეგ 100 ვედრა წყალი 2—3 კაპ. მეტი არ დაჯდება, ასეთი სიიაფე, თავისთავად ცხადია, მეტად გაადიდებს წყლის მოხმარებას ქალაქში. ახალი წყალსადენი მშვენიერს და იაფ წყალს მისცემს არა მარტო თბილისს, არამედ არაგვის ნაპირებს და თბილისის ახლო - მახლო მდებარე სოფლებსაც, მათ რიცხვში აგარაკ კოჯორს. ახალი წყალსადენის მოწყობა - გამოყვანას დას ჭირდება სულ — 4.000.000 მანეთი.



წყლის დონის გამორკვევა ნატახტარის ერთ-ერთ წყაროში.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ნატახტარის ერთი ნახევარის წყაროების წარმოშობაში უმთავრესად მონაწილეობას იღებს მდინარე არაგვი, ხოლო მის მეორე ნაწილის (სამხრეთის წყაროები) წარმოშობაში მონაწილეობას ღებულობენ მდ. ნარეკვალი, ქსანი და ატმოსფერის წყალი (თოვლი, წვიმა). ამრიგად, ეს წყაროები დაუშრეტელია — მუდმივია. მუხრანის ველი, რომელიც უმთავრესად შეიცავს ხსენებულ მდინარეების წყლებს, წარმოადგენს ერთგვარ აუზს, საითკენაც სხვადასხვა მიმართულებით მიდის წყალი. სწორეთ ამ ველზე გაიბურღა რამოდენიმე ჭა-ხვრელები, რომელთაგან ამოვარდნილი წყლის შადრევანი 6 მეტრის სიმაღლეს აწვდება მიწის ზედაპირიდან. ეს წყალი დაეთმო სოფელ წილკანს, რომელიც მანამდე სარწყავი არხის ჭუჭყიან და უვარგის წყალს ხმარობდა.

გარდა ამისა, გამოკვლევამ, — სანიტარულმა და ბაქტერიოლოგიურმა საშუალება მოგვცა მთელი წყლის მომცემი ველი დაგვეყო ორ ნაწილად, პირველი, სადაც არც მოსახლეობა, არც საქონლის ბალახობა არ დაიშვება, ხოლო მეორე ნაწილში კი ყველა ეს შესაძლოა, მხოლოდ სანიტარული ზედამხედველობის ნებართვით.

ამრიგად, მიმდინარეობს ჯერ - ჯერობით გამოკვლევანი, რაიც მოკლე ხანში დამთავრდება და შემდეგ შეუდგებიან წყლის გამოყვანას, რომელიც თანახმად გეგმისა, უნდა დამთავრდეს 1930 წ.

ამასთან ერთად, ამ დღეებში ექ. ლ. წერეთლის საშუალებით გამოკვლეული იქნება იმ სოფლების სანიტარული პირობები და მდგომარეობა, რომელიც ნატახტრის წყლის სადენის ფარგლებში არიან: სოფ. ნატახტარი, მესოქციელი, წილკანი და ქსანი.

პროფ. ოზეროვი და გოროვიც-ვლასოვა (პირველ რიგში) ანალიზისათვის იღებენ ნატახტარის წყაროების წყლის ნიმუშს.

—:—

აქ დაწვრილებით გამოკვლეული იქნება ყველა ის სანიტარული დეფექტები, რომელნიც შესაძლებელს ხდიან წყლის გაბინძურებას. ყველა შემჩნეული ანტი - სანიტარული პირობები მოსპობილი უნდა იყოს.

თბილისისათვის ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი საქმე კეთდება იმ დროს, როცა ჩვენ ზაჰესი უკვე გვაქვს და როცა მისი ენერგია აქაც დიდათ იქნება გამოყენებული, რაიც გაადვილებს მუშაობას.

ექ. ლ. წერეთელი.

რა აკლია წყალტუბოს

წყალტუბოს აბანოების სახელი საზღვარგარეთაც არის ცნობილი. ხშირია შემთხვევა, როცა საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან აქ ავადმყოფები. საბჭოთა ხელისუფლებაც დიდ ყურადღებას აქცევს ამ იშვიათ სამკურნალო წყაროებს: გაყვანილია საავტომობილო გზა, გამშვენიერებულია კურორტის ეზო. გაშენდა ბაღი, გაკეთდა სადგომი ბინები აუზები და სხვა შენობები, მოეწყო ტალახის და ჰიგიენური აბანოები, ამოყვანილ იქნა ცალკე ნომრებიანი აბანო 22 ვანით, აგებულ იქნა დიდი სახლი დაზღვეულთათვის, მოეწყო ელექტრო სადგური, შემდეგ ვეებერთელა სახლი სასტუმრო-ჟურზულისათვის და სხვ. ერთი სიტყვით წყალტუბოს საქმე წინ მიდის. მაგრამ უნდა გავკადნიერდეთ და შევნიშნოთ, რომ ამ წინსვლას, ზოგი დეფექტებიც ახლავს.

„კატის გზა“

გზის საკითხი აქ მთავარი საკითხია. ერთი წლის წინეთ აქ ქონდათ უბრალო გზა, რომლეზედაც მიმოსვლა შეუძლებელი იყო. შარშან საკურორტო სამმართველომ დაასრულა, როგორც იყო, დიდი ხნით დაწყებული გზა. მაგრამ საკურორტო სამმართველოს არ მიუქცევია ყურადღება ისეთ „წვრილმანისათვის“, რომ ამ გზით გლეხებსაც უნდა ესარგებლათ და გზა გაუყვანია მეტად ვიწრო. გზა ისეთი, რომ ურმები ერთმანეთს გაჭირვებით უვლიან გვერდს, ხოლო გაქანებულ ავტომობილებისათვის ფეთიან ხარებიან ურმების გვერდის შევლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

გლეხობა მეტად შევიწროვებულია ამ გზის უვარგისობით. გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდე განუწყვეტლად მოგზაურობენ გლეხები ამ გზით ხარ-ურმით; ეზიდებიან ქუთაისში ხილს, რომელიც მათ შემოსავლის უმთავრესი წყაროა. უნდა უყუროთ „საცოდაობას“ მაშინ, როცა ხილით დატვირთულ ჩამწკრივებულ ურმებს წინ შემოეფეთება ვეებერთელა ავტობუსები თუ შელამებულია, მით უარესი.. ავტობუსის აბრიალებული თვალები ისე აფრთხობს ხარებს, რომ ურმები ზოგჯერ თავიანთ პატრონიანურთ ეხეთქებიან კლდე-ღრეში. თუ დღეა, ხედავ: აქ გადაჰყავთ ურმები გზიდან, იქ ახალუხის კალთებს აფარებს გლეხი თვალებზე ხარებს, რომელიც ხარ-ურმიანად მიკუნჭულა მიხვეულში და ასე დაუსრულებლივ.

ეს კიდევ არაფერი. არის შემთხვევები, როცა პატრონი ალმა ტყეში გარბის (ალბად არ უნახავს ჯერ ავტო და მასაც ეშინია), ხარები დაღმართში ეშვება, ღრეში ავტო კი მისრიალებს, მაგრამ არა ისე თავისუფლად, რადგან წინ ყოველ მიხვეულ-მოხვეულში შეეჩეხება ურმების ახალ ქარავანს. მიხვეულ-მოხვეულები კი აქ საკმაოა.

ყველა იგინება: გლეხი, მგზავრი, შოფერი, მნახველი. აგინებენ გზის გამყვანს, მის დამწყებს, მის დამგეგმავს, ხელმძღვანელ ამხანაგებიდან, ვინც ეს გზა ნახა, ყველა განცვიფრებამ მოიცვა. ზოგმა მას „კატის გზა“ უწოდა. ამხ. ფილეპამაც კი გადააწნა თავისი მათრახი ამ გზის ამშენებელს „კომუნისტი“-ს საშუალებით. მაგრამ... საქმეს მაინც არაფერი ეშველა. გზა ისევ ვიწროა საჭიროა სასწრაფოდ იქნეს ის გაფართოებული, ხოლო ბოროტმოქმედნი კი პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი. დაყოვნება შეუძლებელია. გზას 4—5 მეტრი მაინც უნდა ქონდეს სიგანე.

სახლი არ გვეზარალოს

თუ გზა მშვიდობით გაიარეთ, მიადგებით აგარაკს. ის ჩაღრმავებულ ადგილზეა. მისავალში მარჯვნით ატუზულა ვეებერთელა ყაზარმის მსგავსი შენობა. ზედ დიდი წითელი დროშა ფრიალებს. ეს—დამზღვევ სალაროს სახლია. სახლი მეტად საჭირო და სასარგებლო, მაგრამ უშნო და უსისტემო. აქ არ ჩანს გამოცდილ მშენებლის ხელი. აგარაკზე სხვა შენობები—სადგომი ბინები ლპება, ზოგიც სიძველისაგან ინგრევა. ეს გარემოება გათვალისწინებული აქვს საკურორტო სამმართველოს და ის უკვე შეუდგა ახალ შენობების აგებას. დაწყებულია დიდი შენობა სასტუმროსათვის 65—70 ოთახით. ეს კარგი საქმეა, მაგრამ ადგილობრივი მუშები მეტად იჭვობენ, რომ მომავალი სახლი გამოსადეგი დარჩება. ისინი ასე ამბობენ ერთი ინჟენერის შესახებ: „თუ ის ინჟენერი იქნება აგება-დამთავრების ხელმძღვანელი, რომელიც ეხლა უდგას საქმეს სათავეში, შენობა არაფრად ეღირება“-ო. ასეთი განწყობილება სამართლიანადაც მოგეჩვენებათ, თუ მიიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხსენებულ ინჟენერს სახლის საძირკველად უხმარია იქვე მოთხრილი ცუდი ღირსების ქვა, რომელიც მზადვით იშლება. ეს საკრთხი, როგორც გადმომცეს, პარტიულ უჯრედშიაც კი დასმულა, ხოლო შემდეგ არ ვიცი რა ზომები მიიღეს.

აბაზანები

ძველი აბაზანები უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ ავადმყოფებს. საჭირო იყო ახლებზე ზრუნვა.

ამ მხრივაც გადადგმულია ნაბიჯი. გამოყენებულია დიდი თავლია აბანო, რომელსაც უწინ „უფსკერო აბანო“-ს უწოდებდენ. მოწყობილია აქ მზისა და ტალახის ვანების მისაღები პლაცი რამოდენიმე ათეულ ქალ-კაცთათვის.

აქვე ახლოს გაშენებულია ჰიგიენური აბანო, გარეგნულად მეტად ლამაზი და შიგნივაც კეთილმოწყობილი. მოაგარაკემ პირველად აქ უნდა იბანოს, უნდა გასუფთავდეს და შემდეგ ეძლევა უფლება სხვა ვანებით თუ აუზებით სარგებლობისა. განზრახულია აქვე მოაწყონ სამრეცხაო. შენობას წუნი არ დაედება—კარგია. ხოლო ამისვე თქმა არ შეიძლება მის ახლო გაშენებულ ყოფილ კოდის აბანოზე.

კოდის აბანო ყველაზე უფრო იპყრობდა ავადმყოფთა ყურადღებას, როგორც ყველაზე მეტი რადიო მოცულობის მქონე. აქ უწინ ორი აუზი იყო, სადაც 4—5 კაცი ძლივს ჩადიოდა. ეხლა კი გაფართოებულია და 32 ცალკე ვანაა ამოყვანილი. ყოფ. ინჟენერ კენეცკის (ეხლა ის გადაყვანილია აქედან) მიზანი იყო წყალი თაღისებური აუზით ამოეყვანა მაღლა ისე, რომ ის შემდეგ თავისით დარიგებულიყო ვანებში. ბევრი ეწვალა, მაგრამ არ იქნა, არ გაჰყვა მის ნებას წყალი.

წელს დაამთავრეს ეს აბანო, იმედები ნაკლებ გამართლდა. წყალი თავისით არ ნაწილდება ვანებში. ნასოსით ანაწილებენ. მილებში გატარებული წყალი კარგავს ბუნებრივ სითბოს. ამავე დროს, მისი რადიო მოცულობაც კლებულობს. ვანები ამ აბანოში მეტად პატარებია, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი. დაყოვნება შე დიდი ტანის კაცს არ არ შეუძლია ისარგებლოს. საჭიროა ზოგი ვანა იყოს მაინც დიდი მოცულობის.

არის სხვა საკითხებიც აგარაკის ცხოვრებიდან, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება: აგარაკის შტატი, ბინების და აბანოების. ფასები და სხვა, მაგრამ ამათ მე არ ვეხები, რადგან ვფიქრობ, თვით მოაგვარებს ამ საკითხებს საკურორტო სამმართველო.

ნებადართული „უკანონობა“

ადგილობრივ მცხოვრებთათვის აგარაკთან ახლოს დასახლება საოცნებო საგნად იქცა. თუ ორი წლის წინად აქ ახლო ორი-სამი მოსახლე ძლივს მოიპოვებოდა, დღეს აგარაკის გვერდით მთელი სოფელია გაშენებული. შორეულ სოფლებიდანაც კი მოდიან აქ დასასახლებლად. არიან ისეთებიც, რომელთაც მიწა არ ჰქონიათ აგარაკის ახლოს.

— საიდან და როგორ გაჩნდა ეს ხალხი აქ?

— შეიძინეს, იყიდეს, გადაცვალ - გადმოცვალეს—შეძლებულები არიან.

— მერე, თუ ყიდვა - გაყიდვას ჰქონდა ადგილი, პასუხი არ აგებინეს?

— აგეს თუ არ აგეს პასუხი, ეს სახლები კი წამოჭიმეს ამ კაცებმა და... თვითონ ჯერ-ჯერობით დაბრძანდებიან არხეინად, — გიპასუხებენ ადგილობრივი მცხოვრებნი საყვედურის კილოთი.

ეხლა უკვე ყველას ეკრძალება აგარაკის ახლოს დასახლება, განურჩევლად იმისა თავის მიწაზე ესახლება ის თუ გადაცვლილზე.

ყოფილა შემთხვევა, რომ საკურორტო „საქართველოს მიუცია სახლის ასაგებად ნებართვა ადგილ-რიგ მცხ. იოსელიანისათვის რომელიც არ ეკუთვნის მდიდარ ოჯახთა რიცხვს და რომლის ოჯახის წევრებიც ყველა პატიოსანი მშრომელებია,ხოლო, როცა სახლი დასახურავათ ჰქონია გამზადებული საკურორტო სამმართველოს შეუჩერებია მუშაობა — ნებართვა გაუბათილებია.

დღეს სასოწარკვეთილ სახლის პატრონმა აღარ იცის რა ქნას, სად შეაფაროს თავი. სახლიც უფუჭდება წვიმის გამო. მას სხვა სახლი არც კი აქვს. ყველა იძახის: „ან რათ მისცენ ჯერ ნებართვა, ან მისი გაბათილება რაღა იყო“-ო? ასეთივე მდგომარეობაში არის ორი უკიდურესად ღარიბი გლეხი აგარაკის მახლობლად — კეთილაძე და ცხაკაია. თემის საბჭოს უკვე აღუძრავს ამ სამ პირზე შუამდგომლობა, სადაც ჯერ-არს, მისცენ ნება—დაამთავრონ სახლები.

წყალტუბო ძვირფასი განძია. ჩვენი ხელისუფლება არაფერს ზოგავს მის მოსაწყობად. მიღწევები აქ ბევრი გვაქვს. დღეს წყალტუბო იმდენად გამოცვლილია, რომ მისი ძველი მნახველი წყალტუბოს ვეღარ იცნობს. მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება, მეტი მომჭირნეობა და მიზანშეწონილობა იმ აღმშენებლობაში, რომელიც აქ არის დღეს გაშლილი.

ნ. ალინი.

შემთხვევები

დაჭრა

5 სექტემბერს მოქ. ირაკლი ქაჯაიამ დანით დასჭრა მძინარე ივანე ტოგოშვილი. უკანასკნელი გადაგზავნეს სავადმყოფოში.

ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ხანძარი

გუშინ, ხანძარი გაუჩნდა ბაბიტსკაიას ქუჩაზე მდებარე გეორგიანცის სახლს. დაიწვა ორი ოთახი და ბოსელი.

სახლის მახლობლად წყალის უქონლობის გამო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო მიწით.

ხულიგანის დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა ხულიგანი ვლადიმერ ციხითათრიშვილი.

გვამის აღმოჩენა

სოფ. კარაჯალაში მეთევზე გიორგი მუსლიანმა 3 სექტემბერს საღამოს შვიდ საათზე მტკვრის ნაპირზე იპოვა უცნობი მამაკაცის გვამი, დაახლოვებით 20—21 წლისა. დამხრჩვალს აქვს შავი თმა, წვერი გაპარსული, ულვაშები შეკრეჭილი, სახე შავგვრემანი. კვლევა მიებაწარმოებს.

შეპყრობა. 4 სექტემბერს ნაქურდალ ნივთებით შეიპყრეს თათეოზ ქარციანცი.

გზის მოედანზე ამავე დღეს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ალექსანდრე დარახანოვი.

თავის მოწამვლა. ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე შურა იოსების ასულმა ბერძენიშვილმა (13 წლის) იოდით მოიწამლა თავი, მაგრამ გადაარჩინეს.

ტრამვაის ვაგონში ჯდომის დროს იონა ჩხარტიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 70 მანეთი ფული.

ბაღ „არტო“-ში მოქ. სალიხ ბეკი ისმაილისძე ქუჩაქოვს ჯიბიდან ამოაცალეს 236 მან. და 80 გირვანქა სტერლინგი.

ორჯონიკიძის სახელობის ბაღში თავი მოიწამლა ალექსანდრე გიორგისძე გეორქოვმა, რომელიც გადაგზავნილი იქნა კამოს სახელობის სავადმყოფოში.

დახრჩობა. 4 სექტემბერს ვერის ხიდთან მტკვარში დაიხრჩო ნიკოლოზ ზურაბიშვილი.

ჩაშესის სამილიციო რაიონში დატვირთვის დროს ერთმანეთს დაეჯახა ვაგონები. მძიმედ დაშავდა მუშა გიორგი ტლაშაძე.

რკინისგზებზე

ხანძარი

უკანასკნელ დღეებში ამიერ - კავკასიის გზაზე ადგილი ჰქონდა ხანძრის ორ შემთხვევას. ერთი შემთხვევა იყო სადგ. ბალაჯარაში, სადაც ცეცხლი წაეკიდა ნაგვის გადასაყრელ ჩიხს, მეორე კი სადგ. ფუთაში.

სადგურ ბალაჯარაში ცეცხლი დაუყოვნებლივ იქნა ჩაქრობილი.

სადგ. ფუთაში ცეცხლი გაუჩნდა გზის ოსტატის სამზარეულოს. სადგურში ამ დროს იმყოფებოდენ წითელ-არმიელები, რომელთა დახმარებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ერთ საათში. სამზარეულო დაიწვა. დაიწვა აგრეთვე მის ახლოს მდებარე ხის ფარდული. ხანძრის მიზეზებს იკვლევენ.

ბავშვის გასრესა

5 სექტემბერს დილით ბაქოს მეორე სადგურიდან საქონლის მატ. № 943 შეცდომით, ნაცვლად მთავარი ხაზისა გაშვებულ იქნა ჩიხში. ჩიხში იდგა ქვიშით დატვირთული ღია ვაგონი, რომლის ქვეშ ეძინათ უპატრონო ბავშვებს.

მატარებელი დაეჯახა ღია ვაგონებს. დაჯახების დროს ერთ-ერთი ბავშვი გასრესილ იქნა.

საზაფხულო პრაქტიკის შედეგები

ა.-კ. რკ. გზებზე პრაქტიკული მუშაობისათვის გამოგზავნილი ინდუსტრიალურ ტეხნიკუმების მსმენელები თავის პრაქტიკას ამთავრებენ დღეს.

გარდა წმინდა ტეხნიკურ სამუშაოებისა, პრაქტიკანტები ეწეოდენ ფართო პროფესიონალურ მუშაობასაც.

რაც შეეხება სტუდენტ - პრაქტიკანტების მუშაობას, იგი გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე.

სასამართლო

ჭირვეული ქმარი

რამოდენიმე ხნის წინად ალექსანდრე თედოსძე გოგიტიშვილმა ცოლათ შეირთო ოლღა მერაბიშვილი. პირველ ხანებში ცოლ-ქმარს კარგი ურთიერთ დამოკიდებულება ჰქონდათ.

გავიდა ხანი ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, გაიძახოდა ალექსანდრე. ძლიერ დავაშავე, რომ უდროვოთ ცოლი შევირთე. რა მიჭირდა, ვყოფილიყავი ისევ „იაქეთ“.

ცოლთან ჩხუბმა სისტემატიური ხასიათი მიიღო.

ალექსანდრე არ იყო კმაყოფილი თავისი მდგომარეობით და ხშირად იტყოდა:

— ცოლი სიყვარულით შევირთე, მაგრამ მაინც ვერ ვეწყობი ხასიათით.

ცხვირ-პირ დამტვრეული ოლღა რომ თავის მშობლების სახლში გაიქცა, მაშინ კი აეწვა ზურგი ალექსანდრეს.

ბოლოს ცოლი გაეყარა გოგიტაშვილს.

ერთი წელიწადი გაატარა ალექსანდრემ „იაქეთ“ შემდეგ შეირთო მეორე ცოლი. სამაგიეროთ გათხოვდა ოლღაც.

ალექსანდრე, ყოფილი ცოლის გათხოვების ამბავი რომ გაიგო, „მწუხარებას“ მიეცა.

მან გადასწყვიტა ოლღას მოკვლა.

ერთ დღეს ალექსანდრე ყოფილ ცოლს შეხვდა ქუჩაში და შესძახა:

— შენ სად მიბრძანდები?

— ვითომ რა გნებავს?

— როგორ თუ რა მნებავს? როგორ მელაპარაკები! შენ უნდა შემირიგდე და წამოხვიდე ჩემთან. მე შენი ქმარი ვარ.

— რის ქმარი, რა ქმარი! ყურები გამოიჩიჩქნე. ჩვენ უკვე განშორებული ვართ.

— როგორ?

— როგორ და ეგრე, მეყო, რაც ორი წლის განმავლობაში შენგან გაჭირვება ავიტანე, შენ არამზადავ!

ალექსანდრე განრისხდა. მუქარის კილოთი ბრძანა:

— კაცი არ ვიქნები, თუ სამ დღეში სიცოცხლე არ მოგისპე.

შეშინდა საწყალი ქალი და მოკურცხლა სახლისაკენ.

ალექსანდრემ მიაძახა მას:

— დაუბრუნდი ოჯახს, თორემ დაიღუპებიო.

ამის შემდეგ მერაბიშვილის ქალს ძლიერ ეშინოდა ალექსანდრეს და როცა შენიშნავდა მას, იმალებოდა.

გავიდა ხანი. ოლღა გაქრა თვალიდან.

„თვალცრემლიანი“ დაეძებდა გოგიტაშვილი თავის ყოფილ ცოლს.

ალექსანდრემ შეიძინა ხანჯალი.

ერთ დღეს იგი რიყის ქუჩაზე შეხვდა ყოფილ ცოლს და დაუძახა მას:

-- „მოდი აქო“.

ქალი გადავიდა მეორე ფილაქანზე და ათრთოლებული ხმით უთხრა მას:

— ალექსანდრე, შენ მოკვლას მპირებ. არ გაგაცდე. ამით დაამტკიცებ, რომ არ გვყვარებიხარო.

ალექსანდრემ მიუგო:

— თუ სიკვდილი არ გინდოდა, მე რად გამშორდიო.

ამის შემდეგ იგი გულში ჩასცემს მას ხანჯალს.

ერთი საწყლად ამოიკვნესა მერაბიშვილმა და იქვე დაეცა უსულოთ.

მკვლელი დააპატიმრეს.

საქმე მალე გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

თ.

ტრამვაის ახალი ვაგონები

როგორც აღნიშნული გვქონდა ჩვენს გაზეთში ტრამვაის დირექციამ მოსკოვის ქარხნებს შეუკვეთა 74 ახალი ვაგონის დამზადება. ხელშეკრულების თანახმად დირექციას გასულ წელს უნდა მიეღო შეკვეთილ ვაგონების ნაწილი, მაგრამ ქარხნებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დროისათვის ვაგონების დამზადება ვერ შესძლეს. ტრამვაის სამმართველო მიმდინარე წლის შემოდგომაზე მიიღებს მხოლოდ 20 ვაგონს. 3 სექტებერს მიღებულია ოთხი ვაგონი. შეკვეთილ ვაგონებს სამმართველო სრულიად მიიღებს მომავალ წლის დამლევს.

თავდაცვა ავიაქიმში

მშრომელთა გასამხედროების სექცია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან დაარსდა მშრომელთა გასამხედროების სექცია.

სექციის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრს პ. ალნიაშვილს.

პას.-მგ. მდივნის დანიშვნა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნად, საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა დ. ნესხი.

აგიტპლაკატები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მოსკოვიდან მიიღო საგიტაციო პლაკატები „იყავ სადარაჯოზე“—1500 ცალის რაოდენობით.

პლაკეტები იყიდება თითო ორ მანეთად.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

ამჟამად მთელს საქართველოში უკანასკნელი აღწერის მიხედვით მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 2.662.896 სულს.

1917 წლის აღწერის მიხედვით წერა-კითხვის უცოდინარი იყო 1.169.960 კაცი, ანუ მოსახლეობის 70 პროც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 345.810 კაცმა—(24,6 პროც.) ამჟამად წერა-კითხვის უცოდინარია 1.053.892 კაცი, ანუ მოსახლეობის 52 პროც.

პოლიტგანათლების მიერ გახსნილ წ. კითხვის უცოდინარობის სკოლების საშუალებით წერა-კითხვა შეისწავლა 146.168 კაცმა ანუ 39,6 პროც.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 6 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოეზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: **გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია:** ნინა ბობუაშვილი, ქეთო ებრაელიძე,; **რკინის გზის მეშვიდე სექცია:** სიმონ ერმაკოვი, ივანე პინაისკინ, მიხეილ კულაკოვი, პეტრე სოლინჩენკო, თამარა ზედელაშვილი, ივანე კარაკეშიევი, შალვა იოსელიანი, ბიზილაშვილი, ნინა ქორიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

თბილისის თავდაცვა - ავიაქიმის საბჭო აცხადებს, რომ სამშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის შენობაში (კოლუნის № 7), მოწვეულია **თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა,** რაზედაც დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მე-3 სართული, ოთახი № 12),—7 სექტემბერს, დილის 9 საათზე.

გრიგოლ ცინცაძეს (ყოფ. შრომის კომისარიატის თანამშრომელი), ვარლამ კუბეციას (მუშკოოპის უჯრედიდან).

საქ. კომ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალრაიკომი, იუწყება, რომ განსახკომის, მილიციის, საქფინსახკომის, იუსტ. სახკომის, თბილისის აღმასკომის, საქ. ცენტ. სტატისტ. სამმართველოს, სოფლის კავშირის, მიწათმოქმედების სახკომის, ტელეფონის, ფოსტის, მასწავლებლების, სახ. უნივერსიტეტის, ქართულ მუშფაკის, კომუნალურ ბანკის, სახალხო კვების, თბ. აღმასკომის 1 სტამბის, საქ. პოლიგრაფტრესტის 1 სტამბის, **უჯრედთა ჯგუფური კრება მოხსენებით**— საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომსიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ—**გადატანილია პარასკევისთვის 9 სექტემბ. საღ. 9 საათზე, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა კლუბში.**

საქ. კომ. პ. თბილისის ორგ. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 7 სექტემბერს, 1927 წ. დილის 10 საათზე, რაიკომის აგიტპროპის განყოფილებაში უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1) მთვარელიძე—თბ. კომიტ., 2) ჯაფარიძე—ცეკა, 3) ჩიხლაძე ზინა, 4) ორახელაშვილი მარიამ, 5) სინტალოვა—ლენინის ფ-კა, 6) გურსკაია—ზარია ვოსტოკა, 7) ტალახაძე—იუსტიციის სახკომი, 8) საყვადელიძე--იუსტიციის სახკომი, 9) შლემოვა—ახ. ლ. კომკავშირის ა.-კ. კომიტეტი, 10) შულგინა—ბავშთა მეგობართა საზოგადოება, 11) მანუციანი—მარტაკოჩ.

თბილისის საბჭოს სოფლის და ქალაქის კავშირის განყოფილების პრეზიდიუმის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომ. პ. თბილისის კომ. აგიტპროპ-განყოფილებაში.

საქ. კომ. პ. თბ. ორგ. ქალ. რაიკომი წინადადებას აძლევს სამხედრო - სამომხმარებლო საზოგადოება „მეომარი“-ს, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, ა.-კ. და საქ. სახ. პოლიტ-სამმართველოს, სახ. ბანკის, მე-8 პოლკის, სახ. ოპერის და რუსთაველის თეატრების, სახალხო კვების, ა.-კ. ფინსახკომის, სახკომსაბჭოს, საქ. ცენტ. სტატ. სამმართველოს, ა.-კ. სახ. დაზღვევის, სახ. ელექ. ტრესტის, ელექტროსტროის, ტელეგრაფის, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, სახ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის და რუს მუშფაკის უჯრედებს—**პარასკევს, 9 სექტემბერს, უჯრედის ღია კრებებზე მუშა და მოსამსახურე ქალთა და უპარტიო მუშა და მოსამსახურეთა მონაწილეობით** დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება სადელეგატო კრებების მუშაობაზე, 2) 1926—27 წ. მოწვევის 1—2 დელეგატქალის ანგარიში თავის მუშაობის შესახებ; 3) ადგილობრივი საკითხები.

პირველ საკითხზე მომხსენებლებს ნიშნავენ უჯრედები.

მასალა მოხსენებისათვის უნდა მიიღონ რაიკომის აგიტპროპ-განყოფილებაში.

საქ. კომ პ. (ბ) თბ. ორგან. არსრაიკომის აგიტპროპ-განყოფილება იუწყება, რომ **აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა** შესდგება ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, 1927 წ., საღამოს 6 საათზე.

ვის აქვს საწინააღმდეგო

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-7-დე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტ-კანდიდატობის შესახებ: ამხ. 1) არკადი სილიბისტროს ძე ნიკოლეიშვილს, 2) გრიგოლ იაკობის ძე გობკიჭიძეს, 3) პლატონ ანდრიას ძე სულამბერიძეს, 4) ალექსი ივანეს ძე ხოსიაშვილს, 5) ნიკოლოზ ივანეს ძე ბაკიძეს და 6) ლუკა იოსების ძე თათარაშვილს. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოხსენებული პირების შესახებ, ვსთხოვთ გვაცნობოს ერთი კვირის განმავლობაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ეველო, გიორგის ასულს

კითხვა

თქვენ გვეკითხებით, აქვს თუ არა უფლება დაქვრივებულ დედა-კაცს, რომელსაც გარდაცვალებული ქმრისგან არ დარჩენია შვილები, დარჩეს თავის ქმრის სარგებლობაში მყოფ მიწა-წყალზე, ისარგებლოს მიწით და ქმრის დარჩენილი ქონებით და თავისი საქმრო შემოიყვანოს ამ მამულზე.

პასუხი

ქვრივი მეუღლე სრულუფლებიანი მემკვიდრეა თავისი გარდაცვალებული მეუღლის ქონებისა მიწაც რჩება მის სარგებლობაში თუ იგი მიწის სარგებ. მოისურ. და აქვს სრული უფლება საქმრო შემოიყვანოს აღნიშნულ მიწა-წყალზე და ქონებაზე. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418 და მიწის კოდექსის მუხ. 40 და მასთან დართული შენიშვნა).

ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ კითხვა

საჭიროა თუ არა ქირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება და მასში გამომუშავების მინიმუმის და ვადის, რომლის განმავლობაში იგი უნდა იქნეს მიღწეული.

თემ-აღმასკომი.

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 153-ისა, ხელშეკრულება კომუნალურ, ან სახელმწიფო საწარმოს დაქირავებისა ბათილობის რიდით უნდა იქნეს დადებული სანოტარო წესით.

ამას გარდა, მასში აუცილებლად ხელშეკრულების ბათილობის რიდით უნდა იქნეს აღნიშნული გამოსამუშავებელი მინიმუმი და ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს მინიმუმი აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული. (იხ. იქავე მუხ. 162).

თავზარდაცემული ქმარი კლემენტი აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ქუთაისში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეგობარი

პელაგია სპირიდონის ასული აბულაძისა

რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან, რუსთაველის ქ. № 1, დაკრძალვა იმ დღესვე ქ. ხონში. 3764

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა სალომე, დები: აგრაფინე, ლიდა, ძმები—ილარიონი, რძლები: ელისაბედი, ნინა, ძმისწულები: ქეთო, ია, დათუნა, რეზო ჩომახიძენი, სიძეები: ივანე ბახტაძე და ლეონტი ელიაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი და საყვარელი

პელაგია სპირიდონის ასული აბულაძისა

რომლის გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, რუსთაველის ქ. № 1, სამშაბათს, 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 ნახ. ს. დაკრძალვა ქ. ხონში. 3764

გულდამწვარი მშობლები: მარუსია აბელედიანის ასული და თოშია გრიგოლის-ძე კროჭი, ძმა რეზო თოშიას-ძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის მუდამ დაუვიწყარი ექვსი თვის

ხუზა თოშიას-ძე კროჭის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. ლვანკითში. 3743

გულმოკლული მშობლები: პორფილე და ოლა, ძმები: გრიგოლი, მიშა, ჟორჟიკა, რაფიკო, და თამარა შალამბერიძეები, ქმარი ნიკოლოზ რუსიეშვილი, მამიდა ნატაშა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2 სექტემბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი საყვარელი და დაუვიწყარი

ლენიკო (ელენე) პორფილეს ასული შალამბერიძისა

დაკრძალვა მოხდება 6 სექტემბერს, სამშაბათს, ვერის სასაფლაოზე. ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან—არაგვისპირელის (ყოფ. თამარის) № 36. 3750

მარიამ იაგორის ასული და სტეფანე ალექსანდრეს-ძე ქიტანჯიანცები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 3 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ნერსეს იაგორის-ძე [illegible]

ქ. თბილისის ალმასკომის საბჭოთა მუშაკების ადგილკომი და მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ალმასკომის თანამშრომლის ამხ.

ალექსანდრე წულაიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხუნჯულორში (ქუთაისის მაზრა) სამშაბათს, 6 სექტემბერს. ნ. 1617

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბ. ორგ. ქალაქის რაიონის აღმასკომის კომუჯრედის წევრები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ კომუჯრედის წევრის ამხ.

ალექსანდრე წულაიას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. ხუნჯულორში (ქუთაისის მაზრა) ა. წ. 6 სექტემბერს. ნ. 1617

თბილისის აღმასკომის საფინანსო კონტროლის და რაციონალიზაციის ბიუროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 3 ენკენისთვეს, სოფ. კულაშში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საუკეთესო ამხანაგი და თანამოსამსახურე, რევიზორი

ალექსანდრე მელქისედეკის-ძე წულაია

3759

მუდამ მწუხარებაში მყოფნი ცოლი დარო, შვილები: აბელა, დაშა და მაგლო, შვილისშვილები შოთა, ნოდარი და ფატი, სიძეები ლეონტი და ზოსიმე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, ქ. გორში

გიორგი ეგნატეს-ძე სხილაძის

გარდაცვალებიდან სამი წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 3760

ხიდისთავის „1905 წლის რევოლიუციის“ სახელობის 7 წლიანი შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ნადია კალანდაძისა, ნანია ქავთარაძე, ელენა კალანდაძე, თამარ გოგიბერიძე, ანიჩკა გოგიბერიძე, ავთანდილ შარაშიძე, პროკოფი ჯაფარიძე, პეტრე კოპლატაძე, ირაკლი ქორიძე, დიმიტრი კალანდაძე, ნიკოლოზ კალანდაძე, რაჟდენ აბუსერიძე, ირაკლი კალანდაძე და იაგორ წიტაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 30 აგვისტოს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, ამავე 7 წლედის ენერგიული მუშაკი მასწავლებელი

მარუსია გიორგის ასული ლომთათიძე,

რომლის დაკრძალვა მოხდა ამა წლის 3 სექტემბერს დღის 3 საათზე, სოფ. მეწიეთში (გურია). ნ. 1617

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

არა ჩვეულებრივი ყურადღების გამო გაგრძელებულია მე-3-ე კვირისათვის მხატვრული სურათი

„სკარამუშ“

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი მხატვრულ შედევრში

„წარსული და მომავალი“

სურათი არაჩვეულებრივი წარმატებით მიდიოდა ლენინგრადში და მოსკოვში

კონრად ვეიდტი და ლიანა გაიდი მხატვრულ სურათში

„ლედი გამილტონ“

ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს ბაღში შესასვ. ფას არ იხდის

0—4 ნ. 1388

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

დღეს და ყოველდღე ხაზაფხულო კინო-თეატრებში

პალასი და დარბაზი

განთქმულ სურათის „დიადი-მარადიული“-ს მთავარი გმირები

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი

მხატვრულ სურათში

წარსული და მომავალი

ნ. 1655

პირველ სახელმწიფო საბუღალტრო კურსებზე

სწავლა დაიწყება ა. წ. 19 სექტემბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღისით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—7 ს-დე, კეცხოველის ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქოვისა) № 12, პირველი სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის ბინა.

3735 2—1. კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი

აცხადებს, რომ ის 9 სექტემბერს ს. საქარაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე პეტრეს-ძე ჩიბურდანიძის ქონებას სახელდობრ ერთიმეოთხედი ოთხი თვალი ხის სახლისა და ღორს შეფასებულს 225 მან. დასაკმაყოფილებლად ერმანოზ არაბიძის ვალისა თანახმად ზესტაფონის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 9 ივლისს 1927 № 1480 ვაჭრობა დაიწყება ნაშუადღევის პირველ საათზე. 3762

ექიმი ა. დ. კეკელია

ი ფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი

მიღება დილის 8—10

ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

დაჰკარგა კავშირის წიგნაკი № 1900 მიხეილ ბიანდუროვის სახელზე, ჩ. გ. 3756

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი თამარა კაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 3761

დაჰკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 186 მელიტონ დოლაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3763

დაჰკარგე საანგარიშო წიგნაკი № 76—ევგენი ჩხაიძეს სახელზე, ჩ. გ. 3758

დაჰკარგე სამხედრო წიგნაკი № 617—გრიგოლ სიხარულიძეს საიელზე, ჩ. გ. 3757

დაჰკარგე კავშირის წიგნაკი № 651298 და ბირჟის დაზღვევის სალაროს წიგნაკი № 1227—რაისა ტერსუკიასოვის სახელზე, ჩ. გ. 3753

დაჰკარგე 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 368, გაცემული მე-2 რკინის გზის სკოლის მიერ, ნინა ალექსის ასული გვიშიანის სახელზე, ჩ. გ. 3752

დაჰკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 80. კასიანე ვასაძეს სახელზე, ჩ. გ. 3755

დაჰკარგე პირადობის მოწმობა ანა ივანეს ასული და მირგალიტა დიმიტრის ასული დოლიძეების სახელზე, ჩ. გ, 3750

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 9 სექტემბერს 1928 წელს დილის 11 საათზე ქ. თბილისში, მე-8 კომისარიატში, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, (ყოფ. არტენალის) ეხლა კი შორაპნის ქუჩაზე № 2, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** სტეფანე ზაქარიას-ძე აკოპოვის ერთ სართულიანი ქვის სახლი მისი კუთვნილებით, რომელიც შეიცავს ოთხი ოთახს, ორი სამზარეულოს და სხვა, ეს სახლი არის აღწერილი იოსებ აბრამის-ძე ბალდასაროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოს 16 თებერვლის 1927 წ. № 1830 სასამართლოს ბრძანებისა და შეფასებულია 1000 მან., რომელი ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა მოიქცნენ თანახმად 310, 311 და 312 მუხ. მუხ. სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსისა. 3654

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის დასკვნითი ბალანსი

1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

ჯგუფი	მუხლი	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
1			ქ ო ნ ე ბ ა:		
	1		შენობანი და ნაგებობანი:		
		ა	შენობანი საწარმ. დამხმ. და სავაჭრო მნიშვნელობის.	125.125—00	
	2		მანქანები და განყოფილებანი:		
		ა	ძალოვანი მოწყობილობა.	38.600—00	
		ბ	ტეხნიკური განყოფილ. და მანქანები.	425.642—07	
	3		იარაღი:	4.300—00	
	4		ინვენტარი.	139.627—71	
	5		შრიფტი.	139.775—07	873.069—85
2	6		ქონების შეფასების ნამატი		165.595—07
3			მ ა ს ა ლ ა:		
	1		ნედლეული და ძირითადი მასალა.	77.292—84	
	2		დამხმარე მასალა.	97.904—61	
	3		სათბობი მასალა.	320—85	175.518—30
4			დაუმთავრებელი წარმოება.		61.572—49
5			საქონელი და მზანაწარმი:		
	1		ქარხნების საწყობებში (შრიფტი).	51.835—94	
	2		საწყობებში და მაღაზიებში.	58.822—45	110.658—39
6			ულიკვიდო ქონება.		9.116—54
7			ფულადი სახსარი:		
	1		კ ა ს ს ა.	2.560—72	
	2		მიმდინარე ანგარიშები.	2.159—77	4.720—49
8			ფასიანი და % % ქაღალდები.		1.525—00
9			აქციები და პაიები სხვა საწარ.		2.200—00
10			სამისაღებო თამას. და საბუთები:		
	1		სამისაღებო თამასუქები:		
		ა	პორთფელში.	10.615—05	
	2	ბ	პროტესტქმნილი თამასუქები..	3.226—74	
			განაღდებული თამასუქები.	61.188—98	75.030—77
11			ანგარიშ-სავალდებულო თანხები.		776—32
12			დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ი:		
	1		მუშა-მოსამსახურენი.	5.505—49	
	2		მომწოდებლები და მონარდენი.	19.969—60	
	3		მყიდველები.	150.934—79	
	4		სხვადასხვა დებიტორები.	23.948—47	
	5		საეჭვო დებიტორები.	130.740—15	331.098—50
13			მომავალ წლების ხარჯები		
	1		სხვადასხვა ხარჯები.		3.081—50
			ბ ა ლ ა ნ ს ი . .	—	1.813.963—22

პასივი

ჯგუფი	მუხლი	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი კერძო	ჯამი საერთო
1			კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი:		
	1		საწესდებო.	842.271—77	
	2		საამორტიზაციო.	141.297—67	
	3		სარეზერვო	12.151—49	995.720—93
2			ფ ო ნ დ ე ბ ი:		
	1		მუშა-მოსამსახურ. ყოფა-ცხოვ. გაუმჯობ. ფონდი:		
		ა	თავისუფალი ნაშთი		3.886—23
	1		სპეციალური ფონდები:		
		ა	ულიკვიდო ქონების ფონდი.		9.116—54
3			რ ე ზ ე რ ვ ე ბ ი		
	1		საეჭვო ვალების		130.740—15
4			სესხები და კრედიტები:		
			სესხი რესპ. საუწყ. კომის. უმაღლ. ტეხნიკ. სასწავლ.		12.000—00
5			გაცემული თამასუქები.		102.208—04
6			ბანკები განაღდ. თამასუქებით.		61.188—98
7			კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ი:		
	1		მომწოდებლები და მონარდენი.	1.575—80	
	2		მყიდველები	101.201—72	
	3		გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:		
		ა	სოციალური დაზღვევის.	29.810—52	
		ბ	ანარიცხები სამრეწველო ფონდში.	2.161—00	
		გ	სხვადასხვა გადასახადები.	142—93	
	4		სხვადასხვა კრედიტორები.	4.967—64	139.859—61
8			საწესდებო კაპიტალის გადიდება.		163.019—53
9			ძირითადი კაპიტალის გადაფასების ნამატი		165.595—07
10			შ ე დ ე გ ე ბ ი:		
	1		მოგება საანგარიშო წლისა.		30.628—14
			ბ ა ლ ა ნ ს ი . .		1.813.963—22

ბალანსის გარეშე მუხლები:

1. მიწა 1.866 კვ. საჟ. . . . . . 35.150 მან.

ტრესტის მმართველი ტ. ხარაზიანი

მთ. ბუღალტერი გ. ქურციძე

მოგების განაწილება

მოგება 30.628 მან. 14 კაპ. საშემოსავლო გადასახადის 10% 3.062 მან. 81 კ. გამოკლებით 27.565 მან. 33 კაპ. განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის ფონდში 10%— 2.766—53
2. სარეზერვო ფონდში 20 „ — 5.513—06
3. საწარმოთა ხელმძღვანელ პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში 0.25%— 68—98
4. საბრუნავ კაპიტალის გასადიდებლად. 49,75%—13.713—70
5. ხაზინის სასარგებლოდ 20 „ — 5.513—06

ს უ ლ 100% 27.565—33

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმები № 1 1927 წ. 16 ივნისის თარიღით)

საქ. ს. მ. უ. ს. მთავარი ბუღალტერი პ. ჯანელიძე.

ნ. 1650.

ზარალ—მოგების ანგარიში

ზარალი — მოგება

მუხლების დასახელება	ჯამი	მუხლების დასახელება	ჯამი
1. სავაჭრო ხარჯები	97.93—02	1. მოგება საქონლის და ნახევარ-ფაბრიკატ. რეალიზაციიდან.	16.889—85
2. საერთო სადმინისტრაციო ხარჯები	37.969—76	2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	18.064—35
3. გაცემული პროცენტები	4.255—60	3. მოგება შეკვეთების შესრულებიდან	72.942—90
4. დანაკლისი მასალის, ნახევარ ფაბრიკატების და საქონლისა	105—14	4. მიღებული პროცენტები.	655—05
5. უიმედო ვალების ჩამოწერა	9.598—26	5. საიჯარო შემოსავალი	517—50
6. საეჭვო ვალების რეზერვი	17.786—08	6. სხვადასხვა და შემთხვევითი შემოსავალი	5.325—37
7. ფასდაკლების რეზერვი (ფასიანი ქაღალდი)	01—00		
8. ზარალი გასულ ქონებიდან	13.975—30		
9. სხვა და სხვა და შემთხვევითი ხარჯები	282—72		
ჯ ა მ ი	93.766—88	ჯ ა მ ი	124.395—02
ნაშთი: წმინდა მოგება	30.628—14		
ბ ა ლ ა ნ ს ი . .	124.395—02	ბ ა ლ ა ნ ს ი . .	124.395—02

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.